პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84;
ტელეფონი № [illegible]
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

ხუთშაბათი, 11 ნოემბერი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 258 (1713)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

— მუსოლინის წინააღმდეგ დაწერილ წერილისათვის საფრანგეთის ადმინისტრაციამ პასუხისგებაში მისცა „ჰიუმანიტეს" რედაქტორი.
— ბელგიის პარლამენტის თავმჯდომარეთ აირჩიეს ბრიუნე.
— გაიმართა ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის სადელეგატო კონფერენციის სხდომა.
— ლატვიაში ოქტომბრის რევოლიუციის დღეს ბევრ ადგილას გამოჰკიდეს წითელი დროშები.
— საფრანგეთის ჯარს შეტაკებები ჰქონდა აჯანყებულ სირიელებთან.

მუსოლინის სამფლობელოში

მუსოლინიზე მორიგ თავდასხმას მოჰყვა ახალი, დღემდე თვით ფაშიზმისათვის უჩვეულო რეპრესიები. სასტიკ ზომებს ადგილი ჰქონდა იტალიის დიქტატორზე წინანდელი თავდასხმების დროსაც, მაგრამ ის, რაც ეხლა ხდება, ჩრდილავს ფაშისტური რეაქციის წინანდელ საშინელებათ.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ პარლამენტიდან გამორიცხეს ე. წ. ოპოზიციის დეპუტატები და კომუნისტები, სულ 128 კაცი. როგორც ვიცით, ეს ოპოზიცია (კომუნისტების გამოკლებით, რა თქმა უნდა) მეტად უილაჯო და უფერული იყო. მაგრამ მუსოლინმა ისიც ვერ მოითმინა და უცერემონიოდ გააძევა პარლამენტიდან. უკანასკნელი ამის შემდეგ წმინდა ფაშისტურ საბჭოდ იქცა და ის ფორმალურადაც კარგავს ხალხის მიერ ამორჩეულ ორგანოს მნიშვნელობას.

მუსოლინი იმ თავითვე დასცინის და ფეხქვეშ თელავს პარლამენტარიზმს. როცა საჭიროდ დავინახავ, პარლამენტის შენობას ჯარის საბანაკოდ გავხდიო, ამბობდა ის. დეპუტატთა პალატა სულ არარაობას წარმოადგენს, ის ყურმოჭრილი იარაღია მუსოლინის ხელში. დღეს ფაშიზმმა კიდევ ერთი ლახვარი ჩასცა პარლამენტს ამოდენა დეპუტატების გარიცხვით, გარიცხვით არა აჯანყების მოწყობისათვის, არამედ უწყინარი და უხერხემლო ოპოზიციის წარმოებისათვის. მსგავსი რამ არ ახსოვს პარლამენტების ისტორიას.

უფრო საყურადღებოა განსაკუთრებული კანონის მიღება სახელმწიფოს დაცვის შესახებ, რომლის თანახმად უქმდება ე. წ. საკონსტიტუციო გარანტიების ყოველგვარი ნასახი და მყარდება ფაშისტურ ხელისუფალთა სრული თვითნებობა. დაშლილადაა გამოცხადებული ყველა არაფაშისტური ორგანიზაციები და პარტიები. შემოღებულია სამხედრო სასამართლოები და სიკვდილით დასჯა და სხვ. ფაქტიურად ამას წინადაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ დღეს ასეთი თვითნებობა და სიმხეცე ოფიციალურად დასტურდება, კანონის ხასიათს ღებულობს და საყოველთაო მასშტაბით და შეუდარებლად უფრო თავაშვებულად ტარდება.

რით აიხსნება ფაშისტური დიქტატურის ასეთი მძვინვარება, ყოველგვარ საზღვარს გადასული ტერორი? ეჭვი არ არის, რომ ეს შედეგია იტალიის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის უკმაყოფილების ზრდისა მუსოლინის რეჟიმით. უკმაყოფილოა არა მარტო მუშათა კლასი და მშრომელი მასები, არამედ ხალხის სხვა ფენებიც. გაჭირვება, უუფლებობა, ადმინისტრატიული თვითნებობა ისე დიდია, რომ წალეკვას უპირებს მუსოლინის ბატონობას. თუ რამდენად დიდია აქედან წარმოშობილი უკმაყოფილება, იქიდანაც სჩანს, რომ ახალი კანონი პოლიციის პრეფექტებს ავალებს „საიმედო" კანდიდატების შერჩევას შვეიცრებისა და მეკარეებისათვისაც კი. ეს ცოტაა. ეჭვია შეტანილი თვით ფაშისტურ პარტიის მასსაზე და დადგენილია მისი გაწმენდა „არასაიმედო ელემენტებისაგან".

მუსოლინი თავს ვერ გრძნობს მტკიცედ თავის პარტიაში, მით უმეტეს არ აქვს მას არავითარი ნიადაგი მის გარედ, ფართე მოსახლეობაში. ხალხის აღშფოთება მისი ბატონობით სტიქიურად ჰპოულობს გამოხატულებას ინდივიდუალურ ტერორისტულ აქტებში, მუსოლინიზე თავდასხმებში. ამ აქტების ჩამდენთა სულ სხვადასხვანაირი სოციალური ვინაობა გვიჩვენებს, რომ მუსოლინის წინააღმდეგ აქტიურადაა განწყობილი თითქმის მთელი იტალიის ფართე მოსახლეობა.

სერიოზული საფრთხე ფაშისტური დიქტატურისათვის მოახლოვებულია. ამას მუსოლინი მშვენივრად ხედავს და ის ცდილობს დაასწროს, წინასწარ მიიღოს ზომები ამ საფრთხის ასაცილებლად. როგორც თავდასხმებიც მოწმობენ, ჯერ-ჯერობით ფაშიზმის წინააღმდეგ ამხედრებას არა აქვს სწორი ორგანიზაციული ხასიათი. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს მძლავრ და შეკავშირებულ მოძრაობად არ ჩამოყალიბდება. და აი, მუსოლინი ლამობს ძირშივე აღკვეთოს ასეთი შესაძლებლობა. ამიტომ ის ანადგურებს ყველა არაფაშისტურ ორგანიზაციებს, მუსრს ავლებს მისთვის არასასურველ პირებს და ჯგუფებს. მთელი ხალხი, შეიძლება ითქვას, კანონს გარეშეა გამოცხადებული, ის ეჭვს ქვეშაა დაყენებული. მას წართმეული აქვს ყოველგვარი უფლება.

ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. ფაშიზმის ეხლანდელი ღონისძიებანი მისი შინაგანი უძლურების მაჩვენებელია. ირღვევა თვით ფაშისტური პარტიის რიგები. ეჭვი არ არის, რომ იტალიის მშრომელი მასსები, რანაირი მძიმე არ უნდა იყოს ეხლანდელი მათი მდგომარეობა, მოიკრებენ ძალღონეს ფაშისტური რეაქციის ასალაგმავად დარაზმული ბრძოლის გაჩაღებისათვის. და აქ თავის თავად ცხადია, მასსების ორგანიზაციის და ხელმძღვანელობის საქმე ეკისრება იტალიის კომუნისტურ პარტიას, რომელმაც ამ მიზნით პირველ ყოვლისა უნდა განამტკიცოს თავისი შინაგანი რიგები.

საბინაო კოოპერატიული მშენებლობა

საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ამოცანა, რომელიც ჩვენი სამეურნეო განვითარების დედა-ძარღვათაა აღიარებული, სხვათა შორის ებჯინება საბინაო აღმშენებლობის საკითხსაც. ამიტომ იყო, რომ საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმზე საბინაო აღმშენებლობის საკითხს დიდი ყურადღება დაეთმო. გაერთიანებულ პლენუმმა ეს საკითხი აღიარა უაღრესი მნიშვნელობის მორიგ ამოცანათ და ამ მხრივ დიდად მნიშვნელოვანი პრაქტიკული ხასიათის რეზოლიუცია გამოიტანა.

პლენუმის დადგენილების თანახმად საბინაო აღმშენებლობაში სხვებთან ერთად განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშონ საბინაო კოოპერატივებმა. მშრომელი მასის ყოფა - ცხოვრების გაუმჯობესების საქმე მჭიდროთაა დამოკიდებული ბინის კრიზისის დაძლევაზე. ამიტომ ბუნებრივია ის არაჩვეულებრივი ცხოველი ინტერესი, რომელსაც იჩენენ მშრომელი მასები საბინაო აღმშენებლობის გაფართოებისაკენ გადადგმულ ყოველ ნაბიჯისადმი.

საბინაო კოოპერაცია მშრომელი მასების ამ აქტივობისა და ინიციატივის საუკეთესო ფორმას წარმოადგენს საბინაო აღმშენებლობის დარგში.აქედან ცხადია, რომ როგორც საზოგადოთ კოოპერაციას, ისე კოოპერაციის ამ ერთ-ერთ სახეს უნდა ექცეოდეს ჩვენი პარტიულ, პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანოების დიდი ყურადღება. სამწუხაროთ ეს ასე არ არის.

ივლისის პლენუმის დირექტივა ჯერ კიდევ საკმაოდ შეთვისებული არაა ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ. ჯერ კიდევ არ სჩანან პლენუმის დადგენილებების განსახორციელებლად გადადგმული სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები. ამას შეიძლება თავისი გასამართლებელი საბუთიც აქვს, მაგრამ აქედან ჩვენ ისეთ დასკვნას ვერ გამოვიტანთ, რომ არსებული მდგომარეობა რამდენადმე მაინც ნორმალურია.

ამ მხრივ საინტერესოა, რა სურათია საბინაო კოოპერატიულ აღმშენებლობის დარგში ჩვენში. ამ სახის კოოპერაციას საზოგადოთ საბჭოთა კავშირში და კერძოთ საბჭოთა საქართველოში მოკლე ხნის არსებობის ისტორია აქვს. სულ თბილისში და საქართველოს დანარჩენ ქალაქებში ითვლება 35 საბინაო სააღმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობები, რომელნიც აერთიანებენ ათასზე მეტ წევრს. ცხადია, ეს რიცხვი არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, თუნდაც მხედველობაში იქნას მიღებული ის გარემოება, რომ ჩვენ ღარიბი ვართ მუშათა კლასით, რომელიც საზოგადოთ საბინაო კოოპერაციის მთავარ მასას შეადგენს. ეს კიდევ შედარებით მოსათმენია. აღსანიშნავი ისაა, რომ საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობათა განსაზღვრული რიცხვი, რომელიც ჩვენში მოიპოვება, ვერ აწარმოებს სათანადო საალმშენებლო მუშაობას.

35 საბინაო ამხანაგობიდან მხოლოდ ექვსი ამხანაგობა აწარმოებდა მშენებლობას, აქედან 3 თბილისში და 3 სხვა ქალაქებში. სულ ამ 6 ამხანაგობას აუშენებია 3.122 კვადრატული საჟენი საცხოვრებელი მოედანი.

ეს ცნობები იმის მაჩვენებელია, რომ საბინაო კოოპერატიული მშენებლობა ჩვენში არ გაშლილა საჭიროების შესაფერისად. აღმშენებლობის ამ დარგს დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. საბინაო კოოპერატიული ამხანაგობები მოკლებულნი არიან სათანადო ფინანსიურ და მატერიალურ დახმარებას ჩვენი სამეურნეო ორგანოების მხრივ, კერძოდ არ არის მოწესრიგებული კრედიტის საკითხი, რასაც ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშენებლობის გაფართოებისათვის. უმთავრესად ამით უნდა აიხსნას, რომ 35 საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობიდან მხოლოდ ექვსმა შესძლო მშენებლობის წარმოება.

საბინაო აღმშენებლობა ისეთი დარგია, რომელიც ითხოვს საგრძნობ თანხებს და ისიც ხანგრძლივი დროით. საბინაო აღმშენებლობაში ჩადებული თანხა არ იძლევა სარფიანობის ისეთ ჩქარ და თვალსაჩინო ეფექტს, როგორც სხვა საქმეზე გაღებული საშუალებანი. ამიტომაა, რომ ჩვენს საერთო ფინანსიურ ხელმოკლეობის პირობებში, როცა თვითეული მანეთი ანგარიშზეა აღებული, სამეურნეო ორგანოები ერიდებიან საბინაო აღმშენებლობაზე თანხის გაღებას. მაგრამ ეს მხოლოდ ახსნაა საბინაო აღმშენებლობისადმი გულგრილობის და არა ამ გულგრილობის გამართლება.

პარტიამ ივლისის გაერთიანებულ პლენუმის სახით უკვე სთქვა თავისი კატეგორიული სიტყვა საბინაო აღმშენებლობის ყოველმხრივ გაფართოებისა და გაცხოველების შესახებ. პირველი ადგილი აქ ჩვენს სამეურნეო ორგანიზაციებს ეკუთვნის. უნდა დაძლეულ იქნას ის ინდიფერენტიზმი, რომელსაც ადგილი აქვს საბინაო აღმშენებლობით საკითხისადმი, უნდა ღრმათ იქნას შეთვისებული ის აზრი, რომ საბინაო აღმშენებლობა ინდუსტრიალიზაციის ამოცანის თანამიმდევარი და განუშორებელი ნაწილია.

მაგრამ მარტო საბინაო მშენებლობით არ განისაზღვრება ბინის კრიზისთან ბრძოლის საქმე. აქ უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს უკვე არსებულ საბინაო ინვენტარის რიგიანად მოვლა - პატრონობასაც. ამ მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს მოწესრიგებული საქმე. მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლების გამგებლობის დარგში არ არის სისტემა და გეგმიანობა.

სახელმწიფო სახლების მოვლა - პატრონობის მხრივ უმეტეს შემთხვევაში ყველაზე უფრო ფხიანობა და ცხოველმყოფელობა გამოიჩინა ეგრეთწოდებულ საბინაო საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებმა. ამ ამხანაგობათა რიცხვი მარტო თბილისში 200 - დე აღწევს. ისინი აერთიანებენ 6.000 წევრს. არის ასეთივე ამხანაგობები ბათომსა და სოხუმში. ეს უკვე გაცილებით მძლავრ კოოპერატიულ ორგანიზაციას წარმოადგენს, ვიდრე საბინაო საალმშენებლო კოოპერაცია.

საჭიროა ამხანაგობათა ამ ტიპის შესწავლა და მათი მუშაობის წახალისება.

ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბინაო მშენებლობას აქვს არა მარტო ეკონომიური, არამედ უაღრესად კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა. ბინის საკითხთან მჭიდროთაა გადანასკვული ახალი ყოფა - ცხოვრების, ახალი საზოგადოებრიობის და კულტურულ ცხოვრების განმტკიცების საქმე. კოოპერატიული საბინაო მშენებლობა კი ერთი იმ მძლავრ იარაღთაგანია, რომელიცსაშუალებას მოგვცემს დავძლიოთ არსებული საბინაო კრიზისი. ამიტომ ივლისის გაერთიანებულ პლენუმის დირექტივა კოოპერატიულ საბინაო ამხანაგობათათვის ყოველ მხრივ ხელის შეწყობის შესახებ უკლებლივ და მტკიცედ უნდა იქნას შესრულებული ჩვენი სამეურნეო, პროფესიულ და კოოპერატიულ ორგანოების მიერ.

მ. ლ—ძე.

ანტიფაშისტური პარტიების დარბევა იტალიაში

მუსოლინის განკარგულებით პარლამენტიდან გამორიცხეს 128 დეპუტატი

გამორიცხული არიან: კომუნისტები, დემოკრატები, უნიტარები და მაქსიმალისტები

რეაქციონური არმიის დამარცხების შემდეგ, კანტონის ჯარი ნანკინისაკენ მიემართება

ფაშიზმის თარეში

მუსოლინის ცირკულიარი

რომი, 9 ნოემბერი. სტეფანის სააგენტოს ცნობით, მუსოლინი შეუდგა შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის ასრულებას და გამოსცა ცირკულიარი, რომლითაც წინადადებას აძლევს პრეფექტებს, რათა გამოიყენონ ყველა არსებული კანონები ფაშისტური რეჟიმის დასაცავად. (ადს).

კომუნისტების დაპატიმრება

რომი, 9 ნოემბერი. **პარლამენტის გახსნის წინ დატუსაღებულ იქნენ კომუნისტი დეპუტატები გრამში და ფერარი.**

ფარინაჩის პარლამენტში შეაქვს წინადადება, რომ გაუქმებულ იქნას 99 დეპუტატის—დემოკრატების, უნიტარების, მაქსიმალისტების და კლერიკალების მანდატები.

ამ წინადადებას ასაბუთებენ იმით, რომ ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ბოიკოტი გამოუცხადეს პარლამენტის მუშაობას. (ადს).

კანონპროექტი მიიღეს

პარიზი, 10 ნოემბერი. რომიდან მიღებული ცნობით, **პარლამენტმა 818 ხმით წინააღმდეგ 6 ხმისა მიიღო კანონპროექტი თავდაცვის შესახებ.** გარდა ამისა მიღებულ იქნა დადგენილება ოპოზიციის და კომუნისტ დეპუტატების პარლამენტიდან გამორიცხვის შესახებ. **გამორიცხულ დეპუტატების რიცხვი 128 უდრის.** (ადს).

დეპუტატების დევნა

რომი, 9 ნოემბერი. ფაშისტურ პარტიის გენერალური მდივანი ტურატი პარლამენტში შეიტანს წინადადებას, რომ გაუქმებულ იქნას კომუნისტ-დეპუტატების მანდატები. (ადს).

მუსოლინის პარლამენტი

რომი, 10 ნოემბერი. სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ **დეპუტატთა პალატამ მიიღო ფაშისტური პარტიის გენერალური მდივნის ტურატტის წინადადება დეპუტატთა პალატიდან ოპოზიციის გამორიცხვის შესახებ. მანდატ წართმეულ დეპუტატთა რიცხვი უდრის 128.**

გამორიცხული დეპუტატები ეკუთვნიან კომუნისტურ, სოციალისტურ, რესპუბლიკანურ, სახალხო და სოციალური დემოკრატიის პარტიას. ყველა ჩამოთვლილი პარტიები, გარდა კომუნისტებისა, შეადგენენ ავენტინის ოპოზიციურ ბლოკს. (ადს).

ოპოზიციის ლიკვიდაცია

რომი. 10 ნოემბერი. სახელმწიფოს თავდაცვის შესახებ გამოცემულ ახალი კანონის საფუძველზე **10 ნოემბერს დამით დაიხურა დაშლილად გამოცხადებულ ანტიფაშისტურ პარტიებისა და ორგანიზაციების ბინები.**

სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ დაბეჭდილი შენობები უახლოეს ხანში გაიწმინდება და გადაკეთებულ იქნება საცხოვრებელ ბინებათ. (ადს).

კანტონის ახალი გამარჯვება

ნან ჩანის დაკავება

პეკინი, 9 ნოემბერი. **პრესა ადასტურებს ცნობას 5 ნოემბერს კანტონის არმიის მიერ ნანჩანის (ძიან-სის პროვინცია) დაკავების შესახებ.**

გაზეთების ცნობით, სუნ-ჩუან-ფანის ჯარების უფროსი ჩან-ჩუნ-იენი, რომელიც ხელმძღვანელობდა ნანჩანის დაცვას, იძულებული გახდა გაეყვანა თავისი ჯარი ქალაქიდან, რადგან **ჯარს არ სურდა კანტონელების წინააღმდეგ ბრძოლა.**

ფუ-ძიანის პროვინციაში კანტონის ჯარების წინსვლა გრძელდება.

გაზეთების ცნობით, **კანტონის ჯარებმა დაიკავეს ჩან-ჯოუ,** რომელიც 100 კილომეტრით დაშორებულია გუან-დუნის საზღვრიდან.

კანტონელთა მეორე რაზმი, რომელიც უტევს ძიან-სიდან, წინ მიიწევს ენპინისაკენ 175 კილომეტრის დაშორებით ძიან-სის საზღვრებიდან. (ადს).

რეაქცია მარცხდება

ლონდონი, 10 ნოემბერი. „დეილი მეილი"-ს ცნობით, **კანტონელები ემზადებიან შეტევისათვის გენერალ სუნ-ჩუან-ფანის დედა-ქალაქ ნანკინის წინააღმდეგ.** სუნ-ჩუან-ფანის საუკეთესო დივიზიები ერთმანეთისაგან მოწყვეტილია კანტონელების მიერ იმ ბრძოლის შემდეგ, რომელიც მოხდა ცზიან-სისთან.

ხუ-კოუს დაკავება

პეკინი, 10 ნოემბერი. იტყობინებიან, რომ **ხუ-კოუ** (ცი-სის პროვინცია) **დაიკავა კანტონის არმიამ.** დაკავებულია აგრეთვე ხუ-ჩოუ. სუნ-ჩუან-ფანის არმია უკან იხევს მდინარეს მიმართულებით. ამნაირად სამოქმედო ასპარეზი გადავიდა პროვინცია ან-ხოუში.

ამერიკას ეშინია

პარიზი, 10 ნოემბ. „მორნინგ პოსტ"-ს მიერ ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობებით, სახელმწიფო დეპარტამენტი თვალყურს ადევნებს **ჩინეთ - ბელგიის ხელშეკრულების გაუქმების კამპანიის მსვლელობას. ოფიციალურ წრეებში ფიქრობენ, რომ ჩინეთი ყველა ხელშეკრულებებს გააუქმებს.**

გამომჟღავნებული პროვოკაცია

ვარშავა, 9 ნოემბერი. ეროვნულ დემოკრატების გაზეთი **„კურიერ ვარშავსკი"** აქვეყნებს თავის საზღვარგარეთელ კორესპონდენტის ცნობას: კორესპონდენტი გასცნობია კუნძულ ყუბაზე უკრაინელ **ოლშანსკის,** რომელმაც 1924 წელში ქ. ლვოვში ყუმბარა ესროლა პოლონეთის პრეზიდენტს **ვოიცეხოვსკის.** ოლშანსკიმ მოუთხრო „კურიერ ვარშავსკის" კორესპონდენტს ყველაფერი დაწვრილებით უშედეგო თავდასხმის შესახებ. ამნაირად მტკიცდება უასთუძვლობა იმ ბრალდებების, რომელიც წაუყენა თავის დროზე ლვოვის პოლიციამ შტეიგერს. **ოლშანსკიმ დაადასტურა, რომ თავდასხმას ჰქონდა პოლიტიკური ხასიათი და მოწყობილი იყო უკრაინის ტერორისტული ორგანიზაციის მიერ.**

შენიშვნა: 1924 წელში ქალაქ ლვოვში ყუმბარა ესროლეს, პოლონეთის პრეზიდენტს ვოიცეხოვსკის. ამ საქმის გამო პოლიციამ დაატუსაღა სიონისტი შტეიგერი, რომლის წინააღმდეგ „ოხრანკამ" შეადგინა საბრალმდებლო აქტი, რაც საფუძვლად დაედო შტეიგერის პროცესს, რომელმაც ერთ დროს დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. (ადს).

ფრანგები სირიაში

ანგორა, 9 ნოემბერი. **საფრანგეთის ჯარი იძულებული იყო დაეტოვებია ზოგიერთი პოზიციები ჯებელ დრუზში გერმონის მთის რაიონში** (სირია).

საფრანგეთის ჯარის უკან დახევა იმით აიხსნება, რომ **ზოგიერთი ოლქების** მოსახლეობა, რომელიც ფრანგებს დაემორჩილა, ვერ გაუძლო საფრანგეთის ხელისუფლების მიერ შემოღებულ მძიმე გადასახადებს და **ხელახლად აჯანყდა.** (ადს).

რუმინეთის პროფკავშირები

ვენა, 9 ნოემბერი. **რუმინიის რეფორმისტული პროფკავშირების საბჭომ წინადადება მისცა რევოლიუციონურ პროფკავშირთა საბჭოს, რომ გაიმართოს მოლაპარაკება გაერთიანების შესახებ.**

ეს ნაბიჯი რეფორმისტულმა პროფსაბჭომ გადასდგა მუშათა მასების ზეგავლენით.

უნიტარული პროფკავშირების საბჭო კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ რეფორმისტები მზად არიან დაიწყონ მოლაპარაკება გაერთიანების შესახებ. (ადს).

საბჭოთა პრესა

სესხი ღარიბ გლეხობას

საკრედიტო ამხანაგობათა დანიშნულებას შეადგენს სესხის მიცემა პირველ ყოვლისა ღარიბ გლეხებისათვის და ამ გზით მათი მეურნეობათა ფეხზე წამოყენება. მაგრამ ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ღარიბი გლეხი აღებულ სესხს ამხანაგობას უკან ვერ უბრუნებს და თვითონაც მიზანშეწონილად ვერ იყენებს. ამ მხრივ, სხვათა შორის, საგულისხმო ცნობებს აწვდის „ბედნოტა"-ს ერთ-ერთი კორესპონდენტი, რომელიც სწერს:

„ჩვენი ამხანაგობა აერთიანებს 650 კომლს. მათგან 386 ღარიბი მეურნეობაა. უკანასკნელთაგან 255 დაკმაყოფილებულია სესხით 9.233 მან. რაოდენობით. საშუალო გლეხობას კი შეხვდა 2.419 მ. როგორც ვხედავთ, ამხანაგობა პირველ რიგში აკმაყოფილებს ღარიბ გლეხებს. აქ მოყვანილია საკრედიტო ოპერაციების ციფრები 1924 წლიდან 1926 წ. მაისამდე. ამ ოპერაციების შედეგები სავალალოა. სესხი ყველა ვადაგადაცილებულია. მევალეებმა დააბრუნეს აღებულ ფულის 10%. ღარიბებმა კი მხოლოთ 5%. 255 ღარიბ გლეხიდან,რომელთაც სესხი მიეცათ,200 კაცმა ის არადანიშნულებისამებრ მოიხმარა, ხშირად სესხს ტყვილ - უბრალოდ ფლანგავდენ. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა სესხი საქმეს ხმარდებოდა, მაგრამ, სესხით შეძენილის სწორი გამოყენების შეუძლებლობის გამო, ღარიბი გლეხი ყიდდა შეძენილ ცხენს, ინვენტარს და თესლეულსაც კი. მოვიყვან რამოდენიმე ჩვეულებრივ მაგალითს. ბაშუროვმა ორი წლის განმავლობაში მიიღო სხვადასხვა საჭიროებისათვის სესხი 115 მან. ყველა სესხი დახარჯა არა დანიშნულებისამებრ, და ეხლა იძულებულია მოჯამაგირედ წავიდეს. კომკავშირელმა მ. აიღო სესხი 45 მან., დახარჯა ტანისამოსზე და მის [illegible] წავიდა წითელ არმიაში. საპოუნიკოვმა პიროუტყვის შესაძენად, მის გამოსაკვებად, მიწის მოსახნავად და ცხენისა და თესლის საყიდად მიიღო 127 მ. დანიშნულებას მოახმარა 90 მ., ხოლო 37 მ. დახარჯა სხვადასხვა საოჯახო საჭიროებაზე. ცხენი დღემდე შეინარჩუნა. სესხს არ აბრუნებს; რომ დააბრუნოს, საჭირო გახდება ცხენის გაყიდვა, და მაშინ კვლავ გაჭირვება და მოჯამაგირეობაა მისი ხვედრი. აქედან სჩანს, რომ კრედიტი, რომელიც თითქმის მარტო ღარიბ გლეხებს ეძლეოდა, თავის მიზანს ვერ აღწევდა. ღარიბულ მეურნეობათა 80% ვერ გააუმჯობესა თავისი მდგომარეობა და ამავე დროს შეარყია ამხანაგობის კრედიტუნარიანობა".

მსგავს მოვლენებს ჩვენშიაც ბლომად წააწყდებით. სესხის დაუბრუნებლობა ღარიბ გლეხის მიერ ეს საკრედიტო ამხანაგობის მტკივანი ადგილთაგანია. ამ მიზეზით ზოგიერთი მათგანი კიდეც გაურბის ღარიბ გლეხისათვის სესხის მიცემას. მაგრამ ამ შემთხვევაში ამხანაგობა ხომ თავის არსებობის უმთავრეს აზრს კარგავს. საქმეს სხვანაირად უნდა მოუაროთ. ამხანაგობამ ფხიზელი მეთვალყურეობა უნდა გასწიოს, რომ გაცემული სესხი საწარმოო მიზნისათვის იქნეს გამოყენებული. მიზანშეწონილია, სადაც ეს მოხერხდება, სესხის გაცემა არა ფულით, არამედ ნატურით. სათანადო საზოგადოებებმა, ორგანიზაციებმა, პირველ ყოვლისა გლეხკომებმა ყოველნაირი დახმარება უნდა აღმოუჩინონ ღარიბ მეურნეობას, რათა აღებული სესხი მან ნაყოფიერად მოიხმაროს. ასეთ პირობებში ის წელში გასწორდება და სესხის გაცემაც უზრუნველყოფილი იქნება.

ინგლისის მუშების ბრძოლა

კუკის განცხადება

ლონდონი, 9 ნოემბერი. ირკვევა, რომ გუშინდელი ცნობა იმ წინადადებების შესახებ, რომლებიც მთავრობასთან მოლაპარაკების დროს თითქოს წარადგინა სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომმა, ცნობა, რომელიც გამოაქვეყნა მუშათა პარტიის ორგანომ „დეილი გერალდ"-მა, ისე როგორც ლონდონის სხვა გაზეთებმა, **სიმართლეს** არ შეესაბამება.

კუკმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ფედერაციის აღმასკომს მთავრობისათვის ოფიციალურად არავითარი წინადადებები არ წარუდგენია.

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ „დეილ გერალდ"-ის და ინგლისის სხვა გაზეთების მიერ გამოქვეყნებული წინადადებები სინამდვილეში წამოაყენა არა სამთამადნო მუშების ფედერაციამ, არამედ საშუამავლო კომიტეტმა, რომელიც ცდილობს ამ გამოქვეყნებით ზეგავლენა მოახდინოს სამთამადნო მუშებზე და აიძულოს ისინი დათმობაზე წავიდენ მაღაროს მეპატრონეების მიმართ. (ადს.)

სადელეგატო კონფერენცია

ლონდონი, 9 ნოემბერი. **ოთხშაბათს 10 ნოემბერს, შესდგება სამთამადნო მუშათა ფედერაციის სადელეგატო კონფერენცია,** რომელზედაც განხილულ იქნება სამუშაო დღის გაგრძელების საკითხი. (ადს).

საბოლოო გადაწყვეტის წინ

ლონდონი, 10 ნოემბერი. **დღეს მემაღაროეთა სადელეგატო კრებამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი—სრული უფლებით არის თუ არა აღჭურვილი მემაღაროეთა აღმასკომი დასდვას შეთანხმება ნაციონალურ პრინციპების საკითხზე და საბოლოოდ გადაწყვიტოს საკითხი სამუშაო საათების გადიდების შესახებ** ამას შედეგად მოჰყვება სამუშაოზე მემაღაროეთა საბოლოოთ დაბრუნება რაიონებში. აღმასკომში აზრთა სხვადასხვაობაა. თუ კრება მიიღებს 7 საათის სამუშაო დღის გაგრძელებას, მაშინ, როგორც იუწყებიან, ყველა სადავო საკითხები უფრო ჩქარა გადაწყდება. (ადს).

ბურჟუაზიის იმედები

ლონდონი, 10 ნოემბერი. ბურჟუაზიული პრესა განსაკუთრებით აღნიშნავს ოფიციალურ ცნობებს მაღაროებში მომუშავეთა რაოდენობის შესახებ და სამუშაოზე დაბრუნებულთა რიცხვის მნიშვნელოვან გადიდებას.

ის, რომ ფაქტიურად მემაღაროეთა საერთო რიცხვის ერთი მესამედი ამჟამად უკვე მუშაობს რაიონულ შეთანხმებების საფუძველზე, რომლის მიხედვით სამუშაო დღე 7 საათს აღემატება, პრესის აზრით, წარმოადგენს შექმნილი მდგომარეობის მნიშვნელოვან ფაქტორს. ამ გარემოებამ, პრესის აზრით, მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოახდინოს ხვალინდელ სადელეგატო კონფერენციაზე, რათა აიძულოს ის სამუშაო დღის გაგრძელებაზე. (ადს).

სმიტის განცხადება

ლონდონი, 10 ნოემბერი. მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციის დღევანდელ კრებაზე კუკი გამოვიდა ვრცელი მოხსენებით მთავრობასთან მოლაპარაკების შესახებ.

ჰერბერტ სმიტმა აღნიშნა, რომ ამ თათბირებზე აღმასკომი იმდენად წავიდა შორს, რამდენადაც ის სთვლიდა თავის თავს მემაღაროეთა უკანასკნელი სადელეგატო კონფერენციის სრულუფლებიან რწმუნებულად, და ამიტომ დღევანდელი სადელეგატო კონფერენცია მოწვეულია შემდეგი ინსტრუქციების მისაცემად.

შეთანხმების მიუღწევლობის გამო, კონფერენცია გადაიდო ხვალისთვის.

როგორც პოლიტიკურ წრეებიდან იტყობინებიან, მოლაპარაკების გაგრძელებამდე მთავრობა მოითხოვს სამთომადნო მუშათა აღმასკომისაგან წერილობით გარანტიას, რომ ის სადელეგატო კონფერენციისაგან სრული უფლება აღჭურვილია მიიღოს რაიონული შეთანხმებები რაიმე შესწორებების გარეშე სამუშაო საათების შესახებ. (ადს).

ბოლდუინის ოპტიმიზმი

ლონდონი, 10 ნოემბერი. გილდჰოლში გამართულ ბანკეტზე **ბოლდუინმა წარმოსთქვა სიტყვა** საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ, რომელშიც აღნიშნა ის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებანი, რომელნიც მიღწეულ იქნა ამ სამი წლის წინედ გამართულ უკანასკნელ საიმპერიო კონფერენციის შემდეგ. მაშინ ეს იყო ერთი უმძიმესი მომენტთაგანი ომის შემდეგ, ამჟამად კი არსებული მდგომარეობა შეიძლება დახასიათდეს, როგორც უაღრესად დამაკმაყოფილებელი სამხედრო მოქმედების შეწყვეტის დროიდან. შესამჩნევი ხდება უფრო მოწესრიგებული და უფრო მტკიცე ეკონომიური პირობები. საფრანგეთი, იტალია, გერმანია და ინგლისი შეთანხმებულად მუშაობენ მშვიდობიანობისა და ევროპის აღდგენის საქმეზე. ლოკარნოს ხელშეკრულება შევიდა ძალაში და ის წარმოადგენს მშვიდობიან თანაცხოვრებისაკენ დაბრუნების ნიშანს. ევროპის ყველა ქვეყნებში ერთი აზრის არიან, სახელდობრ, რომ მხოლოდ შეთანხმებული, ურთიერთ თანამშრომლობის გზით შესაძლებელია წინასწორობისა და მშვიდობიანობის დაცვა. ერთა ლიგას მიუძღვის დამსახურება ზოგიერთ ევროპიულ პრობლემების გადაჭრაში. **ევროპის აღდგენა წარმოადგენს ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის დედა ბოძს. ბოლდუინი მადლობას უხდის მუშათა პარტიის მთავრობას, რომელიც ხელისუფლების სათავეში ყოფნის მოკლე ხნის განმავლობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა** ამ მიზნის მიღწევის საქმეში. თუ დასავლეთ ნახევარ ბირთვში არის საფუძველი იმედით შევყუროთ მომავალს, მაშინ აზიასა და ევროპაში პროგრესი არაა საკმაოდ შესამჩნევი, ხოლო **ჩინეთში ბრიტანეთის მთავრობის წინაშე წამოჭრილია საკმაოდ მძიმე ამოცანა. ინდოეთის შესახებ უფრო დაიმედებული** კილოთი შეიძლება ვილაპარაკოთ დღეს, ვიდრე წარსულ უკანასკნელ წლებში. (ადს).

კუკის განმარტება

ლონდონი, 9 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის შეკითხვაზე იმ ეჭვების შესახებ, რომლებიც აღიძრენ გაზეთებში გამოქვეყნებულ სამთამადნო მუშათა ფედერაციის პირობებთან დაკავშირებით და კუკის განცხადების გამო პრესის წარმომადგენლებთან იმის შესახებ, რომ ეს ცნობები სწორი არ არის, კუკმა განმარტა შემდეგი:

მისი განცხადება იმ წინადადების გარშემო, რომლებიც ვითომდა გაეკეთოს სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომს მთავრობასთან წარმოებულ მოლაპარაკების დროს, მიზნად ჰქონდა აღენიშნა, რომ ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომს არ მიუცია რაიმე გარკვეული წინადადებები მთავრობისათვის, არამედ მხოლოდ კონტრ - წინადადება წამოაყენა მთავრობის პროექტის წინააღმდეგ. კუკმა აღიარა რომ მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი"-ს მიერ ფედერაციის აღმასკომის კონტრ - წინადადებათა განმარტება ძირითადათ სწორია, თუმცა ისინი არ წარედგინა მთავრობას ასეთ განსაზღვრულ ფორმაში.

დასასრულ კუკმა განსაკუთრებით აღნიშნა მაღაროებში 7 საათის სამუშაო დღის საკითხის მნიშვნელობა.

„რამდენადაც საქმე შეეხება მე და ჰერბერტ სმიტს, სთქვა კუკმა, ჩვენ უარს ვამბობთ გამოვიდეთ სადელეგატო კონფერენციის წინაშე სამუშაო დღის გაგრძელების დასაცავად, ისევე, როგორც მივიღოთ მონაწილეობა რომელიმე შეთანხმებაში, რომელიც გულისხმობდეს სამუშაო დღის გაგრძელებას".

შვეციის მუშების ხმა

სტოკჰოლმი, 9 ნოემბერი. შვეციის კომუნალური მეურნეობის მუშაკთა დელეგაციამ, რომელიც ამა წლის მაისში საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა, გამოაქვეყნა თავის მოგზაურობის ანგარიში.

ანგარიშის დასკვნითი ნაწილში ნათქვამია: **„ბრძოლა, რომლის წარმოებაც მოუხდათ რუს ამხანაგებს უფრო ძლიერ გარეშე მტრის წინააღმდეგ, აღფრთოვანების ღირსია.** შვეციის კომუნალური მეურნეობის მუშაკნი ყოველმხრივ შეეცდებიან ხელი შეუწყონ რუს კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა თანამშრომლობას არა მარტო შვეციის, არამედ კომუნალურ მუშაკთა საერთაშორისო ორგანიზაციასთანაც. (ადს).

მუშების მოთხოვნილება

პრაღა, 9 ნოემბერი. **ჩეხო-სლოვაკიის ყველა მსხვილ სანახშირო რაიონების მუშათა წარმომადგენლების საოლქო კონფერენციამ დაადგინა წარადგინოს მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის 20 პროცენტით გადიდების შესახებ.** გაერთიანებული სასოფლო-სამეურნეო მუშებიც მოითხოვენ, აგრეთვე, სამუშაო ხელფასის გადიდებას რასაც, ასაბუთებენ პურზე ფასის 35 პროცენტით, ხოლო კარტოფილზე 30 პროცენტით გაძვირებით. (ადს).

ინგლისის პალატების გახსნა

ლისტერის განცხადება

ლონდონი, 9 ნოემბერი. გაიხსნა ორთავე პალატის სესია.

თემთა პალატაში ვაჭრობის მინისტრმა **ლისტერმა** შეკითხვის საპასუხოთ განაცხადა, რომ **მრეწველობის ზარალი, რომელიც გამოიწვია მემაღაროეთა გაფიცვამ და უმუშევრობის ზრდამ განისაზღვრება 250-300 მილ. გირვ. სტერლინგით.**

ქვა-ნახშირის მრეწველობის საქმეთა სტატსმდივანმა ფოკსმა განაცხადა, რომ მაისის დასაწყისში ინგლისში ამოღებულ ინა 10,5 მილ. ტ. ქვა-ნახშირი. გაფიცვამდე ნახშირის მოხმარება ინგლისში შეადგენდა 4 მილ. ტონას კვირაში. (ადს).

მუშების დევნა

ლონდონი, 9 ნოემბერი. მუშათა პარტიის და პარლამენტის წევრი კირკვუდი ღერბიშირის ნახშირის რაიონში წარმოთქმულ სიტყვისთვის პასუხისგებაშია მიცემული, საგანგებო მდგომარეობის კანონის საფუძველზე. **15 ნოემბერს კირკვუდი უნდა წარსდგეს ღერბის სასამართლოს** წინაშე. (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

კიშინევის ოხრანკა

ვენა, 10 ნოემბერი. კიშინევის ოხრანკამ დახურა ყველა ადგილობრივი პროფკავშირები. ამის გამო დახურულ პროფკავშირების წარმომადგენლებმა შრომის მინისტრს განუცხადეს პროტესტი. (ადს)

თავდასხმა პონსოზე

ანგორა, 10 ნოემბერი. საფრანგეთის ახალ უმაღლეს კომისარს სირიაში ანრი პონსოს დამასკში თავს დაესხნენ ვიღაც ბოროტმოქმედნი, რომლებმაც ესროლეს მას რევოლვერი.

სირიის გაზეთებს აეკრძალათ ამ თავდასხმის შესახებ ცნობების მოთავსება. (ადს)

ბრიუნეს არჩევა

პარიზი, 10 ნოემბერი. ბრიუსელიდან მიღებული ცნობით, ბრიუნე არჩეულ იქნა ბელგიის პარლამენტის თავმჯდომარეთ, დერ-როდენბეკკი—სენატის თავმჯდომარეთ. (ადს)

მარშალის რესპუბლიკაში

ვარშავა, 10 ნოემბ. ოთხშაბათს, 10 ნოემბერს ეროვნული დღესასწაულის წინ (პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენის რვა წლის თავი) პილსუდსკიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც გადაცემულ იქნება რადიოთი. (ადს)

რადიო „ამხანაგიდან"

მოსკოვი, 10 ნოემბერი. მიღებულია რადიოგრამა „ამხანაგიდან":

„ეკვატორის ზოლში მყოფი გემი „ამხანაგის" მეზღვაურები დღესასწაულობენ ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლის თავს და ამხანაგურ მილოცვას უძღვნიან მშობლიურ ქვეყანას—მისი ბელადების სახით. (ადს)

ჟურნალისტების პროტესტი

ვარშავა, 10 ნოემბერი. პარლამენტის ჟურნალისტებმა გამოაქვეყნეს პროტესტი პრესის შესახებ ახლად გამოცემულ კანონის წინააღმდეგ. (ადს)

„მოეწონა სინათლე"

ვარშავა, 10 ნოემბერი. ბოსტონის ბანკის დირექტორმა გარდინგმა გუშინ ინახულა პოლონეთის ბანკის მმართველი კარპინკი, რომელსაც დიდხანს ესაუბრა.

ამის შესახებ ოფიციალურად გამოქვეყნებულ ცნობებში ნათქვამია, რომ გარდინგს „ძლიერ მოეწონა ბანკის ელექტრონის სინათლე". (ადს)

უსაქმო ლაყბობა

ლონდონი, 10 ნოემბერი. საიმპერიო კონფერენციის პარასკევის სხდომაზე დიდხანს გაგრძელდა კამათი ფილმის ხმარების შესახებ. ასეთი კამათი არ ყოფილა არც ერთი საკითხის გარჩევის დროს.

საფრანგეთი კმაყოფილია

პარიზი, 10 ნოემბერი. ბრიანმა მიიღო იტალიის ელჩი, რომელსაც განუცხადა, რომ საფრანგეთი დაკმაყოფილებულია მას შემდეგ, რაც მუსოლინიმა წერილობითი მოიხადა ბოდიში.

„პიონერების" ზარალი

ლონდონი, 10 ნოემბერი. თემთა პალატაში ჩინეთის ამბების შესახებ ბალფურმა განაცხადა: „ჩვენ პიონერები ვიყავით ჩინეთთან ვაჭრობის საქმეში და ამიტომ ყველაზე უფრო დავზარალდით უკანასკნელი ამბების გამო".

კრიზისი ინგლისში

ლონდონი, 10 ნოემბერი. უმუშევართა რიცხვი გაიზარდა. მოელიან გადასახადის გადიდებას ლუდზე და თამბაქოზე.

სიკორსკის ნაგავი

ვარშავა, 10 ნოემბერი. ლვოვში ყოფილმა სამხედრო მინისტრმა სიკორსკიმ წაკითხულ მოხსენებაში განაცხადა, რომ ჯარი არ უნდა ჩაერიოს პოლიტიკაში, ვინაიდან ეს მას, ნაგავეთ გახდისო.

ამხ. ჩიჩერინის და ტევფიკ-რუშტი-ბეის შეხვედრა

მოსკოვი, 10 ნოემბერი. სამშაბათს, 9 ნოემბერს, მოსკოვიდან ოდესაში გაემგზავრა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. **ჩიჩერინი,** რომელიც ოდესაში შეხვდება ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრს **ტევფიკ-რუშტი-ბეის;** ტევფიკ-რუშტი-ბეი ოთხშაბათს 10 ნოემბერს გამოემგზავრება სტამბოლიდან ოსმალეთის სამხედრო გემით—„გამიდიეთი".

ოდესაში „გამიდიეს" მოსვლა არის პასუხი საბჭოთა სამხედრო გემების „პეტროვსკი"-ს და „ნეზამოჟნიკ"-ის მიერ ოსმალეთის ნავთსადგურების დავლაზე ამ ზაფხულს.

ოდესაში იმავ მატარებლით გაემგზავრა ოსმალეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ზექია-ბეი.

საბჭოთა კავშირი და ლიტვა

კოვნო, 10 ნოემბერი. **ლიტვას საგარეო საქმეთა სამინისტროში მოხდა ლიტვა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლა.** ლიტვის მთავრობის მხრივ სიგელი ჩააბარა საგარეო საქმეთა მინისტრმა **სლიაჟევიჩმა,** ხოლო საბჭოთა მთავრობის მხრივ—საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ლიტვაში **ალექსანდროვსკიმ.** (ადს).

ერთა ლიგის კონტროლი

პარიზი, 10 ნოემბ. **ბრიანმა** გუშინ მიიღო ბრიტანეთის ელჩი და სამხედრო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე. შეხვედრა გამოწვეულია გერმანიაზე მოკავშირეთაშორისო კონტროლის შეცვლით ერთა ლიგის კონტროლით. **გერმანიას ჯერ არ შეუსრულებია კომისიის მიერ მოთხოვნილი პირობები,** რომ განიარაღება ცნობილ იქნას განხორციელებულად. მოკავშირეებს, გერმანიას მოთხოვენ ახალ საშუალებებს მის წინაშე წაყენებულ პირობების შესასრულებლად.

ერთა ლიგის საბჭოს კრება გაიმართება დეკემბერში. (ადს).

პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობა

პარიზი, 10 ნოემბ. ვარშავის გაზეთები იუწყებიან, რომ **პოლონეთ - გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკება შეფერხდა,** მიუხედავათ იმისა, რომ პოლონეთი მზად არის მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდეს. გაზეთები ფიქრობენ, რომ თუ გერმანია ინგლისის გაფიცვის დასრულების იმედით განაგრძობს მოლაპარაკების გადადების პოლიტიკას, ამას შეუძლია ცუდი გავლენა იქონიოს პოლონეთის სანახშირო მრეწველობაზე. (ადს).

წყალქვეშა ნავი

ტოკიო, 9 ნოემბერი. კავასაკის ნავთსადგურში კობში ჩაშვებულ იქნა იაპონიის **უდიდესი წყალქვეშა ნავი,** რომლის წყალ-ტევა **2.200 ტონას** უდრის. ნავის მაქსიმალური სისწრაფე 25 კვანძს უდრის საათში. ნავს გამოიყენებენ რამოდენიმე ჰიდრო-თვითმფრინავის გადასაზიდად. (ადს).

„ჰიუმანიტე"-ს რედაქტორის გასამართლება

პარიზი, 10 ნოემბერი. დაიწყო კომუნისტ დეპუტატისა და „ლიუმანიტე"-ს მთავარი რედაქტორის **ვაიან-კუტიურიეს** საქმის გარჩევა. იგი სასამართლოშია მიცემული იმ წერილის გამო, რომელიც დაიბეჭდა მუსოლინიზე თავდასხმის შესახებ. (ადს).

მუშათა მოძრაობა

სტოკჰოლმი, 9 ნოემბერი. 7 ნოემბერს გეტებორგში შემდგარმა მელითონეთა კავშირის ვესტგერდის სარაიონო ორგანიზაციის **კონფერენციამ დაადგინა მოსთხოვოს პროფკავშირთა რეფორმისტულ გაერთიანებას მოიწვიოს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები** სკანდინავია-ბალტიის პროფკავშირთა კონფერენციაზე. (ადს).

ფეიქართა გაფიცვა

პრაღა, 9 ნოემბერი. **ხომსაში და ალეპოში (სირია)** ფეიქრებმა გამოაცხადეს გაფიცვა. ალეპოში მთავრობის საარბიტრაჟო კომისიამ დააკმაყოფილა მუშების მოთხოვნილების დიდი ნაწილი. **ხომსაში** კი, სადაც მუშები გაიფიცნენ სამუშაო ხელფასის დაკლების გამო, **გაფიცვა ჯერ კიდევ გრძელდება.** (ადს).

ბამბის მოსავალი

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი. მთავრობის უკანასკნელი ცნობების მიხედვით ბამბის მოსავლის პერსპექტივების შესახებ, მოსალოდნელია უმაგალითო რაოდენობა სახელდობრ, 48 მილიონი შეკვრა. მიუხედავათ ბანკირების ცნობებისა საკრედიტო ორგანიზაციის მოწყობის შესახებ, რათა ფერმერებს სესხის საშუალებით შესძლებოდათ ზედმეტი მოსავლის საწყობებში შენახვა, ერთი შეკვრა ბამბა მხოლოდ 12 ცენტად ფასობს. სპეციალისტების გამოანგარიშებით **ეს ფასი უკვე წარმოების ღირებულებაზე დაბლა სდგას.** ბანკირების პროექტში გათვალისწინებულია ღონისძიებანი, რომელთა მიხედვით ფერმერებს იძულებულს ხდიან სათესი მინდვრები შეამცირონ. **ბამბის კრიზისი დიდ შეშფოთებას იწვევს საქმიან წრეებში და შიშობენ, რომ ეს გავლენას იქონიებს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების მთელს ეკონომიურ ცხოვრებაზედ.** (ადს).

ოქტომბრის ზეიმი უცხოეთში

ლიტვაში

რიგა, 9 ნოემბერი. **საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში შესდგა დარბაზობა, რომელსაც დაესწრენ პრეზიდენტი, მთავრობის წევრები და სეიმის დეპუტატები.**

რიგა, 9 ნოემბერი. **ოქტომბრის რევოლიუციის ცხრა წლისთავის შესრულების გამო რიგაში მრავალ ადგილას გამოფენილ იქნა წითელი დროშები.**

გაზეთის ცნობით არალეგალური კომუნისტური ორგანიზაცია პროკლამაციებს ავრცელებდა. (ადს).

იაპონიაში

ტოკიო, 9 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის ცხრა წლისთავის გამო საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულს **ბესედოვსკის ეწვია მრავალი იაპონელი საზოგადო მოღვაწე და აგრეთვე დიპლომატიური კორპუსისა და პროფკავშირების წარმომადგენელი.** (ადს).

ინგლისში

ლონდონი, 9 ნოემბერი. **ოქტომბრის რევოლიუციის წლისთავის გამო ლონდონში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის დარბაზობას დაესწრენ საფრანგეთის, გერმანიის და იტალიის ელჩები და დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენლები** ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები არ ყოფილან. დარბაზობას დაესწრენ აგრეთვე: ცნობილი მწერალი **ჰერბერტ** უელსი, ცნობილი ექიმი ლორდი **დაუსონი,** ლორდი, **პარმური** და მაკდონალდის მთავრობის ყოფილი წევრები: **კლარენსი** და **ტრეველიანი.** (ადს.)

საფეიქრო მრეწველობა

მოსკოვი, 10 ნოემბერი. ამ დღეებში სამ ინჟინერ - ფეიქართან ერთად გერმანიაში მიემგზავრება საკავშირო საფეიქრო სინდიკატის თავმჯდომარე კალევიცი. ამ კომისიის მიზანია ადგილობრივ შეისწავლოს ქსოვის ახალი მიღწევანი. კალევიცმა გვაუწყა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში გამორკვეულ ხელსაყრელ კონიუნქტურის გამო, შემჩნეულია წარმოების დამატებითი გაფართოება საფეიქრო მრეწველობაში. ბამბის შინაური მარაგი უკვე სჭარბობს ნავარაუდევს, ხოლო ფასების დაკლება ბამბის მსოფლიო ბაზარზე იძლევა შესაძლებლობას შესყიდულ იქნას ის საზღვარგარეთ უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე განზრახული იყო.

დახმარება ღარიბ მოსახლეობას

მოსკოვი, 10 ნოემბერი. **1926—27 წელს საბჭოთა რუსეთის მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატს განზრახული აქვს მნიშვნელოვანად გააფართოვოს დახმარება სოფლის ღარიბი მოსახლეობისადმი.**

წარსულ საოპერაციო წელს ეს დახმარება ტარდებოდა უმთავრესად მიწად-მოწყობის ხაზით: სახელმწიფო ბიუჯეტით გაცემულ იქნა 3 მილ. მანეთი, რამაც შესაძლოთ გახადა განთავისუფლებულიყო მიწად-მოწყობის გადასახადისაგან მოსახლეობის 22 პროც.

1926—27 წელს ღარიბ მოსახლეობის და წითელარმიელთა მიწად-მოწყობისათვის გადადებულია 3.500.000 მანეთი, რაც შესაძლოდ ხდის განთავისუფლებულ იქნეს მიწად-მოწყობის მუშაობის გადასახადისაგან მოსახლეობის 24 პროცენტი. (ადს).

ტეხნიკური ცოდნა სოფელს

მოსკოვი, 10 ნოემბერი. **განათლების და მიწადმოქმედების სახ. კომისარიატებმა შეიმუშავეს მთელი რიგი ღონისძიებათა სოფლად ტეხნიკურ ცოდნის გავრცელებისათვის.** განზრახულია გამოყენებულ იქნეს სახალხო განათლების უკვე არსებული დაწესებულებები—პირველი საფეხურის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები, გლეხურ ახალგაზრდობის სკოლები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დაწესებულებები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთაც უნდა აწარმოონ მუშაობა სოფლებისათვის სპეციალისტების მოსამზადებლად. ფართედ დაყენებული იქნება ეპიზოდიური ლექციები და საუბრები საცდელი დემონსტრაციებით მეველეობის, მესაქონლეობის, მებოსტნეობის და სასოფლო მეურნეობის სხვა დარგების სფეროში.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პროფესიონალურ სასწავლებლებს სოფლად, კერძოთ სამოსწავლო სახელოსნოებს. მოეწყობა მოკლევადიანი მოძრავი კურსები, რომლებიც უმთავრესად ზამთრობით იმუშავებენ. (ადს).

ფასების დაკლებისათვის

მოსკოვი, 10 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ იქნა ძირითადი დებულებანი საქონელზე დაწესებულ მაქსიმალური ზედ-ნადებ ფასების დარღვევის და აგრეთვე საქონლის ახლად გაყიდვის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატებს წინადადება ეძლევათ სისხლის სამართლის და დისციპლინარულ წესით პასუხისგებაში მისცენ სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი მოსამსახურენი, საქონელზე დაწესებულ მაქსიმალურ ზედ-ნადებ ფასების დარღვევისათვის. აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა აკრძალულ საშუამავლო ვაჭრობას ახდენენ. იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო ორგანიზაციები მომწესრიგებელ ორგანოების დადგენილებებს არღვევენ, მიღებული იქნება საკრედიტო-საბანკო ხასიათის რეპრესიული ზომები, საბანკო კრედიტის სრულ მოსპობამდე. (ადს).

გძელვადიანი კრედიტი

მოსკოვი, 10 ნოემბერი. საკავშირო საგეგმო კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი გრძელვადიანი კრედიტების შესახებ. აუცილებელ საჭიროებად არის ცნობილი, რათა აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობას კრედიტი გაუხსნას 500.000 მანეთის რაოდენობით.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ნავთის ექსპორტი

ბაქო, 10 ნოემბერი. ბერლინიდან ნავთის სინდიკატის თავმჯდომარე სერებროვსკისაგან მიღებულია დეპეშა გერმანიაში 35.000 ტონა ბაქოს ნავთის გაყიდვის შესახებ. ნავთის ჩაბარების ვადათ დანიშნულია 1927 წლის პირველი ნახევარი.

ნავთის სინდიკატმა საფრანგეთის ფირმა „ანდრენთან“ დასდო ხელშეკრულება საფრანგეთის რკინისგზებისათვის 3.000 ტონა მაზონილის და 3.500 ტონა მაზუთის მიწოდების შესახებ.

გერმანიის ფირმამ „ალექსმა“ შეისყიდა 4.000 ტონა მაზონილი. (ადს).

შემნახველი სალაროები

ბაქო, 10 ნოემბერი. 1 ნოემბრისათვის ბაქოს შემნახველ სალაროში ანაბარის შემტანთა რიცხვი უდრიდა 4.364 კაცს. სულ საბჭოთა აზერბეიჯანში ითვლება 116 სალარო, აქედან 45—ქალაქში, ხოლო დანარჩენი მაზრებში. (ადს).

30.000 ტონა ნავთი

ბაქო, 10 ნოემბერი. **გუშინ ბინაგადაში ჭებიდან № 91053 და 92037 კვლავ ამოხეთქა შადრევანმა.** პირველ ჭიდან 9 საათის განმავლობაში ამოვიდა 25.000 ფუთი, მეორედან 5.000 ფუთი. (ადს).

ბაქოს მილიცია

ბაქო, 10 ნოემბერი. 12 ნოემბერს სრულდება 6 წელიწადი ბაქოს ქალაქის მილიციის არსებობის დღიდან. დღესასწაული ბაქოს საბჭომ 20 ნოემბრისათვის გადაიტანა. წლისთავის აღსანიშნავად მილიციას დაურიგდება ახალი ტანთსაცმელი. ის მუშაკნი, რომელთაც უმსახურნიათ 5 წელი ან მეტი—დაჯილდოებული იქნებიან საჩუქრებით. (ადს).

ნავთის ახალი შადრევანი

ბაქო, 10 ნოემბერი. **სადგურ პუტასთან მდებარე ახალ საგამოკვლეო ფენებზე სარეწაო № 2-ზე ამოხეთქა ახალმა შადრევანმა,** რომლის დღიური დებეტი 35.000 ფ. ნავთს უდრის. (ადს).

სომხეთი

საფეიქრო ფაბრიკა

ლენინაკანი, 10 ნოემბერი. **საფეიქრო ფაბრიკა** შეუჩერებლივ მუშაობს (გარდა პირველ 2 დღისა მიწის ძვრის შემდეგ). უკანასკნელ დღეებში მუშაობა 3 რიგად სწარმოებს. დღეს ფაბრიკაში მიღებულ იქნა 50 ახალი მუშა ქალი. (ადს).

ელექტრონი სოფლად

ერევანი, 10 ნოემბერი. **დაიწყო მუშაობა ერევნის ჰიდრო-ელსადგურიდან ელექტრო - ენერგიის მისაწოდებლად ქალ. ვაღარშაპატისა და სოფელ პარაქარასა და სამალარასათვის.** (ადს).

რა ხდება უცხოეთში

ნახშირის კრიზისი შვეციაში

ინგლისელ მემაღაროეთა გაფიცვის გაგრძელება მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში აყენებს შვეციას, რომელსაც მეტად განვითარებული მრეწველობა აქვს, მაგრამ არ მოეპოება ნახშირის საკუთარი მარაგი და ამიტომ საჭირო ნახშირი უმთავრესად ინგლისიდან შემოჰქონდა. მაგრამ გაფიცვის გამო, ინგლისმა არა თუ შესწყვიტა ნახშირის ექსპორტი, არამედ იძულებული არის გერმანიიდან, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და შეერთებული შტატებიდან შემოიტანოს მისთვის საჭირო ნახშირი. შვეციაში დაიწყო ნახშირის კრიზისი. გეტბორგის (შვეციის უმთავრესი ნავთსადგურია) იმპორტიორებს (ფირმებსა, რომლებსაც შემოაქვთ ნახშირი) არ მოეპოებათ ნახშირის არავითარი მარაგი. ნოემბრისათვის მათ არ მიუღიათ არავითარი დაკვეთა ნახშირზე. იმპორტიორების განცხადებით დეკემბერში, შესაძლებელია, მოხერხდეს ნახშირის შემოტანა შვეციაში. ამავე დროს ისინი აღნიშნავენ, რომ ნახშირის ფასები საგრძნობათ იქნება გადიდებული. ასე მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის ნახშირი, რომელზეც გაფიცვამდი არავითარი მოთხოვნილება არ იყო, ახლა ადგილზე ღირს 48 შილინგი ტონა. პოლონური ნახშირი, რომელიც 14—15 შილინგათ იყიდებოდა ტონა, ახლა 43 შილინგი ფასობს, ზემოსილეზიის ნახშირი 40 შილინგათ იყიდება ტონა (წინათ კი—11—13 შილინგი ღირდა). თვით ნახშირის გაძვირების გარდა, ვადიდებულია მისი გადასაზიდი ფასიც: თუ ერთი ტონა ნახშირის გადატანა ზღვით განსაზღვრულ მანძილზე წინეთ 5 შილინგი ღირდა, ახლა 10 შილინგი ღირს.

ნახშირის კრიზისის გამო ცალკე სანაოსნო საზოგადოებები და რკინისგზები შეშაზე გადავიდენ.

შვეციელი მრეწველები შეეცადენ ნახშირი შეერთებულ შტატებში ეშოვათ. გაიმართა მოლაპარაკება ერთ ამერიკულ ფირმასთან შვეციაში 3.000 ტონა ქვანახშირის შემოტანაზე, მაგრამ ამერიკელებმა წინანდელი 12—15 შილინგის ნაცვლად 53—54 შილინგი მოითხოვეს ტონა ნახშირში და ამ ცდიდან არაფერი არ გამოვიდა.

ნახშირის კრიზისი მუშაობის სრული შეჩერებით ემუქრება შვეციის მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებს. მრეწველობის კატასტროფიულმა მდგომარეობამ აიძულა გეტებორგის სამრეწველო პალატა მოეთხოვა, რათა მთავრობას აეღო თვის თავზე ქვეყნის მომარაგება ნახშირით, ვინაიდან კერძო ფირმებს, რომლებსაც უცხოეთიდან შემოაქვთ ნახშირი, არ ძალუძთ მდგომარეობის გაუმჯობესება და თანაც ისინი, სარგებლობენ რა საერთო კრიზისით, სპეკულიაციას ეწევიან ნახშირზე.

კოქსის გაძვირება ბელგიაში

ბელგიის ნახშირის სინდიკატმა გადასწყვიტა გაადიდოს კოქსის ფასები 235 ფრანკამდი (წინათ ღირდა 215 ფრანკი) ტონა. ნახშირის ის ფირმები, რომლებიც არ შედიან ამ სინდიკატში, ტონა ნახშირს ყიდიან 235—240 ფრანკათ.

კოქსის ფასების გადიდება გამოწვეულია იმით, რომ ინგლისელ მემაღაროეთა გაფიცვის გამო, ბელგიაში ნახშირის დიდი კრიზისია.

პოლონეთის ბიუჯეტი 1927 წლისათვის

პოლონეთის საორიენტაციო (წინასწარი) ბიუჯეტი 1927—28 წლისათვის შედგენილია შემდეგი სახით: შემოსავალი უდრის 1898 მილიონ ზლოტს, გასავალი—1897 ზლოტს.

გასავლის მთავარი ნაწილები შემდეგია:

საგარეო საქ. სამინისტ. ხარჯ.—			3	მილ.	ზლოტი
სამხედრო	„	„	622	„	„
შინაგან საქმეთა	„	„	179	„	„
ფინანსთა	„	„	100	„	„
იუსტიციის	„	„	89	„	„
სარწმუნოებრივ საქმეთა და განათლების	„	„	292	„	„
გზათა მიმოსვლის	„	„	3	„	„
შრომის	„	„	56	„	„
აგრარული რეფორმების	„	„	34	„	„
სახელმწიფო ვალები	„	„	145	„	„

განმარტებითი წერილი, რომელიც დართული აქვს ბიუჯეტის პროექტს, მთავრობა იმედს გამოსთქვამს, რომ იგი შესძლებს წონასწორობის დამყარებას ბიუჯეტში გადასახადების გადიდების საშუალებით. ბიუჯეტის გადიდებას წინა წლებთან შედარებით მთავრობა იმით ხსნის, რომ ოჯახის შესანახი ხარჯები 1924 წლიდან შემდეგნაირად გაიზარდა: თუ 1914 წ. იგი 100% შეადგენდა, 1924 წ. უკვე უდრიდა—134%, 1925 წ.—153%, 1926 წლის პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში კი—177%, 1926 წ. პირველ ენკენისთვისათვის ეს ციფრი 182-მდი გაიზარდა.

სამეურნეო წრეები არ იზიარებენ მთავრობის იმედებს, რომ შესაძლებელი იქნება წონასწორობის დამყარება ბიუჯეტში.

აღნიშნავენ, რომ ხარჯები უდრის თითქმის ორ მილიარდ ზლოტს. ეს იმ დროს, როცა პოლონელი და უცხოელი საფინანსო ექსპერტები დაჟინებით ამტკიცებენ, რომ პოლონეთს არა აქვს საშუალება ისეთი დიდძალი თანხები დახარჯოს და რომ ორი მილიარდის დახარჯვა პოლონეთისათვის დაღუპვას ნიშნავს.

თუ რამდენათ უსაფუძვლოა პოლონეთის მთავრობის ოპტიმიზმი, ამას ნათლად ამტკიცებს ზლოტის კურსის მერყეობა უკანასკნელ ხანებში. დოლარის კურსმა კვლავ აიწია და ზლოტის ოფიციალურ და შავ ბირჟის კურსს შორის მეტად დიდი განსხვავებაა.

ბამბის ფასების დაცემა შეერთებულ შტატებში

ამერიკის სავაჭრო წრეებს ძლიერ აფიქრებს ბამბის ფასების შეუჩერებელი დაცემა. ამის გამო პრეზიდენტმა კულიჯმა მოიწვია სპეციალისტთა კომისია, რომელსაც დაავალა გამოიკვლიოს კრიზისის მიზეზები და შეიმუშაოს საჭირო ღონისძიებები ბამბის ფასების დაცემის შესაჩერებლად.

ვაჭრობის მინისტრი გუვერი წინადადებას აძლევს ბამბის მომხმარებელ და ბამბით მოვაჭრე ორგანიზაციებს, ისარგებლონ ხელსაყრელი პირობებით და მოიმარაგონ დიდძალი ბამბა.

კონგრესის დემოკრატ - დეპუტატები, რომლებიც არჩეული არიან ფერმერთა რაიონებში, მოითხოვენ კულიჯისაგან კონგრესის სავანგებო სესიის მოწვევას და სასწრაფო ზომების მიღებას ბამბის და საერთოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების დაცემის წინააღმდეგ.

საბჭოთა ნავთის გამარჯვება

საბჭოთა ნავთის მიერ ევროპის და აზიის ბაზრების დაპყრობამ და ნავთის სინდიკატის ენერგიულმა მუშაობამ, რამაც გამოიწვია ამერიკის და ინგლისის ნავთის პროდუქტების განდევნა ამ ბაზრებიდან, ერთობ შეაშფოთა ნავთის მრეწველები და ნავთის მსოფლიო ტრესტების ხელმძღვანელები.

საფრანგეთის ნავთის მრეწველთა ორგანო „კურრიერ დე პეტრელ“ ამის შესახებ შემდეგს სწერს: იმ გარემოებამ, რომ მსოფლიო ბაზარზე გაბატონებული ნავთის მრეწველთა მსხვილი გაერთიანებანი მტრულად შეხვდენ საბჭოთა ნავთის სინდიკატის წინადადებას, რომ მათ ეკისრათ საბჭოთა ნავთის პროდუქტების გავრცელება,—ნავთის სინდიკატი იძულებული გახადა დაეწყო საკუთარი კანტორების და საზოგადოებების მოწყობა ევროპის და ახლო-აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყნებში.

ყველა დანარჩენ მოწინააღმდეგეებს ძლიერი კაპიტალისტური ნავთის ტრესტებში, რასაკვირველია, ძალიან ადვილად გაუმკლავდებოდენ. ამისათვის, „კურრიერ დე პეტრელ“-ის სიტყვით, ისინი პირველ ყოვლისა დაუკლებდენ გასაყიდ ფასებს, თვით საზარალო ფასებამდე, მაგრამ სამაგიეროდ ზარალს ამოიგებდენ იმ ბაზრებზე ფასების აწევით, სადაც ისინი გაბატონებული არიან. მაგრამ აღმოჩნდა, რომ საბჭოთა ნავთთან ბრძოლის ასეთი მეთოდები არ გამოდგება. ბურჟუაზიული გაზეთი ცდილობს საბჭოთა ნავთის პროდუქტების სიიაფე მთელ რიგ ფანტასტიურ მიზეზებით ახსნას. მაგრამ ყველა ამ მოსაზრებებიდან მხოლოდ ერთი დასკვნა გამომდინარეობს: **საბჭოთა ნავთთან მეტოქეობა შეუძლებელია და ამიტომ აუცილებელია საქმიანი ურთიერთობის დაჭერა ნავთის სინდიკატთან.**

„ამ პირობებში,—სწერს „კურრიერ დე პეტრელ“, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ საბჭოების აქტივობის ზრდას შეუძლია საგრძნობი სარგებლობა მისცეს მათ და, ეჭვს გარეშეა, ეს პერსპექტივა განიხილა ნავთის საზოგადოებების და ტრესტების წარმომადგენელთა კრებამ, რომელიც ამ დღეებში პარიზში შესდგა „როიალ დეტჩ შელლი“-ს გენერალური დირექტორის ჰენრი დეტერინგის თავმჯდომარეობით, რომელიც ხელიდან არ უშვებს შემთხვევას სათავეში ჩაუდგეს მოძრაობას, როცა საქმე შეეხება საბჭოთა ნავთის ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლას. ოფიციალურმა ცნობამ დაადასტურა რომ ჰენრი დეტერინგს, როგორც ნავთის მრეწველთა საერთაშორისო გაერთიანების თავმჯდომარეს, ყოველივე უფლებები აქვს მინიჭებული იმისათვის, რომ უხელმძღვანელოს გაერთიანების საქმეებს მთავრობებთან და კერძო პირებთან მოლაპარაკების დროს; დამახასიათებელია, რომ ეს უფლებები მარტო მას აქვს მინიჭებული“.

ამრიგად ნავთის მრეწველებმა, რომელთაც თავი მოიყარეს პარიზში, **უფლება მისცეს დეტერინგს არა მარტო იბრძოლოს საბჭოთა მთავრობის და მისი სამეურნეო ორგანოების წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე საქმიანი ურთიერთობაც დაიჭიროს მათთან.** დეტერინგის შეურიგებლობა ყოველთვის არაპრინციპიალური ხასიათის იყო და აიხსნებოდა უმთავრესად მით, რომ მას არ აკმაყოფილებდა სარგებლიანობის მხრივ ის პირობები, რომელიც ნავთის სინდიკატმა წარუდგინა საბჭოთა ნავთის გასავრცელებლად ევროპაში, როგორც სჩანს, „კურრიერ დე პეტრელ“-იც ამ აზრისაა, ვინაიდან **მთელი მისი წერილი გამსჭვალულია იმის შიშით, რომ სასარგებლო საქმე შესაძლოა ინგლის-ჰოლანდიის ნავთის ტრესტმა ჩაიგდოს ხელში, ხოლო ფრანგები კი ხელცარიელი დარჩენ.**

საფრანგეთის პრეტენზიების დასასაბუთებლად, „კურრიერ და პეტრელ“ აყენებს მეფის მთავრობის ვალების საკითხს, რომელთა გასტუმრების უზრუნველყოფად, მისი აზრით, საბჭოთა ნავთი უნდა იქნეს მიღებული. „ასეთ ინტერესებს, რასაკვირველია, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაიცავს სერ ჰენრი დეტერლინგი“,—აცხადებს გაზეთი. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს არა იმდენად „როიალ დეტჩ შელლი“-ს მეთაურის უვარგისობა ფრანგ კრედიტორების ინტერესების დამცველის როლში, რამდენად ფრანგ მრეწველების შიში, რომ თუ ევროპაში საბჭოთა ნავთის გაყიდვის უფლება სხვა რომელიმე გაერთიანებას გადაეცა, ფრანგი კაპიტალისტები ხელცარიელი დარჩებიან, ხოლო მოგებას ხელთ იგდებენ ამერიკელები და ინგლისელები. ამიტომ საფრანგეთის ბურჟუაზიაში ძლიერდება ის აზრი, რომ საბჭოთა კავშირთან საჭიროა უშუალო მოლაპარაკება ამ საკითხზე.

მანქანები უცხოეთიდან

მოსკოვი, 10 ნოემბერი. 3 ტრესტის—აზერბეიჯანის ნავთის, გროზნის ნავთის და ემბანავთის საჭიროებისათვის, 1925—26 წელში უცხოეთში შეკვეთილი იყო მანქანები და იარაღები, სულ 25 მილიონ მანეთის ღირებულებისა. აქედან ბაქოს ნავთის მრეწველობისთვის გერმანიაში შეკვეთილია 7 მილიონ მანეთის რაოდენობის მანქანები. შეკვეთილ მოწყობილობათა შემოტანა გერმანიიდან დაიწყო ოქტომბრიდან და იწარმოებს რეგულიარულად მიმდინარე საოპერაციო წლის პირველ და მეორე კვარტალის განმავლობაში. ინგლისში აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობისთვის შეკვეთების ღირებულება 5 მილ. მანეთს უდრის. ინგლისიდან შემოტანა უფრო ადრე მოთავდება, ვიდრე გერმანიიდან.

სხვადასხვა

კატასტროფა რკინის გზაზე

ბერლინი, 10 ნოემბერი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, გილდესჰეიმში (პრუსიაში) დასრულდა საქმის გარჩევა მიმდინარე წლის 19 აგვისტოს ჩქარი მატარებლის გადავარდნის შესახებ ლეიფერდეს მახლობლად; კატასტროფის დროს მოკვდა 21 კაცი. მატარებლის გადავარდნაში დამნაშავეთ იცნეს შლეზინგერი და ვებერი, რომლებსაც მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა.

მიწისძვრა

ლონდონი, 10 ნოემბერი. მანაგუადან მიღებული ცნობებით, ნიკარაგუაში მომხდარ მიწისძვრის დროს დაიღუპა რამოდენიმე კაცი და დიდათ დაზიანდა მამული. განსაკუთრებით დაზიანებულია მანაგუას ნაციონალური სასახლე და ტაძარი.

სანტ-იაგოში დაინგრა რამდენიმე შენობა.

პარიზი-ტოკიო

ლონდონი, 10 ნოემბ. ბერლინში მოწვეულ საერთაშორისო სარკინისგზო კონფერენციის პროექტით მომავალ ზაფხულიდან წესდება პირდაპირი ხაზი პარიზი-ტოკიო. ეს მანძილი დაიფარება 16 დღეში.

დანიის სესხი

ლონდონი, 10 ნოემბერი. კოპენგაგენიდან მიღებული ცნობებით, ორივე პალატის მიერ მიღებულია კანონპროექტი 23 მილიონი კრონის რაოდენობით სესხის გამოშვებისა.

საბერძნეთ-ოსმალეთის საზღვარი

ლონდონი, 10 ნოემბერი. ათინიდან მიღებული ცნობით, იქ საერთაშორისო კომისიამ ხელი მოაწერა ოქმს საბერძნეთ-ოსმალეთის საზღვარის დაწესების შესახებ.

ლიტოვეთის ტახტის მემკვიდრე

ვარშავა, 10 ნოემბერი. ესპანეთის რეზიდენტმა ვარშავაში უარჰყო ხმები ინფანტ ალფონსის კანდიდატურის შესახებ ლიტოვეთის ტახტზე. ამჟამად ალფონსი საფრანგეთში იმყოფება.

ადმინისტრატიული მუშაობა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულ საორგანიზაციო განყოფილებამ გამოიყვანა წარსულ წელში ჩატარებულ ადმინისტრატიულ ერთეულთა მუშაობის ჯამი. ანგარიშში უმთავრესი ადგილი უკავია სამაზრო აღმასკომებისა და მათი პრეზიდიუმების საქმიანობას.

თათბირები და სხდომები

სულ წარსული საოპერაციო წლის განმავლობაში შემდგარა 750 სხდომა და თათბირი. აქედან აღმოსავლეთ საქართველოში—414, დასავლეთში—336. პრეზიდიუმების სხდომები შემდგარა 682. სამაზრო აღმასკომების პლენუმები—33, თათბირები—35.

თათბირების უმრავლესობა გამართულა გორის და შორაპნის მაზრებში. საშუალოდ თითო მაზრაში თვეში იმართებოდა 3,7 სხდომა. ყველა სხდომებზე სულ გარჩეულა 11.479 კითხვა. აქედან აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის 5.517 კითხვა და დასავლეთზე—5.962. საშუალოდ ერთ სხდომაზე ირჩეოდა 10—15 კითხვა. აღნიშნულ ანგარიშებში არ შედის ავტონომიურ ერთეულებში გამართული თათბირები და გარჩეული კითხვები.

სავალდებულო დადგენილებები

სულ მთელ რესპუბლიკაში წარსული წლის განმავლობაში სამ. აღმასკომების მიერ გამოცემულა 121 სავალდებულო დადგენილება. დიდი ნაწილი სავალდებულო დადგენილებებისა ეხება ქალაქების კეთილ-მოწყობისა და კომუნალურ მშენებლობის წესებს.

მთელი სავალდებულო დადგენილებებიდან შინსახკომის მიერ კანონთან შეუფარდებლათ ცნობილი იქნა 17 დადგენილება, რომლის დიდი ნაწილი შესწორებულ იქნა მაზრაღმ. მიერ შინსახკომის მითითების თანახმად.

სავალდებულო დადგენილებების გამოცემას უმთავრესად ადგილი ჰქონდა ახალქალაქისა, გორისა და ქუთაისის მაზრებში.

ცირკულიარები

ცირკულიარები წარსულ წელს იცემოდა უმთავრესად 8—9 მაზრაში. წლის განმავლობაში სულ გამოცემულია 234 ადგილობრივი ხასიათის ცირკულიარი.

თითქმის ყველა გამოცემული ცირკულიარები საორგანიზაციო ხასიათისაა, უმთავრესად მიმართულია თემაღმასკომების მიმართ და ეხება უკანასკნელთა მიერ სისწორით მუშაობის საკითხს ამა თუ იმ დარგში.

ცირკულიარების გამოცემა უმთავრესათ ხშირი იყო ახალქალაქის, ლეჩხუმის, რაჭის და სხ. მაზრებში.

მემაღაროეთა გაფიცვა საფრთხეშია

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

იმის შემდეგ, რაც გენსაბჭომ კვლავ ხელი მოჰკიდა მემაღაროეთა გაფიცვის საქმეს და დანიშნა შუამავლობის კომიტეტი, ცხადი იყო, რომ გაფიცვა დამარცხების საფრთხის წინაშე დადგა. ის ხალხი, რომელიც 6 თვის წინად წინადადებას აძლევდა მემაღაროებს ხელი აელოთ ბრძოლაზე, გაფიცვის 190 დღის შემდეგაც მხოლოდ იმავე წინადადებას იძლევა. შუამავლობის კომიტეტმა დაიწყო მთავრობის კარებთან ხეტიალი და ემუდარებოდა მემაღაროებს, რომ მათ დაეთმოთ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროფკავშირთა აღმასკომის კონფერენციას, რომელმაც, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, გამოაშკარავა ტრედუნიონების ხელმძღვანელთა მტრული დამოკიდებულება მემაღაროეთა გაფიცვის მიმართ. შუამავლობის კომიტეტის მუშაობა წარმატებით დამთავრდა. მართალია მან ვერ შესძლო მთავრობისა და მაღაროს მეპატრონეთა ადგილიდან დაძვრა, მაგრამ სამაგიეროდ თავისი პოზიციებიდან დასძრა მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომი, რომელმაც იმის მაგიერ რომ შეესრულებია კონფერენციის უკანასკნელი დადგენილება ბრძოლის გაძლიერებისა და გამწვავების შესახებ, დაიწყო საიდუმლო მოლაპარაკებათა გამართვა და დიპლომატობა. იმ დროს, როდესაც მემაღაროეთა მასებში იზრდება მრისხანება და ისინი მზად არიან ყოველი საშუალებით იბრძოლონ მთავრობის, მაღაროს მეპატრონეთა და გენსაბჭოს მთლიანი ფრონტის გასარღვევად, მემაღაროეთა აღმასკომის ზედაფენებში ძლიერდება მერყეობა და მისწრაფება, რომ რათაც არ უნდა დაუჯდეთ შესწყვიტონ გაფიცვა შუამავლობის კომიტეტის შემწეობით, ამ კომიტეტში კი, როგორც ვიცით, გაფიცვის ჩაშლის სპეციალისტები სხედან. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფედერაციის ყველაზე უფრო მემარცხენე და ყველაზე უფრო ენერგიული ხელმძღვანელი კუკი აშკარად ტრაბახობდა, რომ მან არ განახორციელა მემაღაროეთა უკანასკნელი კონფერენციის გარდაწყვეტილებანი მაღაროებიდან მცველების მოხსნის შესახებ, ამასთანავე მისი აზრით, ამ გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობას უნდა გაეადვილებია მაღაროს მეპატრონეებთან შეთანხმების მიღწევა.

ჩვენ ეხლა არ შევუდგებით იმის განხილვას, თუ რამდენად მოსაწონია კავშირის უზენაესი ორგანოს დადგენილებათა დარღვევის გამო იმ ადამიანის მიერ, რომელიც ვალდებული იყო ეს გადაწყვეტილება შეესრულებია. ერთი ცხადია—კონფერენციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობამ, ანუ თუ გნებავთ საბოტაჟმა, არა თუ წინ არ წასწია საქმე, არამედ გააძნელა ბრძოლა, ფრთები შეასხა ყველა კაპიტულიანტებს, საშუალება მისცა გენსაბჭოს, რომ დაეწყო თავისი შემარიგებელი პოლიტიკის წარმოება მემაღაროეთა ხარჯზე.

უკანასკნელ დღეებში გახშირდა გაერთიანებული სხდომები და მოლაპარაკებები. ხან საშუამავლო კომიტეტი დარბის ბოლდუინთან, ხან ის ზეგავლენას ახდენს სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომზე, ხან სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომი მიდის ბოლდუინთან. ერთი სიტყვით სწარმოებს დიპლომატიური თინბაზობა, რომელიც საეჭვოა რომ მოსაწონი იქნეს მებრძოლ სამთამადნო მუშებისათვის. ყველა ამ საეჭვო მოლაპარაკებას და მჭერმეტყველურ მოწოდებას ბოლდუინის სიბრძნისადმი, მუდარას პარლამენტში, რომ ორივე მხარემ უნდა შეიგნოს თავიანთი ვალდებულება საზოგადოების წინაშე (კლაინსი) და საშუამავლო კომიტეტის გაძლიერებულ მუშაობას სამთამადნო მუშების და მათი ბელადების გასახარწყენლად შედეგათ მოჰყვა ორი დეკლარაცია: ერთი სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომისაგან, მეორე მაღაროს მეპატრონეთა წარმომადგენლებისაგან ე. ი. ბოლდუინის მთავრობისაგან. სამთამადნო მუშათა აღმასკომი დასთანხმდა კონფლიქტის მოწესრიგებას რაიონულ შეთანხმების გზით იმ პირობით, თუ რაიონულ შეთანხმებებში შეტანილი იქნება ზოგიერთი საერთო პრინციპი. უნდა აღინიშნოს, რომ სამთამადნო მუშების აღმასკომის წინადადება წარმოადგენს უკან დახევას ყველა საკითხებში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გაფიცვა თავდაცვითი ხასიათისა იყო, რომ სამთამადნო მუშები მოითხოვდენ ძველ პირობების შენარჩუნებას, ხოლო მაღაროს მეპატრონეები აყენებდენ ახალ, მემაღაროეებისათვის უფრო საზარალო პირობებს.

ყველა სამ საკითხში (სამუშაო დღე, სამუშაო ხელფასი, რაიონული შეთანხმება) სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომმა დაიხია წინად დაკავებულ პოზიციებიდან, რადგან 7 საათის სამუშაო დღის შენარჩუნება, მხოლოდ პრინციპში და რაიონულ შეთანხმებებზე დათანხმება უკვე წარმოადგენს დათმობას მოლაპარაკების დაწყებამდე. ამ დეკლარაციაზე მაღაროს მეპატრონეებმა ბოლდუინის მთავრობის სახით უპასუხეს კონტრ - წინადადებით, რომელიც მოწმობს იმას, რომ საშუამავლო კომიტეტის მჭერმეტყველებამ მთავრობაზე იმოქმედა ისევე, როგორც მეფე დავითის ფსალმუნმა ნილოსის ნიანგებზე. მთავრობის წინადადებებში უმთავრესია ის, რომ მათში არ არის პასუხი კითხვაზე 7 საათის სამუშაო დღის შესახებ. მაღაროს მეპატრონეთა წარმომადგენლები ბოლდუინის და კომპანიის სახით, როგორც სჩანს, 8 საათის სამუშაო დღის საკითხს საბოლოოდ გადაწყვეტილად სთვლიან და ამ საკითხის შესახებ მათ ზედმეტად მიაჩნიათ პრინციპიალური მოლაპარაკებაც კი.

თუ მემაღაროეთა წინადადებას შევარებთ მთავრობისა და მაღაროს მეპატრონეთა კონტრ - წინადადებას, ჩვენ დავინახავთ, რომ მთავრობა არაფერს სთმობს, ხოლო მემაღაროეთა ფედერაციამ კი უკვე დაიწყო უკან დახევა. ფედერაციის ეს უკან დახევა შემთხვევითი არ არის და, რასაკვირველია, შეხვდა გენსაბჭოს და მის შუამავალ კომიტეტის გაძლიერებულ საქმიანობას. ტყუილად არ ირჯებოდენ ამ უკანასკნელ 10—12 დღეში ბ-ნი პიუ, სიტრინი და ტომასი. ნაყოფი თვალსაჩინოა. მათ მოახერხეს მემაღაროეთა ფედერაციის ზედაფენის დაშლა, ამასთან ეჭვს გარეშეა, რომ ისინი, როგორც ნამდვილი მაკლერები, ჰპირდებოდენ მემაღაროეთ იმას, რის შესრულებასაც არ ფიქრობდენ მთავრობა და მაღაროს მეპატრონეები. კუკის ინტერვიუ იმის შესახებ, რომ ისეთი არაფერი მომხდარა და ფედერაცია, როგორც წინედ, თავის ძველ პოზიციებზე დგასო, ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გვანუგეშებს. თუ ფედერაცია თავის ძველ პოზიციებზე დგას, მაშინ რაღა საჭირო იყო ახალ წინადადებების მიცემა, თუ ფედერაცია თავის ძველ პოზიციებზე დგას, მაშინ საჭირო არ იყო გენსაბჭოს დაპირებათა გულისთვის მემაღაროეთა კონფერენციის გადაწყვეტილებათა საბოტაჟი.

გაფიცვა გადავიდა თავის უკანასკნელ კრიტიკულ ფაზაში. რამდენად გაფიცვა კისერში ურტყამს ინგლისის ბურჟუაზიას, სჩანს მინისტრთა კოლონიის, თავშეუკავებელი ბირკენხედის უკანასკნელ გამოსვლებიდან. ეს შავრაზმელი თავის სიტყვაში აუარებელ ლანძღვა - გინებას ისროდა საბჭოთა კავშირისა და კუკის მისამართით.

„დღევანდელ ევროპაში — სთქვა ბირკენხედმა — არის დიდი ქვეყანა, რომელიც წარმოადგენს შავი ჭირის ცენტრს, რომელიც რევოლიუციით ინგრევს თავს, ქვეყანა, რომელსაც არაფრის მოცემა არ შეუძლია, გარდა რევოლიუციონურ მიკრობებისა, რომელნიც დანარჩენ ქვეყნებს ედებიან. კუკმა, რომელიც თავის იდეების მიზეზით არა ერთხელ მჯდარა ციხეში, და ახლაც, მაინც მოახერხა დიდი ტრედიუნიონის კონტროლის ხელში ჩაგდება. უაზროა ამ ფაქტებზე თვალების დახუჭვა. დღევანდელ მომენტამდე ჩვენი ქვეყნის ერთ უდიდეს ტრედიუნიონთაგანს ის ქლინთავდა მოსკოვის პრინციპებით და ჰკვებდა მოსკოვის ფულებით. მისტერ კუკი იძულებულია მიიღოს და იღებს კიდეც ბრძანებებს მოსკოვიდან. ინგლისის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ პროფკავშირის ლიდერს გამოეცხადოს და აღეარებინოს, რომ ის წარმოადგენს უცხო სახელმწიფოს მონას და მორჩილს, ისიც როგორი სახელმწიფოსი; ისეთ სახელმწიფოსი, რომელსაც არსებულ პირობებში არც კი სცნობენ ჩვენს ქვეყანაში“.

ბირკენხედი, როგორც ვხედავთ, კუკს სახავს როგორც მოსკოვის ეშმაკს და იგი მას სცნობს ინგლისის სახალხო მეურნეობის თავზე დატეხილ ყველა უბედურებათა მიზეზად. იგი მას სცნობს „მოსკოვის მონად“, ასპროცენტიან მოსკოვის ბოლშევიზმის წარმომადგენლად ინგლისში. მისტერ ბირკენხედი, რასაკვირველია, მოხარული იქნებოდა, რომ საქმე ქონოდა იმგვარ ტიპებთან, როგორიც არიან პიუ, ტომასი, სიტრინი ან მათი განსახიერება მარცხნივ პერსელი და ამიტომ იგი კმაყოფილი არაა კუკით, განსაკუთრებით საბჭოთა პროფმოძრაობით, რომელიც ასრულებს თავის კლასიურ მოვალეობას. ეს სავსებით ბუნებრივია. ჩვენ თანაუგრძნობთ მაღაროს მეპატრონეთა ამ ვექილს და სავსებით გვესმის მისი გულისწყრომის მიზეზი. ყოველივე ეს გასაგებია. მაგრამ ჩვენ არ გვესმის და საბჭოთა კავშირის არც ერთ მუშას არ შეუძლია გაიგოს ერთი რამ: მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომის ქედის მოხრა და შუამავლობის კომიტეტისა და გენსაბჭოს მეთაურთა ტკბილი სიტყვები.

ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვის მდგომარეობა არც ისეთი საშინელია, რომ მან თავისი ბედ-იღბალი გენსაბჭოს ჩააბაროს. ინგლისის მთელი სახალხო მეურნეობა შერყეულია საფუძვლიანად. ინგლისის სამთამადნო მრეწველობა ბაზრებს ჰკარგავს ერთი მეორის მიყოლებით და სწორედ ამ ბაზრების დაკარგვით და ინგლისის მთელი სახალხო მეურნეობის დასუსტებით შეიძლება აიხსნას ბირკენხედისა და მაღაროს მეპატრონეთა სხვა ვექილების სასტიკი გააფთრება. მემაღაროეთა ხელმძღვანელებმა ჩვენზე ცუდად არ იციან, თუ როგორ მდგომარეობაში არის ამჟამად არა მარტო სამთამადნო, არამედ ინგლისის მთელი მრეწველობა. მათ იციან აგრეთვე, რომ მემაღაროებს ვერ უშველის ვერავითარი შუამავლობა, ვინაიდან, თუ მემაღაროენი შედრკებიან, მაშინ, არა მარტო ბურჟუაზია და მთავრობა, არამედ გენსაბჭო და მუშათა პარტიის აღმასკომიც შეეცდებიან მათ საბოლოო განადგურებას. შემდეგ მათ იციან, რომ გაფიცვის კრიტიკულ პერიოდში განსაკუთრებით სახიფათოა ორჭოფობის გავლენა, დიპლომატიურობა და ფარული ჩხირ - კედელაობა. მათ ეს იციან, მაგრამ მაინც ემორჩილებიან გენსაბჭოს შუამავლობის კომიტეტის ზეგავლენას. ეს მორალურ - პოლიტიკური დამორჩილება გენსაბჭოსადმი შეიცავს მემაღაროეთა გაფიცვის დამარცხების საფრთხეს. კიდევ არის გამარჯვების შესაძლებლობა, მაგრამ ამისათვის საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, შუამავლობის კომიტეტისაგან განთავისუფლება, გენსაბჭოს გამცემლურ სამსახურზე უარის თქმა და რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ უნდა ილაპარაკონ კლასიურმა მტრებმა, მაინც წასვლა იმ გზით, რომელიც დასახა მემაღაროეთა კონფერენციამ.

მართალია, ათასჯერ მართალია კუკი, როცა იგი მოუწოდებდა ყველა მუშებს, რომ მემაღაროეთათვის დახმარება აღმოეჩინათ, და აცხადებდა: „თუ ჩვენ დავმარცხდით, მაშინ ვერავინ ველარ შესძლებს წინააღმდეგობის გაწევას“.

სწორედ ამიტომ მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომს და პირველ რიგში კუკს მოეთხოვება მაქსიმალური გამძლეობა, მაქსიმალური სიმტკიცე, უარის თქმა ფარულ ჩხირ - კედელაობაზე და შეურყეველი, სისტემატიური ბრძოლის გაგრძელება ბოლომდე.

გამარჯვება ჯერ კიდევ შესაძლოა; იგი ეხლა სავსებით და მთლიანად არის დამოკიდებული მემაღაროეთა ფედერაციის ხელმძღვანელთაგან. მასას სურს ბრძოლა და მას კიდევ შეუძლია ბრძოლა. და თუ ბელადები არ შედრკებიან, მემაღაროენი შესძლებენ თავიანთი მონაპოვარის შენარჩუნებას.

გადმოცემულია ტელეგრაფით, მოსკოვი, 10 ნოემბერი.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ლეჩხუმის სამაზრო კომიტეტის პლენუმი

8 ნოემბერს შესდგა საქ. კომპარტიის ლეჩხუმის სამაზრკომის გაფართოებული პლენუმი, რომელზედაც დაესწრენ თემკომის მდივნები, ქალ. ცაგერის ორგანიზაციის წევრები, ა. ლ. კ. კ-ის აქტივი. დღის წესრიგში პირველ საკითხად იდგა მოხსენება „შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ ოპოზიციის კაპიტულიაციის გამო“. ამ საკითხის შესახებ ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება გააკეთა ამხ. ანდრო სიამაიშვილმა. მოხსენების ირგვლივ მრავალ შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

„საქ.კომ.პარტ.(ბ) ლეჩხუმის სამაზ. კომიტეტის პლენუმის გაფართოებული სხდომა თემკომის მდივნებთან, ქ. ცაგერის ორგანიზაციის წევრებთან და ა. ლ. კ. კ-ის აქტივთან ერთად, მოისმინა რა მან სამაზრკომის პ მგ. მდივნის ამხ. ანდრო სიამაიშვილის მოხსენება შინაპარტიულ მდგომარეობაზე „ოპოზიციის“ მიერ ცეკაში შეტანილი უკანასკნელი განცხადების გამო, აღნიშნავს, რომ საქ. კომუნისტური პარტია მე-14 ყრილობის დადგენილებით ანხორციელებს მეტად ძნელ და რთულ ამოცანებს ეკონომიურ დარგში, საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის მტკიცე ნიადაგზე დაყენებით და ქალაქსა და სოფელ შორის არსებულ კავშირის განმტკიცებით ლენინიზმის მტკიცე საფუძვლებზე. მას მეტად ძნელ პირობებში უხდება მუშაობა, რადგან ერთის მხრივ საჭიროა ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევა, ხოლო მეორე მხრივ „ოპოზიციონური ბლოკის“ თავაშვებულობასთან ბრძოლა.

გაფართოებული პლენუმი ღრმა რწმენით აღნიშნავს, რომ ოპოზიციის მიერ წამოყენებული დებულებები, არის ლენინიზმის რევიზიის ცდა და მისი საფუძვლების უარყოფა, რაც შელამაზებულია უკიდურესათ მემარცხენე ფრაზეოლოგიით. მიუხედავათ იმისა, რომ ოპოზიცია არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა (საიდუმლო კრებები, პარტიის საიდუმლო დოკუმენტების გადაბეჭდვა და გავრცელება, პარტიის წევრებისა და დისციპლინის უხეში დარღვევა), რათა პარტიისათვის ძალათ მოეხვია თავის ანტილენინური შეხედულებანი, ერთხმად დაგმო მისი შემდეგარი გზა და მოუწოდა პარტდისციპლინისა და წესრიგისაკენ. საქ. კომუნისტური პარტია მთლიანად და კერძოთ ლეჩხუმის სამაზრო ორგანიზაცია დარწმუნდა იმაში, რომ 1) „ახალი ოპოზიცია“ საკითხებისადმი ანტილენინური მიდგომით პარტიას აყენებდა ლენინური სიმტკიცისა და დისციპლინის დარღვევის საფრთხის წინაშე, 2) გლეხობის საკითხში ოპოზიცია გაკოტრებული პროგრამით გამოვიდა (დიდი გადასახადები, საბითუმო ფასების აწევა და სხვა), რითაც მუშებისა და მშრომელი გლეხობის კავშირის დარღვევის საფრთხეს ქმნიდა. 3) კერძო კაპიტალის ბაზაში „ახალი ოპოზიცია“ მცირე მონაწილეობით დამფრთხალი მოუწოდებდა პარტიას არ ეწარმოებია სახელმწიფო ვაჭრობა, რითაც ნიადაგს უმზადებდა კერძო კაპიტალს აღორძინებისათვის და 4) ოპოზიცია, რომელიც ბევრს გაჰკიოდა შინაპარტიულ დემოკრატიაზე თვითონ უხეშად არღვევდა ამ პრინციპს, ცდილობდა რა თავზე მოეხვია პარტიისათვის დისკუსია.

ოპოზიციას ამის გამო სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მთელმა პარტიულმა მასამ, რასაც შედეგათ მოჰყვა ოპოზიციონერთა დამარცხება და მათ მიერ პარტიის წინაშე ქედის მოხრა.

გაფართოებული პლენუმი მხურვალე სალამს უძღვნის საქ. კ. პარტიის ხელმძღვანელ შტაბს-ცეკას და აღუთქვამს, რომ ლეჩხუმის სამაზრო ორგანიზაცია, როგორც ერთი კაცი მუდამ დაიცავს ცეკას ლენინურ ხაზს და მკაცრი და მედგარ ბრძოლას აწარმოებს ყოველგვარი გადახრებისა და ლენინიზმის რევიზიის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს საქ. კომ. პარტიას და მის ხელმძღვანელ შტაბს-ცეკას!

გურიის თემკომების მდივნების თათბირი

ს. კ. პ. (ბ) გურიის ორგანიზაციის თემკომების მდივნების თათბირმა, მოისმინა რა მან მოხსენება ამხანაგ კოჭია გურგენიძისა შინაპარტიულ მდგომარეობის, საქ. კომუნისტური პარტიის ივლისის პლენუმის და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას და საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის შედეგებზე—(მაზრკომების მდივნებთან ერთად), ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„თათბირი აღიარებს, რომ ახალი ოპოზიცია გასცილდა პარტიაში დაწესებულ ყოველგვარ საზღვრებს, უხეშად დაარღვია პარტიის უზენაესი ორგანოს პარტყრილობის დადგენილებანი და არალეგალური ორგანიზაციების დაარსებით მოინდომა ლენინის პარტიის ორ ბანაკათ გათიშვა.

კომპარტიის მტრებს ოპოზიციამ მისცა ხელსაყრელი საბაბი დარაზმულიყვნენ საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის წინააღმდეგ.

ახალ ოპოზიციის ხელმძღვანელთ, როგორც არა ერთხელ ისე ეხლაც სრული უპრინციპობა და უდისციპლინობა ამოიჩინეს.

ისინი მაშინ აღიარებენ შეცდომას, როდესაც მარცხდებიან და ცდა თავზე მოახვიონ პარტიას არასასურველი დისკუსია, არ გადის.

ოპოზიცია სიტყვით მემარცხენეობას იჩენს, ხოლო მისი მოქმედება უკიდურეს მემარჯვენეობას შეიცავს.

ოპოზიციის მოთხოვნილება ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერების შესახებ გლეხობის დაბეგვრით და საქონელზე ფასების გადიდებით, თათბირს დამღუპველად მიაჩნია მუშების და გლეხების კავშირის და პროლეტარიატის დიქტატურის ინტერესების თვალსაზრისით.

თათბირი მოითხოვს საქართველოში ოპოზიციონერად განწყობილ ამხანაგებისაგან მათაც დროზე აღიარონ თავიანთი შეცდომები.

გურიის კომუნისტური ორგანიზაციის თემკომების მდივნების თათბირი გმობს ოპოზიციის მიერ საბჭოთა ქვეყნების მშენებლობის არასწორ შეფასებას და ისეთ მოქმედებას, რაიც გამოიხატება პარტდისციპლინის უხეშათ დარღვევაში, ლენინის პარტიაში ჯგუფებისა და ფრაქციების მოწყობაში და არასასურველ დისკუსიის გაჩაღების მოთხოვნაში.

ჩვენ სავსებით ვუერთდებით ს. კ. პ. (ბ) ცეკას და ყოველ წუთში მასთან ვიქნებით პარტიის მთლიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაუმარჯოს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

მხარს უჭერთ ლენინურ ცეკას

(სამიქაო, სენ. მაზრა).

31 ოქტომბერს შესდგა საქ. კომპარტიის სამიქაოს თემ-ორგანიზაციის წევრთა და აქტიურ კომკავშირელთა გაერთიანებული კრება. კრებამ მოისმინა მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის და ოპოზიციის ფრაქციული მუშაობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ ერთხმათ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

„სამიქაოს თემის პარტორგანიზაციის და აქტიურ კომკავშირელთა გაერთიანებული კრება, მოისმინა, რა მან მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობისა და ოპოზიციის ფრაქციული მუშაობის შესახებ, სავსებით იზიარებს ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოების ყველა დადგენილებებს, რომლებიც მიმართულია პარტიის მთლიანობის დაცვისაკენ, კრება აღნიშნავს, რომ ოპოზიციის მოთხოვნილება, რომელზედაც ის არც ეხლა ამბობს უარს, ინდუსტრიალიზაციის ტემპის დასაჩქარებლად გლეხებზე გადასახადების გადიდების შესახებ, მიმართულია მუშებისა და გლეხების კავშირის წინააღმდეგ. კრება აღშფოთებით აღნიშნავს ოპოზიციის გამოსვლას პარტ. წინააღმდეგ და მის ცდას თავზე მოეხვია პარტიისათვის დისკუსია. კრება აცხადებს, რომ პარტიას არ სცალია დისკუსიისათვის.

დღეს პარტიის მთელი ყურადღება სამეურნეო აღმშენებლობისაკენ უნდა იქნეს მიქცეული. კრება მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მტკიცედ შემოკრბენ ლენინურ ცეკას გარშემო და მთელი ძალღონით დაეხმარონ მას ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის გზაზე წამოჭრილ სიძნელეთა დაძლევაში.

გაუმარჯოს პარტიის სიმტკიცეს და მთლიანობას!

გაუმარჯოს ლენინურ ცეკას!

ვუერთდებით საქ. ა. ლ. კომკავშირის ცეკას დადგენილებებს

(შიათურა)

საქ. ა. ლ. კომკავშირის შორაპნის სამაზრო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც მოწვეულ იქნა 2 ნოემბერს და რომელსაც დაესწრო თემკომების მდივნები 19 თემიდან, სხვა საკითხებთან ერთად მოისმინა მოხსენება ს. ა. ლ. კომკავშირის ცეკას უკანასკნელ პლენუმის შედეგებზე. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. კ. ზვიადაძის მოხსენება ს. ა. ლ. კომკავშირის ცეკას უკანასკნელი პლენუმის შესახებ შორაპნის სამაზრო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, თემკომის მდივნებთან ერთად, სრულიად უერთდება ცეკას პლენუმის დადგენილებებს და აღიარებს მათ სწორად. ამასთანავე პლენუმი აღნიშნავს საქ. ახ. ლენ. კომკავშირის მიღწევებს, რომლებიც გამომდინარეობენ ცეკას სწორი და მიზანშეწონილი ხელმძღვანელობიდან. ცეკას ენერგიული მუშაობით გადაჭრილ იქნა მუშაობის პროცესში წამოჭრილი ყველა საკითხები ისე, როგორც ამას მოითხოვდა ორგანიზაციის ინტერესები.

პლენუმი აღშფოთებით აღნიშნავს ცეკას შემადგენლობაში მყოფ ოპოზიციონერთა მოქმედებას, რომელთაც კავშირი ჰქონდათ კომპარტიაში არსებულ ოპოზიციონურ ჯგუფებთან და, რომლებიც ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებში საპასუხისმგებლო ადგილებზე ყოფნას იყენებდენ ოპოზიციონურ ფრაქციულ მუშაობისათვის და ოპოზიციის იდეოლოგიის გავლენის გასავრცელებლად კომკავშირზე.

პლენუმი აღნიშნავს, რომ ამხ. ძიგრაშვილმა, ფრანგიშვილმა, ტაბიძემ, კაჭარავამ და ბახტაძემ ვერ გაამართლეს ა. ლ. კომკავშირის მერვე ყრილობის იმედები, როდესაც მათ ყრილობა ხელმძღვანელ ორგანოებში ირჩევდა.

პლენუმს სწორად მიაჩნია ცეკას მიერ ამ ამხანაგების მიმართ გადადგმული ნაბიჯი და სავსებით უერთდება მათ.

პლენუმს საჭიროდ მიაჩნია მომავალში გაძლიერებულ იქმნას განმარტებითი მუშაობის წარმოება ორგანიზაციაში და ბრძოლა ოპოზიციის წინააღმდეგ.

პლენუმი აცხადებს, რომ ლენინური კომკავშირი მუდამ იქნება პარტიის უმრავლესობის ხაზის და დადგენილების გამტარებელი. ყოველგვარი ცდა მიმართული პარტიის და კომკავშირის დაპირდაპირებისაკენ ძირშივე იქნება აღმოფხვრილი.

გაუმარჯოს კომპარტიის მთლიანობას!

გაუმარჯოს ს. ა. ლ. კომკავშირის ცეკას!

ბიუროების გადარჩევა

შედეგები ლენინის რაიონში

(თბილისი)

ბიუროების გადარჩევა ჩატარდა ყველა უჯრედებში, გარდა საქონლის სადგურის უჯრედისა. რაიკომის პრეზიდიუმმა ეს საკითხი დასვა უჯრედთა ბიუროების სარაიონო კონფერენციაზე. მოსამზადებელმა მუშაობამ, რომელიც ჩატარა თვით უჯრედებმა. ადგილებზე, სათანადო შედეგი გამოიღო: უჯრედთა მდივნების მიერ შედგენილი მოხსენებები იმ კითხვების მიხედვით, რომელიც მათ რაიკომმა დაუგზავნა, შეიცავდენ უჯრედის მუშაობის ყველა დარგებს. გადარჩევითი კრებების დღიურ წესრიგში, უჯრედთა ბიუროების საანგარიშო მოხსენებების გარდა, იყო აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების, კომკავშირის უჯრედის, სამეურნეო მუშაკთა მოხსენებები და სხვა. უჯრედთა ბიუროების გადარჩევა მოხდა 19 სამრეწველოსა და 15 დაწესებულებათა უჯრედებში. კრებებზე უჯრედთა მდივნების საანგარიშო მოხსენებები მოსმენილ იქნა 34 უჯრედში, კომკავშირის—27 უჯრედში, ადგილკომების ფრაქციების—10 უჯრედში, პარტადმინისტრატორების 13 უჯრედში, საწარმოო თათბირის—2 უჯრედში, თემ აღმასკომის—ერთ უჯრედში და გლეხკომის—ერთ უჯრედში. გასაკვირი არ არის, თუ ასეთი დღიური წესრიგის გამო კრებები გრძელდებოდა 2—3 და 4 დღეც. კრებებზე ესწრებოდა უჯრედის წევრთა 75 პროცენტი, მიუხედავათ იმისა, რომ რკინის გზის სამსახური სპეციალური ხასიათისაა. საკითხების განხილვა ცოცხლად მიმდინარეობდა.

ყველა მოხსენებების გარშემო ზეპირი შეკითხვების რიცხვი თითო უჯრედზე საშუალოდ მოდის 22, წერილობითი შეკითხვები კი—9, კამათში, დამსწრე კომუნისტების რიცხვიდან,—მონაწილეობას იღებდა 515 კაცი (28,3 პროც.) თითოეულ უჯრედზე მოდის საშუალოთ 15 კაცი. ყველაფერი ეს ამტკიცებს პარტიულ მასის აქტივობის ზრდას. ეხლანდელი კამპანიის რიგიანმა მომზადებამ და წინანდელი კამპანიის გამოცდილების გამოყენებამ შესაძლებლობა მოგვცა აღმოგვეფხვრა გადახრები. არ იყო მაგალითად არც „თვითგამათრახების“ შემთხვევები და არც უჯრედის მუშაობის „კაზიონური კეთილდღეობის“ თვალსაზრისით გაშუქების ცდა.

მოხსენებებმა და მის გარშემო გამართულმა კამათმა გვიხატავს ჩვენი ძირითადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნამდვილ სურათს უკანასკნელი წლის განმავლობაში არსებულ მიღწევებათა და ნაკლით.

მიღწევათა შორის აღსანიშნავია:

1) განმტკიცება და გაფართოება შინაპარტიული დემოკრატიის, პარტიის მთლიანობა და წარმატებითი ბრძოლა ანტი-ლენინური გადახრების წინააღმდეგ.

2) პარტიული მასის დიდი ინტერესი პარტიული პოლიტიკის ყველა ამოცანებისადმი.

3) უჯრედის შინაური მუშაობის მოწესრიგება.

4) აქტივისტ-მუშების ახალი კადრის წამოყენება.

5) უჯრედის სერიოზული ღონისძიებები უპარტიოთა შორის მუშაობის გასაძლიერებლად.

6) ავტორიტეტის ზრდა უპარტიოთა შორის.

7) უჯრედთა აქტიური მონაწილეობის მიღება საწარმოო ცხოვრებაში.

8) ქალთა და ახალგაზრდებს შორის მუშაობის გაძლიერება.

არის აგრეთვე ნაკლიც, რომელთა შორის აღსანიშნავია:

1) უჯრედთა მასიურ მუშაობის სისუსტე.

2) არა საკმაო ხელ[illegible] კომკავშირის უჯრედებზე, ნებაყოფლობითი ორგანიზაციებსა და პროფ-მუშაობაზე.

3) უჯრედების წევრების არა თანაბარი დატვირთვა.

4) უჯრედების არასაკმაო განაწილება პარტიის წევრების აღმზრდელობითი მუშაობაში, განსაკუთრებით პარტიის ახალგაზრდათა წევრების აღზრდის საქმეში.

5) კომკავშირული მუშაობის სისუსტე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კამათის ცენტრალური ადგილი იყო სამეურნეო საკითხები. პარტიული მასის ინტერესი სამეურნეო საკითხებისადმი განსაკუთრებით დიდი იყო. პარტიული მასის მიერ პარტიის მიერ წამოყენებული ამოცანების შეგნების დონე სავსებით დამტკიცებულია იმით, თუ როგორ გამოეხმაურენ უჯრედები სამეურნეო აღმშენებლობას.

კამათში, რომელიც განსაკუთრებით ცხოველ ხასიათს ატარებდა აღნიშნავდენ წარმოების რაციონალიზაციის აუცილებლობას, შრომის ნაყოფიერების აწევას, ადმინისტრატორების მეტ პასუხისმგებლობას მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში, საწარმოო პროგრამის 100 პროც. შესრულებას და სხვა. მოხსენებებიდან გამოირკვა აგრეთვე, რომ წარმოება თანდათან ფართოვდება, მუშების დამოკიდებულება წარმოების მიმართ უმჯობესდება და სხვა ყველა უჯრედებში პრაქტიკულ წინადადებათა დასამუშავებლად წამოაყენეს სპეციალური კომისიები. ბიუროების გადარჩევა მოხდა შინაპარტიული დემოკრატიის გატარების ნიადაგზე. კანდიდატების შერჩევა ხდებოდა მათი შრომის უნარისა და პარტიული სიმტკიცის მიხედვით. კენჭის ყრა იყო პერსონალური. შედეგად მივიღეთ საწარმოო უჯრედების ბიუროების განახლება 53.8 პროცენტით, დაწესებულებებისა და სხვა უჯრედებში—56,6 პროცენტით უჯრედთა მდივნების შეცვლა 27,8 პროცენტით, განახლების ასეთი დიდი პროცენტი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ სწორი ხელმძღვანელობისა და პრაქტიკულ მუშაობაში ფართედ ჩაბმის გამო გაიზარდა პარტიული აქტივი განსაკუთრებით პარტიის ახალგაზრდა წევრების რიცხვიდან. უჯრედთა ბიუროების ახალი შემადგენლობა, როგორც სოციალური მდგომარეობით, ისე ნაციონალური ხასიათით სავსებით სწორია და მიზანშეწონილი.

მ. პოპოვი.

დელეგატ ქალთა არჩევნები

დელეგატ-ქალთა საზეიმო სხდომა

(ქუთაისი)

31 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ქ. ქუთაისში „მესამე ინტერნაციონალის“ კლუბის დარბაზში შესდგა მეხუთე მოწვევის დელეგატ ქალთა საზეიმო სხდომა. კრებას დაესწრო მრავალი დელეგატი მუშა ქალები.

ამხ. მ. მიქაძის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. სოფია ფარცხალაძის ხსოვნა.

კრების საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულ იქმნენ: ამხ. კლარა ცეტკინა, სტალინი, ბუხარინი, მახარაძე, ცხაკაია და ორჯონიკიძე.

საქმიან პრეზიდიუმისა და სამდივნოს არჩევის შემდეგ კრებას მიესალმენ სამაზრო პარტკომის, ქალაქის არმიის, სამაზრო პროფბიუროს და ა. ლ. კომკავშირის წარმომადგენლები. დელეგატ ქალებიდან კრებას მიესალმენ ამხ. ნუცუბიძე, ჩიქოვანი და კუჭავა.

მისალმების დამთავრების შემდეგ კრებამ მოისმინა ამხ. თ. ჭუმბურიძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„ქუთაისის მეხუთე მოწვევის დელეგატ ქალთა საზეიმო სხდომამ მოისმინა მოხსენება ამხ. ჭუმბურიძისა, საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და აღნიშნავს, რომ მიმდინარე ხასიათდება კაპიტალისტურ ქვეყნებში კაპიტალიზმის დამრღვეველი მოვლენების გაძლიერებით, მუშათა მასების გარევოლიუციონერებით და იმპერიალისტების მიერ დამონებულ კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში ეროვნული რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერებით, რაც მსოფლიო იმპერიალიზმის არსებობას დიდ საფრთხეს უმზადებს. ამავე დროს, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის—რომელიც მსოფლიო რევოლიუციის მთავარი დასაყრდენია, სამეურნეო და პოლიტიკური მდგომარეობა თანდათან მტკიცდება.

ოქტომბრის რევოლიუციის მეცხრე წლის შესრულებისას საბჭოთა კავშირში სამეურნეო და კულტურულ დარგში უდიდესი მიღწევები ჰქონდა, ეს მიღწევები კი მტკიცე თავდებია სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში.

კაპიტალისტურ ქვეყნებში კაპიტალიზმის დამრღვეველი ძალების გაძლიერება, იმპერიალისტების მიერ დამონებულ აღმოსავლეთში ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლის გაღრმავება, საბჭოთა ქვეყნების სოციალისტური მშენებლობის განვითარება-განმტკიცება. ეს მთავარი დამახასიათებელი მოვლენები თანამედროვე მომენტისა, იმის მაჩვენებელია, რომ მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება უზრუნველყოფილია.

გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!“

დასასრულ კრებამ მეხუთმეტე პარტკონფერენციას გაუგზავნა შემდეგი შინაარსის მისალმებელი დეპეშა. „ქუთაისის მეხუთე მოწვევის დელეგატ ქალთა საზეიმო სხდომა მხურვალე სალამს უძღვნის მეხუთმეტე პარტკონფერენციას; საზეიმო სხდომა აცხადებს, რომ ჩვენ მშრომელი მუშა-გლეხი ქალები აქტიურად გავატარებთ ცხოვრებაში ლენინის პარტიის კონფერენციის ყველა დადგენილებებს. კომპარტიის მეთაურობით ოქტომბრის რევოლიუციის მიერ განთავისუფლებული მშრომელი ქალები თავისუფლად ვიბრძოლებთ და მედგრად ვიბრძოლებთ, მამაკაცებთან ერთად ყველა ფრონტზე სოციალიზმ-კომუნიზმის განხორციელებისათვის.

გაუმარჯოს მეხუთმეტე პარტკონფერენციის ნაყოფიერ მუშაობას!

გაუმარჯოს ქალთა განთავისუფლებას მთელ მსოფლიოში, რომელსაც ლენინურად შეასრულებს კომინტერნი (ბ) პარტია!“

საზეიმო სხდომა დაიხურა საღამოს 8 საათზე, რის შემდეგ დელეგატი ქალები გაემართნენ კინო-თეატრში, სადაც მათ უჩვენეს რევოლიუციონური სურათი „უკანასკნელი გასროლა“.

ზელი.

არჩევნები ცოცხლად ჩატარდა

26 ოქტომბერს შესდგა სახალხო კვების კავშირის პირველ და მეორე რაიონების ადგილკომების წევრთა, საბჭოთა და სავაჭროთა კავშირის და პროფკავშირთა საბჭოს მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება.

სადელეგატო კრებების მნიშვნელობის და ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. საყვარელიძემ, რომელმაც თავის მოხსენებაში დაწვრილებით გააცნო კრებას, წარსული მოწვევის სადელეგატო კრების მიღწევები და ნაკლულევანებანი. მოხსენების მოსმენის შემდეგ, კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც ხაზგასმით აღნიშნულია, ქალთა სადელეგატო კრებების უდიდესი მნიშვნელობა, შრომელ ქალთა შორის მუშაობის გასაცხოველებლად. სადელეგატო კრება ეხმარება მუშა-ქალებს, სწორ ლენინურ გზას გაუკვლევს და სათანადო მომზადებას აძლევს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების საკითხების გადაჭრაში, აქტიურ მონაწილეობის მისაღებათ.

მოსმენილ იქნა აგრეთვე დელეგატ ქალების ანგარიშები. კრება აუცილებელ საჭიროებათ სცნობს მომავალში უფრო გაძლიერებულ იქნას ქალთა სადელეგატო კრებების მუშაობა, დელეგატ ქალების მხრივ მეტი აქტივობის გამოაშკარავებით.

დასასრულ მოხდა დელეგატ ქალთა არჩევნები. არჩეულ იქნა 40 დელეგატი ქალი კრებას დაესწრო 297 ქალი და 32 მამაკაცი. არჩევნები ცოცხლად ჩატარდა. დამსწრე ქალები დიდ აქტივობას იჩენდენ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

წიგნის მაღაზიის გაქურდვა

თელავი, 10 ნოემბერი. 8 ნოემბერს ღამით ბოროტმოქმედები ფანჯრიდან შევიდნენ სამაზრო აღმასკომის წიგნის მაღაზიაში, წაიღეს სალაროდან 150 მანეთი და მიიმალნენ. (ადს)

იტალიის კონსული კახეთში

თელავი, 10 ნოემბერი. გუშინ, თელავში ჩამოვიდა იტალიის კონსული კუარონი და ამხ. კარკლინი, სალარიძე და მიქალაძე. ქალაქის დათვალიერების შემდეგ ისინი გაემგზავრენ წინანდალის სახალხო მამულში, საიდანაც დღეს შირაქში გაემგზავრენ. (ადს.).

სას.-სამ. გადასახადი

თელავი, 10 ნოემბერი. წარმატებით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა. უკვე შეკრეფილია მთელი გადასახადის 30 პროცენტი.

ღვინის ბაზარი

თელავი, 10 ნოემბერი. ღვინის ბაზარი უქმადაა. მყიდველები არ არიან. ღვინო არ გადის.

კონტრაბანდისტთა ბრბო

თელავი, 10 ნოემბერი. აღმოჩენილია კონტრაბანდისტთა ორგანიზაცია. მეთაურები დაპატიმრებული არიან.

წერილები

ბიუროკრატიზმი სოფლად

საქმეების გაჭიანურება ბიუროკრატიზმის ერთი სახეა. სოფლად, სადაც დაწესებულება ორგანიზაციები მჭიდროთ არიან მოსახლეობასთან დაკავშირებული, თითქოს ყველაზე ნაკლებ უნდა ჰქონდეს ადგილი ბიუროკრატიზმს, მაგრამ სამწუხაროთ ეს ასე არაა.

არის დაბა-სოფლებში მაგალითები, როცა ბიუროკრატიულ „ოსტატობით" ადგილობრივი მუშაკები გაცილებით წინ უსწრებენ ცენტრის ბიუროკრატებს. რატომ ხდება ეს? ამის მიზეზები მრავალნაირია, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ შემდეგი:

ჩვენს აპარატებში, არა მარტო ცენტრში, არამედ სოფლადაც საკმაოზე მეტი მოიპოება ძველი სახელმწიფო აპარატის მუშაკები. ბუნებრივია, რომ ამ ხალხს რომელიც აღზრდილია ძველ სკოლაში, ძველ სახელმწიფოებრივ წყობილებაში, უნებლიეთ უნდა გადმოეტანათ ძველი აპარატის ზნე-ჩვეულებანი ახალ აპარ. მუშაობაში, და ეს ასედაც მოხდა. გარდა ამისა, არის ისეთი ჩამორჩენილი კუთხეები, სადაც რევოლიუციის შემდეგ ჯერ კიდევ არ მოესწრო ადგილობრივ მუშაკების წამოყენება მოსახლეობის უღარიბეს ფენებიდან. ამ კუთხეებში ჩვენ იძულებული გავხდით ახალ მუშაობაში ჩაგვება ძველი მუშაკები შედარებით უმნიშვნელო გამოკლებით.

ამასთან ერთად ბიუროკრატიზმის გაძლიერებას ხელს უწყობს ჩვენი მატერიალური ხელმოკლეობა და მუშაკების სიმცირე. ასე მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როცა სჩივიან სახალხო სასამართლოებზე. აქ, საქმეების გაჭიანურება, არაჩვეულებრივ ხასიათს ღებულობს. ეს იმით აიხსნება, რომ არა გვაქვს საშუალება, არა გვყავს მუშაკები, რომ გავაძლიეროთ სასამართლოების ქსელი და შევუმციროთ საქმეები უზომოთ დატვირთულ სახალხო მოსამართლეებს.

ასეთია უმთავრესად ის მიზეზები, რომელიც იწვევენ ბიუროკრატიზმს და მოსახლეობის თავგამომაბეზრებელ „ხვალ-ხვალობას" საქმეების გარჩევის დროს. აქედან ცხადია, რა ღონისძიებები უნდა იქნას მიღებული ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ესაა პირველყოვლისა მუშაკების შერჩევის საკითხი.

საჭიროა ჩვენი ქვედა აპარატის მუშაკები მჭიდროთ დაუახლოვდენ ადგილობრივ პარტიულ და სხვა ორგანიზაციებს. საჭიროა მათი ჩაბმა საბჭოთა საზოგადოებრივ მუშაობაში. ამასთან ერთად უნდა იქნას მიღებული ზომები ღარიბ გლეხთა ფენებიდან ახალი მუშაკების მოსამზადებლად და წამოსაყენებლად. ამის შესახებ არა ერთხელ ყოფილა მიცემული დირექტივა პარტიის მიერ, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ეს დირექტივა ბევრგან არაა შესრულებული.

რაც შეეხება მატერიალურ დაბრკოლებათა დაძლევას, რომელიც აგრეთვე ხელს უწყობენ ბიუროკრატიზმს, ამ ამოცანის მოგვარება დამოკიდებულია საბჭოთა კავშირის სამეურნეო წინსვლაზე. ეს წინსვლა კი უდაო ფაქტია.

ბ. კარანიძე.

სასუფრე ჯიშის ყურძნის გაშენება

(ბორჩალოს მაზრა)

სადგურ სანდარიდან სამხრეთისაკენ ოთხი ვერსის დაშორებით გაფენილია საბჭოთა მამული „გიასურარხის" სახელწოდებით, რომელსაც აქვს 575 დესეტინა მიწა. ამ მამულს აკრავს შემდეგი სოფლები: გიასურარხი, სარვანი, მარნეული, ჯანდარი, ქესალა, აზარლო. ამ სოფლებში მუშა-ხელი ყოველთვის იშოვება. 575 დესეტინაში სარწყავია 525 დესეტინა და ურწყავი მხოლოდ 50 დესეტინა.

მთავარი მიმართულება მამულისა მემინდვრეობა და ძვირფას მცენარეთა მოყვანაა. მიმდინარე წელს მამულს აქვს 30 დესეტინა ბამბა, პური 45 დესეტინა, ქერი 5 დეს., სათიბები 50 დესეტინა და დანარჩენი ისვენებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მამულში ყურძნის სასუფრე ჯიშების ვენახი, სივრცით ოთხი დესეტინა. ამ ოთხ დესეტინაში მსხმოიარე შეძველებული ვენახი, რომელიც განახლებას მოითხოვს, არის 2 დესეტინა, უფრო ახალი, მაგრამ უკვე მსხმოიარე 2 დეს. და ახალშენი ½ დესეტინა, რომელიც ჩაყრილია მიმდინარე წელს.

ჩვენ ვამბობთ განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ვენახი თავის განსაკუთრებული სუფრის ჯიშებით. ასეთი ვენახი რესპუბლიკაში ერთადერთი გვაქვს. აქ არის გაშენებული შემდეგი გახოქმული ჯიშები: ალექსანდრიის მუსკატი, რომელიც ისე მწიფდება და ისეთს საქონელს იძლევა, როგორც თავის სამშობლო ეგვიპტეში (იბრაწება მზეზედ), ფრიად სასიამოვნო რამ არის და რვა მანეთამდი ფასობს ფუთი. ამ ჯიშზე დიდი მოთხოვნილება არსებობს. მას მოსდევს კატალანი, კოკური, შიკანი, შაჰანი, სარი სახაბი, ქართული თითა და ძროხის ძუძუ და განჯური შავი და თეთრი.

კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ საჯიშოდან გაშენება ამ ვაზებისა საქართველოს მევენახეობის იმ რაიონებში, სადაც მოთხოვნილებაა სატრანსპორტო სუფრის ჯიშებზედ, ფრიად სარფიანი და ხელსაყრელი გახდება.

სახალხო მამულის სამართველოს გადაწყვეტილი აქვს სუფრის ჯიშების ვენახს დაუმატოს 15 დესეტინამდე ახალი ვენახი ამ გამოცდილ ჯიშებისა. რომ ერთის მხრივ ამით გაადიდოს შემოსავალი მამულისა და მეორე მხრივ დააკმაყოფილოს ის დიდი მოთხოვნილება, რომელსაც გლეხ-კაცობა უდგენს ამ სარგავ მასალაზედ, რადგან სოფელი დიდს ინტერესს იჩენს ამ კულტურისადმი.

ვასო ბიბილაშვილი.

იტალიელი სტუმრები საგარეჯოში

(გარე-კახეთი)

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში საგარეჯოს ეწვია ხუთი კაცისაგან შემდგარი იტალიის დელეგაცია. საღამოს, დაახლოებით 4 საათი იქნებოდა, რომ მოვიდნენ ისინი ავტომობილით. დელეგაციას მოუძღვა გლეხკორი ამხ. თამაზაშვილი (კაკაბეთიდან).

ავტომობილიდან ჩამოსვლისთანავე ამხ. თამაზაშვილი გაუძღვა დელეგაციას და აიყვანა თემ-აღმასკომში. შემდეგ დელეგაციამ ცოტა ხანს შეისვენა, წითელ სასადილოში ისადილა და სადილის შემდეგ დაიარა საგარეჯოს ყველა დაწესებულებები.

მათ ყველგან დაუძღვებოდა თვით გლეხკორი თამაზაშვილი. დელეგაციას მიართვეს ადგილობრივი ხილი: ვაშლი, ყურძენი და ჩურჩხელები. იტალიელი ამხანაგები დიდათ ნასიამოვნები დარჩენ და დიდი მადლობაც გადიხადეს. საღამოს, მზის ჩასვლისას, დელეგაცია გაემგზავრა ს. მანავისაკენ. დელეგაცია ქუდების მოხდით და მადლობის ძახილით გამოეთხოვა საგარეჯოს გლეხებს.

მაისი.

წერილებიდან

ს. დიდი კოკი (ზუგდ. მ.)

შენობა ინგრევა. აქ არსებობს შვიდწლედის შენობა, რომელიც თავის-თავად კარგი სახლია, მაგრამ მოუვლელობით დღითი-დღე ინგრევა. აივანი, ფანჯრები და სხვა მორთულობა კარგა ხანია განშორდა ამ შენობას. დიდი კოკის თემს არ აკლია შესაძლებლობა, რომ შვიდწლედისათვის შესაფერი შენობა იქონიოს. მაგრამ არ არის მონდომება. ადგილობრივ მოწინავე ძალებმა და აღმასკომმა უნდა ითაონ ეს საქმე.

ვანო კოკელი.

ს. პატარძეული (გარე-კახეთი)

სწავლა ფერხდება. ადგილობრივ შვიდწლედის შენობა იმდენად პატარაა, რომ მეცადინეობა აქ ორწყებად სწარმოებს: დილით და ნაშუადღევს. სოფელმა უკვე დაიწყო ახალი შენობის აგება. პირველი სართული მალე იქნება დასრულებული, ხოლო რაც შეეხება დანარჩენს, მდგომარეობა უნუგეშოა. სოფელი დაზარალებულია მოუსავლობით. ამიტომ მაზრის დახმარების გარეშე სოფელს არ ძალუძს სკოლის დამთავრება.

ილოს.

ს. პატარძეული (გარე-კახეთი)

სამკითხველოს გაზეთები აკლია. ჩვენს სამკითხველოს გარდა „მუშასა" და „ახალ. კომუნისტი"-სა გაზეთი არ მოდის. ეს არ აკმაყოფილებს მოსახლეობას.საჭიროა ზომების მიღება ვისგანაც ჯერ არს.

ელია.

ს. მოხისი (გორ. მაზ.)

იძინე მოხისის კლუბო! მოხისში არსებობს კლუბი, სამკითხველო, სკოლა, მაგრამ არც ერთი არ სდგას თავის სიმაღლეზე. კლუბს მოსვლია სალათის ძილი და გარედან ფუთიანი ბოქლომი ჰკიდია. კლუბის ქვემო სართული ბოსლათ არის გადაკეთებული. როდის მოიხსნება ბოქლომი მოხისის კლუბზე?

გულშემატკივარი.

ს. სორმონი. (ქუთ. მ.)

სახიფათო გზა. ეგრეთ-წოდებული სალეჩხუმო გზა, რომელიც ჩვენს თემს ჩაუვლის, საცოდავ მდგომარეობაშია. იყო შემთხვევა ამ გზაზე გადაბრუნდა ურემი და მეხრე ხარ-კამეჩით სასტიკათ დაზიანდა. საგზაო კომისია ყურსაც არ იბერტყავს, სორმონის გზის შეკეთებაზე ასეთი მდგომარეობა დიდ უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში.

შ. ვახტანგაძე.

საქ. სამხედრო გზა

რბილი „საჯდომი". ამ გზატკეცილზე დადის ფოსტის საბარგო ავტომობილები, რომლებსაც ჟურნალ-გაზეთები და კორესპონდენცია დააქვთ ტყავის ჩანთებით. ავტომობილში დასაჯდომი სხვა არა არის რა, გარდა ამ ჩანთებისა. ამიტომ კორესპონდენცია იოლდება და ფუჭდება. ხელის მომწ. დაპაეულ გაზეთს ღებულობს. დროა ამას ყურადღება მიაქციონ თბილისის და კავკავის ფოსტის კანტორებმა.

დ. ჟღენტი.

ხვარბეთის თემი, (გურია)

რათ დაკეტეთ აფთიაქი? ჩვენი თემი ცნობილია თავის მცხოვრებთა მრავალრიცხოვანობით და კულტურული წინსვლით. სხვა აუცილებელ დაწესებ.-ორგანიზაც-თან ერთად ხვარბეთის თემში იყო აფთიაქი. ექვსი თვეა ეს აფთიაქი მიკეტეს, ფარმაცევტი კი ოზურგეთში გადაიყვანეს. ამ გარემოებამ ხალხი უკიდურეს პირობებში ჩააგდო. ექიმი გვყავს, მაგრამ გამოწერილ წამალის შესაძენათ გლეხებს 14-15 ვერსის მანძილზე უხდებათ სიარული. ეს დაუშვებელია. იმედია ჯანმრთელობის სამაზრო განყოფილება მიიღებს ზომებს აფთიაქის ხელ-ახლა გახსნისათვის და ფარმაცევტის გამოსაგზავნად.

ლ. ა—ძე.

სოფლის ქრონიკა

— **საკავშირო აღწერის** ხელისშესაწყობათ შორაპნის აღმასკომმა შეადგინა სამეული.

— **დასასვენებელი სახლის** აგება ჯავაში დამთავრდება ამა წლის ბოლომდე.

— **ახალქალაქის აღმასკომი** აწყობს სატყეო სანერგეს.

— **დახმარება.** რაჭის სამაზრო აღმასკომმა დააარსა მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომისია.

— **საექიმო პუნქტი.** ახალქალაქის აღმასკომი ყველა საექიმო პუნქტებისათვის იწვევს ექიმებს.

— **ბორჩალოს** აღმასკომმა გადასწყვიტა მაზრაში მომუშავე აგრონომების საშუალებით სისტემატიურათ მოაწყოს ლექცია-საუბრები აგრონომიულ საკითხებზე.

— **დახმარება.** ბორჩალოს აღმასკომმა გადასწყვიტა გაანთავისუფლოს სარწყავ წყალის გადასახადისაგან სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებული გლეხები.

— **კურსები.** ახალქალაქის აღმასკომი აწყობს ორგანიზატორ ქალთა კურსებს.

— **ჭაობი.** ახალქალაქის აღმასკომი შეუდგა ვაჩიანის ჭაობის ამოშრობას.

მუშათა ცხოვრება

ნეტავ, ვინ იყავი?!

(მუშკორის შენიშვნა)

უკვე საღამოს რვა საათი იქნებოდა როცა, მუშკორები მორიგ კრებიდან გამოვიდნენ.

მუშკორების დიდი ნაწილი ვერის მიმართულებით წავიდა რკინის გზელებიანად და მეორე ჯგუფი კი გაეშურა მუშათა სასახლისაკენ. ზოგიერთებმა დაუხვიეს ყოფილ ვარანცოვის ხიდისაკენ. მალლაითით გაიარეს ერთი ხიდი, მეორე და დაუახლოვდნენ რესტორან „ნად-კურიი"-ს, საიდანაც ამოდიოდა სხვადასხვანაირი სიმღერები.

ეტყობოდა, რომ აქ რამოდენიმე ადგილას იყო ქეიფი.

ნეკრასოვის და მიმოსვლის ქუჩის კუთხეში სასადილო „ძმური კავშირი"-დან მოისმოდა დუდუკის ზუზილი და დაბნეული სიმღერა. ეტყობოდათ, რომ მომღერლები ბახუსის ძალას უკვე დაემორჩილებინათ.

— სწორედ, რომ ეს კაფე-სასადილოები გადმოსროლილი ანკესია გამვლელ-გამომვლელისათვის!—სთქვა ნიკომ.

— „მეფისტოს" ღამის ორ საათამდე აქვს ვაჭრობის ნებართვა—მიუბრუნდა სანდრო თავის ამხანაგებს.

— მერე რა ჯურის ხალხი დადის აქ, რომ ამოდენა ფულებს ხარჯავენ?!—შეაწყვეტინა ნიკომ სანდროს სიტყვა.

— მაგათ ხომ ოჯახებშიაც დიდი ხარჯი ექნებათ და საიდან ფარავენ ამოდენა ხარჯებს?—სერიოზულად შეეკითხა ისევ ნიკო მიმავალ ამხანაგებს.

— აქ, ალბად, ვაჭრები ქეიფობენ ხოლმე?—წამოიძახა პეტომ.

როდესაც მუშკორები ამ ლაპარაკში იყვნენ, მათი ყურადღება მიიპყრო ერთმა გარემოებამ. 19 თებერვლის სახელობის ქუჩიდან ერთი უზარმაზარი ავტომობილი გამოჩნდა, რომელიც სავსე იყო კაცებით და ახალგაზრდა ქალებით. ავტომობილი გაჩერდა მიმოსვლის ქუჩის შუა და ნელ-ნელა ჩასვლა დაიწყო იქვე წისქვილების ჩასასვლელში.

— ესენი განზრახ ბნელი გზით მიდიან რესტორან—„ნად კურიი"-ში, რომ ხალხმა არ დაინახოს.

შენიშნა ჩუმად მეთამბაქო პეტომ. მათ უნდა უთვალთვალოთ თუ საით წავლენ.

პეტო გაჰყვა კიდეც ფეხ-და-ფეხ მიმავალ ავტომობილს ბნელ და ვიწრო ქუჩაში, რომელიც უერთდება ყოფ. ვარანცოვის მოედანს.

მუშკორები შეჩერდნენ, ცნობის მოყვარეობით შეპყრობილნი, და დაუწყეს ცდა მესამე ამხანაგს.

მცირე ლოდინის შემდეგ ვიწრო ქუჩიდან ამოვიდა პეტო თავის ქნევით და დიდი აღელვებაც ეტყობოდა სახეზე..

— რა იყო ბიჭო?! რამ აგაღელვა ეგრე? ან ის ავტომობილი სად გაჩერდა?—შეეკითხნენ მას ნიკო და სანდრო.

— ის ავტომობილი, რომელსაც წეღან მე გავყევი გაჩერდა რესტორან „ნად კურიი"-ს, უკანა ბნელ მხარეზედ.

— გაჩერდა? მერე რა მოხდა?—შეაწყვეტიეს ამხანაგებმა.

— ის მოხდა, რომ კაცები გადმოვიდნენ და ქალები ვერა ბედავდნენ გადმოსვლას, სულ თვალებზე ხელებს იფარებდნენ სირცხვილისაგან. ეტყობოდათ, რომ ასეთ ადგილზე პირველად მიდიოდნენ.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ იმათ ორი და სამი თუმანი ხომ არ ეყოფათ ასეთი ქეიფისათვის? განაგრძო სანდრომ. მათ ამეღამ ოცი თუმანი უნდათ სულ უკანასკნელად რომ ვთქვათ.

— ალბად, ბიუჯეტშიც ექნებათ შეტანილი ეს ხარჯები—შენიშნა ნიკომ.

— ნეტავი, ვინ იქნებოდნენ ეგ ჯეილები, რომ ასე უსაზღვროდ ქეიფობენ და ამოდენა ფულებს ხარჯავენ? ნეტავი რომელ შემოსავლიდან?!—წაიბუტბუტა სანდრომ ხელების გაშლით.

— ჩემის აზრით, კარგი იქნებოდა ამ რესტორნებს ხშირად გამოუარდნენ, როდესაც გაფლანგველებს, ან ქურდებს ეძებენ ხოლმე. დასძინა პეტომ.

— მოქეიფეების რეჟიმმა ცხელი მუხრუჭი უნდა მოუჭიროს ასეთ „ხელგაშლილებს" სთქვა ნიკომ და გამოემშვიდობა ამხანაგებს.

მუშა ნიკო მკერვალი.

საწარმოო კომისიები მუშაობენ

თბილისის კვანძში არსებობს 24 საწარმოო კომისია 3-დან 10 კაცის შემადგენლობით. კომისიები ამზადებენ საჭირო ძალებს საწარმოო საკითხების განსახილველად. წვრილმანი საკითხები იხსნება საწარმოო კომისიების სხდომაზე დიდი საკითხები კი იხსნება საწარმოო თათბირზე, რომელსაც ესწრობიან, მუშა-მოსამსახურეები. ზოგიერთ დიდ წარმოებებში არსებობს ქვეკომისიები, რომლებიც იხილავენ საამქრო საწარმოო ქვეკომისია, რომლის მუშაობას ხელმძღვანელობას უწევს მთავარ სახელოსნოს მიერ დანიშნული გამოცდილი პირები.

საწარმოო - ეკონომიურ მუშაობაში ჩაბმულია აგრეთვე საუბნო სექციის წევრები (ინჟინერ-ტეხნიკური ძალები),რომლებიც ეხმარებიან ადგილკომებს საწარმოო კომისიების და თათბირების მიღწევების აღრიცხვის საქმეში. 1926 წელს 1-ლ აპრილიდან 1-ლ ოქტომბრამდე აღნიშნულ 24 ადგილკომებთან ჩატარებული იქნა საწარმოო კომისიების 53 სხდომა, სადაც გარჩეულ იქნა 226 საკითხი. საწარმოო თათბირების სხდომა მოწვეულ იყო 18-ჯერ. გაირჩა 211 საკითხი; ცხოვრებაში გატარდა ადმინისტრაც ის მიერ 145 წინადადება. საწარმოო. კომისიების მიერ წამოყენებულ საკითხების ცხოვრებაში გატარებამ წარმოებას მისცა 10.960 მანეთის მოგება.

მ. ციცინათელა.

„კომუნისტი"-ს მუშკორებში

ამ დღეებში ჩვენი რედაქციის ბინაზე შესდგა გაზ. „კომუნისტის" და „მუშას" მუშკორების გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ელექტრონის სადგურის დირექტორის ამხ. ცანავას მოხსენება „ზაჰესის" ელექტრო-დენის განაწილების და ტარიფის შესახებ; 2) ექსკურსიის საკითხები; 3) შემდეგ კრებაზე მორიგი მომხსენებლის მოწვევის შესახებ.

ამხ. ცანავა ვრცლად შეეხო „ზაჰესის" ელექტრო-დენის ქალაქში მიღების და განაწილების პერსპექტივებს.

დენის მიღება, მომხსენებლის თქმით, მოსალოდნელია დაახლოვებით ნოემბრის ბოლო რიცხვებში. პირველ რიგში ელექტრო - დენი მიეცემა პირველ რაიონს, რომელიც სრულიად მოწყობილია დენის მისაღებად.

პირველ წელიწადს „ზაჰესის" დენს ვერ გამოიყენებენ მთლიანად, მაგრამ როდესაც მიღებული იქნება გამოწერილი ახალი მანქანები წარმოებებში, რაც მოსალოდნელია წლის ბოლოს, მაშინ შეიძლება „ზაჰესის" ნორმალური დატვირთვა.

ელექტრო-დენის ფასი იქნება დაახლოვებით სამჯერ მცირე, ვიდრე ეხლა ფასობს იგი. ეს ფასიც უფრო დაიწევს მომავალში, როდესაც „ზაჰესს" თანდათან მოაკლდება ის დავალიანება, რომელიც ამჟამად მოქმედობს მის ფასებზე. ელექტრო-დენის ბინებში გაყვანის დროს მუშა-მოსამსახურეთ მიეცემათ დიდი შეღავათები ათი თვის კრედიტის გახსნის სახით.

საინტერესო საკითხმა გამოიწვია მრავალი შეკითხვები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მომხსენებელი შეკითხვებზე იძლევა დამაკმაყოფილებელ პასუხებს.

კრება უცხადებს მადლობას მომხსენებელს და მის მომწვევს საინტერესო მოხსენებისათვის.

ექსკურსიის შესახებ კრება ადგენს, რათა ახლო ხანებში მოეწყოს დათვალიერება ორთაჭალის ქარხნებისა აქაურ წარმოების მდგომარეობის გასაცნობად.

აგრეთვე დადგენილ იქნა, რათა შემდეგ მორიგ კრებაზე ეთხოვოს სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარს ამხ. ხომერიკს გააკეთოს მოხსენება პენსიის და სოც. დაზღვევის საკითხების ირგვლივ.

მუშკორი ა. ნ.

ქალი მტვირთავი მუშად

თბილისის საქ. სადგურში გამოგზავნილ იქნა სატრანსპორტო კავშირის ც. გამგეობის მიერ მტვირთველ მუშის თანამდებობაზედ მტვირთავი ქალი ეკატერინე ხერდიუკოვა, რომელიც მუშაობს სადგურის მე-12 საწყობში. ეს პირველი მაგალითია თბილისის საქ. სადგურის მტ. მუშების ცხოვრებაში. ამხ. ხერდიუკოვა ახალგაზრდა და ფიზიკურად ჯანსაღია. მისი მხნე მუშაობა იწვევს მტვირთველ მუშებში განცვიფრებას და მხიარულებას.

ხარდლუ.

ოქტომბრის ზეიმობა საყუდის მუშებს შორის

დილის 8½ საათიდან იწყო მუშა-მოსამსახურეების დენა ადგილკომის ბინის წინ. ყველა მხიარული იყო, დიდის ხალისით ესალმებოდნენ ერთი მეორეს და ულოცავდნენ დღესასწაულს. ამას თვით ბუნებაც ხელს უწყობდა. მშრომელთა მხიარულ რაზმს მზე დასცქეროდა თბილი და მომცინარე სახით.

ადგილკომის შენობასთან იყო გაკრული კედლის გაზეთი საყუდის მუშებისა „თავისუფალი გზა"-ს სახელწოდებით. სრულ 9 ½ საათზე შემოგვეერთდნენ მთავარ სახელოსნოების მუშა - მოსამსახურენი და წითელარმიელებთან ერთად მუსიკით და დროშებით გავეშურეთ ლენინის უბნისაკენ საბჭოთა ქუჩით. წესრიგი დაცული იყო სრულიად.

ოქტომბერი არის ნამდვილი და უდიდესი დღესასწაული მუშებისათვის და მუშებმაც შეგნებით და ღირსეულად ჩაატარეს იგი, ვინაიდან ყველა გრძნობდა მის მნიშვნელობას.

მუშკორი ძია ლევან.

საზეიმო საღამო მ. ც. კლუბში

კვირაა. საღამოს 5 საათია. ნელ-ნელა ივსება საზეიმოდ მორთულ მოკაზმული მ.-ც. კლუბი მშრომელი ხალხით ადამიანი სტებება, როცა შუა კიბეზე ათასფერ ყვავილებში მორთულს, ცოცხლად გადმომზირალ ლენინის ძეგლს უცქერის იგი. კედელზე ვკითხულობთ წითელ ასოებით დაწერილ წარწერას: „კომპარტიის მთლიანობით ჩვენ გავიმარჯვებთ!"...

დღეს მსოფლიო დღესასწაულს თბილისის მშრომელი მასსა თავის ცენტრალურ კლუბში ხვდება და თავისუფლად ზეიმობს; კლუბიც ხარბად იტევს იმ აურაცხელ ხალხს, რომელიც უსაზღვროდ მოსწოლია მას.

რვა საათი შესრულდა. უკვე მოისმა მესამე ზარიც. ჩაქრა სინათლე. სცენის ფარდის წინ გამოჩნდა მუშების საყვარელი ამ კლუბის ძველი გამგე და ახლად არჩეული გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ელიაშვილი, რომელმაც მოკლე სიტყვით მიულოცა კლუბის წევრებს ხსენებული დღესასწაული. მისი უკანასკნელი სიტყვები დაფარა მქუხარე ტაშმა და „ვაშა"-ს ძახილმა.

ამხ. იაშას (ელიაშვილს ესე ეძახიან მუშები) სიტყვის შემდეგ დაიდგა ქართული ერთმოქმ. წარმოდგენა სპეციალურად იმ დღისათვის დაწერილი რეჟისორ მიბურიშვილის მერ. მისი საუკეთესო დადგმაც მასვე ეკუთვნის. მეორე მოქმედება წარმოდგენილ იქნა ადგილ. რუსული დრამწრის მიერ რუსულ პიესიდან.

საერთოდ საღამო ლამაზად ჩატარდა და მუშებიც კმაყოფილნი დარჩნენ.

მუშკორი ლ—ო.

მუშათა წერილებიდან

— **ამ კუთხემ რაღა დააშავა?!** მუშტაიდის ქუჩის მარცხენა მხარე აღმასკომმა გააფართოვა და გაამშვენიერა, მაგრამ მარჯვენა მხარე უყურადღებოდ დასტოვეს. ამ ოღრო-ჩოღრო ქუჩით კაცს არ გაივლება.

აღმასკომო, ქუჩის მარჯვენა მხარემ რაღა დააშავა?

მუშკორი კოლოდიუმი.

— **მუშებს წყალი არა აქვთ.** 19 თებერვლის ქ. № 68-ში საბჭოთა სახლში წყალი, ამოდენიმე ხანია, რაღაც მიზეზების გამო დაიკეტა. მუშა-მდგმურნი უწყლობით ძალზე შეწუხებულნი არიან. ამას წყალსადენის დირექციამ ყურადღება უნდა მიაქციოს.

მუშა მობინადრე.

— **მუშათა მასიური ექსკურსია.** 31 ოქტომბერს სად. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომის თავმჯდომარის ამხ. ნ. ვაჭარაძის ხელმძღვანელობით მოეწყო მუშათა მასიური ექსკურსია „ზაჰესის" დასათვალიერებლად.

მუშებმა გულდასმით დაათვალიერეს აქაური აღმშენებლობა. ექსკურსიამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მუშა-მოსამსახურეებზე.

ასეთი ექსკურსიის მოწყობისათვის მადლობის ღირსია ამხ. ნ. ვაჭარაძე.

საჭიროა უფრო ხშირად მოეწყოს ასეთი ექსკურსიები სხვადასხვა ადგილებში.

მუშკორი რადიუმი.

ახალი ადმინისტრატიული დაყოფა

(თბილისის მ.)

ძველი ადმინისტრატიული დაყოფის დროს არსებულ 15 თემის და ერთი რაიონის ნაცვლად მაზრაში მოეწყო 31 თემი. რაც შეეხება სოფლის საბჭოებს, ასეთი გადახალისებული იქნა თემსაბჭოებათ და ამრიგათ მაზრაში ჩამოყალიბდა ნაცვლად 59 სოფლის საბჭოებისა 15 თემაღმასკომის და ერთ რაიაღმასკომისა—31 თემსაბჭო, 31 თემაღმასკომი და დატოვებულ იქნა 7 სასოფლო საბჭო. ამ უკანასკნელის არსებობა გამოწვეულია იმ აუცილებლობით, რომ მაზრაში დასახლებული ეროვნული უმცირესობანი (გერმანელები, რუსები, თათრები და სხვა) უფრო მჭიდროთ იქნან დარაზმული და შეკავშირებული საბჭოების ირგვლივ და უფრო ფართოთ იქნან ჩაბმული საბჭოთა აღმშენებლობაში. მეორე მოსაზრება იყო ის, რომ ზოგიერთი სოფლები თავისებური გეოგრაფიული მდებარეობის გამო არ შეიძლება გაერთიანებულ იქნას თემთან.

რაც შეეხება საერთოდ თბილისის მაზრის, ახალ ადმინისტრატიულ დაყოფას, ეს სხვათა შორის გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ თვით თბილისის მაზრის საბჭოთა ძირითადი ორგანოების სისტემა განსხვავდებოდა სხვა მაზრების ასეთივე სისტემისაგან. 1924—25 წლის საბჭოთა არჩევნების დროს, როდესაც საქართველოს ყველა მაზრებში მოხდა სოფლის საბჭოების გადახალისება თემსაბჭოებათ და გატარდა მართვა-გამგეობის თემურ სისტემაზე გადასვლა, თბილისის მაზრაში იმ დროს უცვლელად დატოვებულ იქნა სოფლის საბჭოების სისტემა, რომლებიც ამა წლის 1-ლ ოქტომბრამდე არსებობდენ თემსაბჭოების მაგივრად და იმყოფებოდენ თემაღმასკომის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ. ეს განსხვავება აიხსნებოდა მაზრის გეოგრაფიულ და ეროვნულ შემადგენლობის თავისებურობ. ბ. თ. (თბილისის მაზრაში თორმეტი სხვადასხვა ეროვნება ითვლება).

მაგრამ თემური სისტემის შემოღების შემდეგ სოფლის საბჭოების არსებობის პრაქტიკამ და მაზრის მაშინდელმა ადმინისტრატიულმა გაყოფამ დაგვანახვა, რომ საჭირო იყო ამ დარგში შესაფერისი ცვლილებების შეტანა ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით. ჩვენმა უმაღლესმა ორგანოებმა თავის დროზე მიაქციეს ამას ყურადღება და საქმის წინასწარი დეტალური დამუშავება-შესწავლის შემდეგ თბილისის აღმასკომის მიერ სისრულეში იქნა მოყვანილი მაზრის ახალი ადმინისტრატიული დაყოფა.

საინტერესოა იმის აღნიშვნა თუ როგორ ჩატარდა დაყოფა და რეორგანიზაცია ადგილებზე და იყო თუ არა ამ ნიადაგზე უკმაყოფილება მოსახლეობაში. ამაზე გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ მოსახლეობაში არავითარ გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია. პირიქით, მთელი მოსახლეობა აღფრთოვანებით შეეგება ახალ ადმინისტრატიულ დაყოფის ცხოვრებაში გატარებას და ამრიგად თვით სოფელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ხსენებულ რეორგანიზაციის გატარებაში. აქედან დასკვნა ერთია: თბილისის მაზრის ახალი ადმინისტრატიული დაყოფა ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით სისწორით იყო შემუშავებული და გატარებული.

კლ. გვალია.

ნავთსადგურები

სოხუმის ნავთსადგური

ამჟამად ნავთსადგურების სამმართველო აწარმოებს დიდ სამუშაოებს სოხუმის ნავთსადგურის შესაკეთებლად.

კაპიტალური რემონტი უკეთდება სოხუმის ზღვის პირის კედელს, რომელიც არ შეკეთებულა 1908 წლიდან. ამჟამად უკვე დამთავრებულია სალთანდაგო ზღუდის აღდგენა, სრულიად ახლად გაყვანილი იქნა მასსივების სათარი რიგი.

ერთი კვირის წინად დაიწყო სამგზავრო ნავთსადგურის კაპიტალური შეკეთება. ბაქანის რკინის და აგრეთვე ხის ნაწილები უკვე განახლებულია.

სოხუმის ნავთსადგურის შეკეთება ჯდება სულ 80 ათასი მანეთი. რემონტი სანახევროდ უკვე დამთავრებულია.

მუშაობა დასრულდება ერთი თვის განმავლობაში.

ბათომის ნავთსადგური

წლიური გამოანგარიშების მიხედვით ბათომის ნავთსადგურის შემოსავალი გასულ საოპერაციო წლის განმავლობაში უდრის—1.300.000 მანეთს—ე. ი. გასული წლის შემოსავალმა წინა-წლისას ერთი-ორად გადააჭარბა. შემოსავლის ზრდა უმთავრესად აიხსნება ნავთის პროდუქტების ექსპორტის გადიდებით. შემოსავლიანობის მხრივ, ბათომის ნავთსადგურს პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის ნავთსადგურებში.

გურიის ნავთი

სამთო განყოფილების გეოლოგმა **კონიუშევსკიმ** საგეოლოგიო გამოკვლევებიდან დაბრუნებისას ჩამოიტანა სხვადასხვა მადნეულობის ნიმუშები.

აღნიშნულ ნიმუშებში აღსანიშნავია განსაკუთრებული თვისების თიხა, რომელსაც ხმარობენ ნავთის ნედლი პროდუქტების საწმენდათ და რომელიც არ მოიპოვება საბჭოთა კავშირში. ბაქოს ნავთის წარმოებისათვის აღნიშნული თიხის დიდი რაოდენობა შემოაქვთ უცხოეთიდან და განსაკუთრებით ამერიკიდან.

თიხის გამოცდას ამჟამად აწარმოებს ს. მ. უ. ს. ტეხნიკური ლაბორატორია. ქართული თიხა კარგი თვისების გამოდგა და იგი პირველი გატარების შემდეგვე სწმენდს მაზუთ-ნარევ ნავთს.

თუ შემდეგმა გამოცდებმა დაამტკიცა ნავთის ნედლი პროდუქტების წმენდაში თიხის მაღალუნარიანობა, მაშინ ეს თიხა გამოყენებულ იქნება გურიის ნავთის წარმოებაში, რითაც შესამჩნევათ გაიაფდება გურიის ნავთი.

სათბობი მასალა

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის განკარგულებით, ტრესტებთან და ყველა მათ ქვემდებარე წარმოებებთან ინიშნებიან რწმუნებულები ელექტრო და სათბობ ენერგიის რაციონალურად დახარჯვის თვალყურის სადევნებლად.

ამას გარდა, გადაწყვეტილია ჩატარდეს კამპანია სათბობ მასალების მიზანშეწონილად გამოყენებისათვის. ამისათვის ს. მ. უ. ს. სათბობის განყოფილებასთან იმუშავებს განსაკუთრებული თათბირი.

კამპანიის მიზანია მომჭირნეობის ჩატარება თბოძალოვან და ელექტრო-მეურნეობის დარგში. მომჭირნეობით მიღებული შემოსავლის 50 პროცენტი გადაირიცხება საპრემიო ფონდში, საიდანაც დაურიგდებათ ჯილდოები იმ მუშებს, რომლებიც უკეთეს უნარს გამოიჩენენ აღნიშნულ მეურნეობის რაციონალურად დაყენების საქმეში.

სათბობის განყოფილებასთან მოწყობილ თათბირში შედიან თბილისის აღმასკომის, ავტონომიური რესპუბლიკების სახ. მეურნეობის საბჭოების და ს. მ. უ. ს. ტრესტების წარმომადგენლები.

ექსპორტი

აბრეშუმის პარკი

ნოემბრის დამდეგიდან აფხაზეთის კოოპერატივთა კავშირმა დაიწყო წრევანდელი მოსავლის აბრეშუმის პარკის ექსპორტი. წელს მთელს აფხაზეთში საექსპორტოდ დამზადებულია—2.500 ფუთი ხმელი პარკი, ე. ი. 500 ფუთით მეტი შარშანდელზე.

თამბაქო

სააქციო ამხანაგობა—„ტაბაკსირიე"-მ ხელშეკრულება დასდო აფხაზეთის კოოპერატივთა კავშირთან და აფხაზეთის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობასთან, რომელთაგან ხელშეკრულების ძალით პირველი ვალდებულია დაუმზადოს ზემოხსენებულ ამხანაგობას წრევანდელი მოსავლის 250.000 ფუთი თამბაქო, ხოლო მეორე 50 ათასი ფუთი თამბაქო.

საზ. „ტაბაკსირიე"-ს საწყობებში ნოემბრის დამდეგისათვის დასრულდა შარშანდელი მოსავლის სულ 220 ათასი ფუთი თამბაქოს ფერმენტაცია. ნოემბრის დამდეგიდან თამბაქო ეგზავნება სხვადასხვა ტრესტებს. გასაგზავნად დანიშნულია 325 ათასი ფუთი, აქედან ნოემბრის პირველ რიცხვამდე უკვე გაიგზავნა 90 ათასი ფუთი.

მანქანების განაწილება

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის გაანაწილა 130 მილიონ მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები. ამ რაოდენობიდან ამიერ-კავკასიას მიეცა 2,8 პროცენტი.

ვინაიდან იარაღ-მანქანების ზემოაღნიშნული რაოდენობა საკმარისი არ არის საბჭოთა კავშირისათვის, შრომის და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით მომარაგების კომიტეტს გააძლიეროს მანქანა-იარაღების დამზადება საბჭოთა კავშირში.

ამასთანავე გადაწყვეტილია გლეხებს ნისიათ მიეცეს ისეთი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რომელთა ღირებულება უდრის არა ნაკლებ 12 მანეთისა; წინეთ კი გლეხებს ნისიათ ეძლეოდათ მანქანები, რომელთა ღირებულება 45 მანეთს აღემატებოდა.

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს დაევალათ განიხილონ საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია ჩატარებულ იქნეს რესპუბლიკებში წინასწარი ხელის მოწერა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებზე.

რაც შეეხება იარაღ-მანქანების ფასებს, ეს უკანასკნელი დატოვებულია წინანდელი. გადიდებულია მხოლოდ ზოგიერთ რთულ მანქანების ფასები.

კანაფი

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჭაობიან ადგილებში პირველად საცდელად დათესილი იქნა კანაფი. კანაფი, ეს ისეთი მცენარეა, რომ მის კანისაგან მზადდება მაგარი ქსოვილები (სატომრე გასახვევი ქსოვილები და სხ.). საქართველოში კანაფი დათესილი იყო აჭარისტანის და გურიის ჭაობიან დაბლობებში. გლეხებს კანაფის დასათესავად დაურიგდათ ავანსები. წელს ყველა რესპუბლიკებში დათესილი იყო სულ 340 დესეტინა. ოქტომბრის დამლევს დამთავრდა კანაფის მცენარის მოწევა. მოსავალი საშუალოზე მაღალია. ჩვენებური კანაფი საუკეთესო ღირსების გამოდგა. წრევანდელი მოსავლიდან დამზადებული იქნება დაახლოებით 20 ათასი ფუთი კანაფის ნედლეული.

მომავალ წლის გაზაფხულიდან განზრახულია ა.-კ. ყველა რესპუბლიკებში დაითესოს კანაფით 3 ათასი დესეტინა, რაც მოგვცემს დაახლოვებით 70 ათას. ფუთს ნედლეულს. წრევანდელი მოსავალი იგზავნება საბჭოთა კავშირის ქარხნებში.

საგარეო ვაჭრობა

გასულ საბიუჯეტო წლის განმავლობაში ამიერ - კავკასიის საგარეო ვაჭრობის სამმართველომ მნიშვნელოვნად გააძლიერა ოპერაციები, როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის დარგში.

აღსანიშნავია ამიერ - კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საბანკო ოპერაციების გადიდება 8.740.000 მანეთიდან 15.370.000 მანეთამდე, ე. ი. გადიდება გამოიხატა 175,9 პროცენტში.

არის მიღწევები კრედიტის გამოყენების სხვა დარგებშიც; ასე, მაგალითად, მიღწეულია შეთანხმება იტალიის და ინგლისის ფირმებთან აბრეშუმის პარკის და ხალიჩების დამზადებისათვის კრედიტების მიცემის შესახებ.

ამიერ - კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საქონლის ბრუნვა ხასიათდება შემდეგი ციფრებით: საზღვარგარეთ გატანილია 9.094.000 მანეთის საქონელი, აქედან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 4.743.000 მანეთის და აღმოსავლეთში (ოსმალეთში და სპარსეთში) 4.351.000 მანეთის.

შემოტანილია ამიერ - კავკასიაში 9.469.000 მანეთის საქონელი, აქედან ევროპის ქვეყნებიდან შემოტანილია 7.400.000 მანეთის და ოსმალეთიდან და სპარსეთიდან 2.069.000 მანეთის.

საქონლის საერთო ბრუნვამ 1925—26 წელში მიაღწია18.864.000 მანეთს, წინა წელში კი იყო15.942.000 მანეთი, ე. ი. ბრუნვა გადიდებულია 14 პროც.-ით.

ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების მონაწილეობა საქონლის დამზადებაში გამოიხატება შემდეგში: აზერბაიჯანი—32 პროც., სომხეთი—3,1 პროც. და საქართველო — 64,9 პროც.

კერძო პირების მონაწილეობა საქონლის დამზადებაში შემცირდა 3 პროც.-დე, სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობა გაიზარდა 38,3 პროც-დე, კოოპერაციის — 34,3 პროც.; დანარჩენი დამზადებულია სამეურნეო წესით.

იმპორტმა ევროპის ქვეყნებიდან მიაღწია 7.400.000 მანეთს, წინა წელში კი იყო 6.006.000 მანეთი, გადიდება გამოიხატება 23,2 პროც.-ში.

საქონლის დიდი ნაწილი შემოტანილია გერმანიიდან, ინგლისიდან და ამერიკიდან. მეორე ადგილი უჭირავთ შვეციას, ავსტრიას და საფრანგეთს.

ბამბუკი

სახალხო მამულების ტრესტს ჩაქვში გაშენებული აქვს ბამბუკის (ლერწამი) ტყე. ბამბუკი მშვენიერ მასალას წარმოადგენს ავეჯის, (საწოლის, სკამების, მაგიდების) ჭურჭლეულის და ფიზკულტურის სავარჯიშო იარაღების დასამზადებლად.

ბამბუკი საღდება როგორც ადგილობრივ, მიაქვთ აგრეთვე რუსეთში და საზღვარ-გარეთ. სახალხო მამულების ტრესტმა ამ შემოდგომაზე დაამზადა 80 ათასი ცალი ბამბუკის ხე.

დამზადებულ ხის დიდი ნაწილი შეკვეთილი აქვს საბჭოთა რუსეთის ფიზკულტურის ორგანიზაციებს, რომლიდანაც მზადდება სავარჯიშო ძელები და სხვა.

ნაწილი ბამბუკის ხეებისა შეძენილი აქვთ თბილისის, ბათომის და სხვა ქალაქების გრეხილ-ავეჯეულობის სახელოსნოებს.

იმპორტი

მიმდინარე საოპერაციო წელში ამიერ - კავკასიის კოოპერატიულ კავშირს განზრახვა აქვს გაიტანოს საზღვარგარეთ, უმთავრესად ინგლისში 25.000 ფუთი თამბაქო. გატანილი იქნება აგრეთვე აბრეშუმის პარკი, თხილი და ბეწვეული.

აბრეშუმის პარკი წელს გატანილი იქნება 3.000 ფუთით ნაკლები, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო საექსპორტო გეგმაში; ექსპორტის შემცირება გამოწვეულია იმით, რომ საკავშირო და ადგილობრივ ბაზარზე მეტად გაიზარდა მოთხოვნილება აბრეშუმის პარკზე. ამიტომ განზრახულია პირველ რიგში დაკმაყოფილებული იქნეს ადგილობრივი და საკავშირო მრეწველობის მოთხოვნილება.

რაც შეეხება თხილს, იგი წელს საქართველოში დამზადებული უნდა ყოფილიყო 20.000 ფუთი, მაგრამ ცუდი მოსავლის გამო აღნიშნული რაოდენობის დამზადება არ ხერხდება. ამიტომ საზღვარგარეთ გატანილი იქნება საექსპორტო გეგმით ნაგარაუდევ რაოდენობაზე ნაკლები, თუმცა მოთხოვნილება თხილზე ევროპის და ამერიკის ბაზარზე დიდია.

რაც შეეხება იმპორტს, ამიერ - კავკასიის კოოპერატიულ კავშირს წელს განზრახული აქვს შემოიტანოს საზღვარგარეთიდან სამი მილიონ მანეთის საქონელი.

ამასთანავე დიდი ყურადღება ექნება მიქცეული ამიერ - კავკასიის კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის საბჭოთა კავშირის ქარხნებში დამზადებულ საქონლის მიწოდებას.

ამ მიზნით დადებულია გენერალური ხელშეკრულებები საფეიქრო სინდიკატთან. რეზინის და შაქრის ტრესტთან და სხვა ორგანიზაციებთან. ამას გარდა, ამიერ - კავკასიაში სამრეწველო საქონელი შემოტანილი იქნება ამ ხელშეკრულებების გარეშეც. ამისათვის გადადებულია ექვსი მილიონი მანეთი.

ელექტროფიკაცია

1925—26 სამეურნეო წლის განმავლობაში ელექტრო-ბანკის თბილისის განყოფილებამ საქართველოს ელექტროფიკაციისათვის გასცა სულ—11.410.478 მან. აქედან ბანკის საშუალებებიდან, მოკლევადიან სესხის სახით, გაცემულია—2.202.250 მან. და გრძელვადიან სესხის სახით, სპეციალურ თანხებიდან—9.159.228 მან. მოკლევადიან სესხის სახით გაცემული თანხა ნაწილდება შემდეგნაირად: შოვის საამშენებლო კომიტეტს ელსადგურის ასაგებათ—15.000 მან., შორაპნის სამაზრო აღმასკომს—10.000 მან., აბაშის ჰიდროელსადგურს—348.500 მან., აჭარისტანის სახკომსაბჭოს—200.000 მან., თბილისის აღმასკომს „ზაჰესი"-სთვის—1.600.000 მ. და ახალციხის სამაზრო აღმასკომს—3.750 მან.

გრძელვადიან სესხის სახით გაცემულია: აჭარისტანის სახკომსაბჭოზე—150.00 მან., თბილისის აღმასკომზე—8.876.228 მან., სოხუმის კომუნალურ მეურნეობაზე—50.000 მან. და აბაშის ჰიდროელსადგურზე—77.000 მან.

გარდა ამისა, ბანკის ანგარიშში, გრძელვადიან სესხის სახით, რაჭის აღმასკომს მიეცა 55.000 მან.

ტყეები

შემოდგომის დადგომასთან ერთად ხშირი ხდება ტყეებში ხანძრის გაჩენის შემთხვევები. მიწად-მოქმედების სატყეო განყოფილება სისტემატიურად ღებულობს ცნობებს ტყეებში გაჩენილი ხანძრის შესახებ.

წრევანდელი შემოდგომა განსაკუთრებით საბედისწერო გამოდგა დუშეთის მაზრის სატყეოსთვის. მარტო ოქტომბრის განმავლობაში მაზრის ტყეებში ყოფილა ცეცხლის გაჩენის 8 შემთხვევა. სულ დაზარალებულა 14,5 დესეტინა ახალი, ნორჩი ტყე და მთელი რიგი სოფლების მახლობელი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები.

ტყეების ხანძარს ადგილი ჰქონდა შემდეგი სოფლების ახლო: ბაზალეთი, ამილახვრიანთ კარი, ვარსიმანთ კარი, ზემო ტონჩა, უფურეთი, კიდოეთი, ანანური, ხორხა, აჟენისი და სხვა.

ტრაქტორები

ა.-კ. მანქანების სავაჭრო სააქციო საზოგადოებას მიმდინარე 1926—27 წლისათვის გადაწყვეტილი აქვს შემოიტანოს შემდეგი სისტემის ტრაქტორები: „ფორძონი", „ხოლტი"—2 ტონიანი და „ინტერნაციონალი" ამას გარდა ა.-კავკასიის საჭიროებისათვის შემოტანილი იქნება სახნისები: „ფორძონისათვის"—ორფრთიანი განშლადი სახნისი „ოლივერ"-ის სისტემისა, „ხოლტისათვის"—„ჯონდირ"-ის სისტემის სახნისი, „ინტერნაციონალისათვის" კი—სამფრთიანი სახნისი.

ტრაქტორების გამოსაყენებლად რაიონებში დაარსდება სპეციალური ამხანაგობები, ან არტელები, ასე რომ თვითეულ მათგანის განკარგულებაში იქნება 25 „ფორძონის"სისტემის ტრაქტორი, 20—„ხოლტი"-ს სისტემისა და 25—„ინტერნაციონალი"-სა.

კრედიტი

სუფსის ამხანაგობა

სუფსის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის წლის შემოსავალი უდრის 37.028 მან. 92 კაპ.

ამ ხნის განმავლობაში მას გაუცია მოკლევადიან სესხის სახით 18.395 მან. 395 მეურნეობაზე. გრძელვადიანი სესხის სახით გაცემული თანხის რაოდენობა გამოიხატება 3.500 მანეთში.

ამხანაგობის წმინდა მოგება წლის განმავლობაში უდრის 359 მან. 99 კ.

დახმარება მებამბეებს

ახალსენაკის საკრედიტო ამხანაგობამ, მებამბეებზე დასარიგებლად მიიღო—11.452 მანეთი, რომელიც განაწილდა 1.311 გლეხს შორის

მშრომელნი ეხმარებიან მიწისძვრისაგან დაზარალებულთ

„კომუნისტი"-ს კანტორაში

(რუსთაველის პროსპ. № 34) მიიღება შემოწირულებები მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად

დახმარება ლენინაკანს

ბაქო, 10 ნოემბერი. აზნავთმა მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გაგზავნა 4 ვაგონი სატყეო მასალა, 1 ვაგონი ცემენტი, 1.500 კილო სხვადასხვა გვარი სალებავი, 1.227 წყვილი ფეხსაცმელი და 8.000 კომპლექტი ტანსაცმელი.

ბიბიეიბატის რაიონიდან დაზარალებულთა სასარგებლოთ შემოვიდა 1.735 მან. მეზღვაურთა კავშირიდან—1.182 მან.

ლენინაკანიდან ბაქოში ჩამოსული ლტოლვილები დაბინავებულ იქნენ ბაქოს ბაზრის შენობაში. დღეს კავშირის სხვადასხვა ქალაქებში გადაიგზავნა 57 ლტოლვილი.

1-დან 9 ნოემბრამდე ქალაქში დაზარალებულთა დასახმარებლად მოგროვილია 11.967 მან. (ადს).

164 ოჯახის დაბინავება

ლენინაკანი, 10 ნოემბერი. საფეიქრო ფაბრიკის ადმინისტრაციამ ფაბრიკის ეზოში მოაწყო საცხოვრებელი ბინები 64 მუშის ოჯახისათვის.

ახლო მომავალში აგებულ იქნება ბინები კიდევ 100 ოჯახისათვის. გარდა ამისა ეხლა სწარმოებს 25 ოთახიან სახლის შეკეთება. უბინაოთ რჩება 250 მუშის ოჯახი. ფაბრიკის ადმინისტრაციას განზრახული აქვს სთხოვოს სესხი დაზარალებულთა დამხმარე საგანგებო კომისიას ახალი ბინების ასაგებათ. (ადს).

ძმური დახმარება

ლენინაკანი, 10 ნოემბერი. ლენინაკანის მაზრის იმ სოფლებში, რომელნიც არ დაზარალებულან მიწისძვრისაგან, მოეწყო დანგრეული სოფლების მოსახლეობის დამხმარე სამეულები. გლეხები თავიანთ დაზარალებულ მეზობლებს დახმარებას უწევენ როგორც მატერიალურად, ისე მიწურების აგების საქმეში. (ადს).

წითელი ნახევარმთვარის რაზმი

ლენინაკანი, 10 ნოემბერი. წითელ ნახევარმთვარის რაზმმა ქალაქში მოაწყო საკვები პუნქტები. პირველ დღეებში ეს პუნქტები აკმაყოფილებდა 100 კაცს; ეხლა ეს რიცხვი 250-დე გაიზარდა. (ადს).

ლენინაკანის დასახმარებლად

ახალციხე, 10 ნოემბერი. საერთო საქალაქო კრებაზე კომკავშირელებმა დაადგინეს გადასდონ ლენინაკანელების დასახმარებლად ერთი დღის სამუშაო ხელფასი. იმავე კრებაზე გამოძახების საშუალებით შეკრებილ იქნა 100 მან. მაზრის საფინანსო განყოფილების თანამშრომლებმა შემოსწირეს 51 მ. 60 კაპ.

—:—

დავეხმაროთ ლენინაკანელებს

22 ოქტომბერს ქალ. ლენინაკანში (ყოფილი ალექსანდროპოლი) ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამხრეთ ხაზზე და მის მახლობლად მდებარე რაიონში მოხდა კატასტროფიული მიწისძვრა. ქალაქში და მის მახლობელ სოფლებში მიწისძვრამ იმსხვერპლა 300-ზე მეტი კაცი, დაიჭრა ამდენივე. ქალაქში ყველა სახლები დაზიანდა.

მთავრობის კომისიის ცნობით, ლენინაკანში და მის მახლობლად მდებარე სოფლებში 54.000-ზე მეტი კაცი (მათ რიცხვში 1000-მდე რკინისგზელთა ოჯახი) და რამოდენიმე ასეული ობოლი ბავშვი დარჩა სრულიად უბინაოთ, ღია ცის ქვეშ და მოხდა ეს მაშინ, როცა სუსხიანი ზამთარი ახლოვდება.

ვინაიდან ნახევრად დანგრეულ სახლებში დაბრუნება საშიშია, ამიტომ 54.000 კაცი დაავადმყოფების საფრთხის წინაშე იმყოფება.

დანგრეულ შენობათა ასაგებად საჭიროა 26.150.000 მანეთზე მეტი.

გასაჭირი დიდია. აუცილებელია როგორც მთავრობის, ისე საზოგადოების დახმარება.

ლენინაკანის მშრომელნი ძლიერ დახმარებას საჭიროებენ.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების დამზღვევმა სალარომ აღძრა საკითხი, რომ მის საორგანიზაციო თანხებიდან 15.000 მან. გადაიდოს ლენინაკანის დაზარალებულ მოსახლეობის დასახმარებლად.

მიბაძეთ მის მაგალითს და შეძლებისდა გვარად აღმოუჩინეთ ძმური დახმარება ლენინაკანის მშრომელთ.

შემოწირულებანი შეიძლება გაიგზავნოს ამიერ-კავკასიის რკინის გზების დამზღვევ სალაროში, შემდეგი მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპექტი, № 142—მიწისძვრისაგან დაზარალებულ ლენინაკანის მშრომელთ.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების დამზღვევ სალაროს კომიტეტის პრეზიდიუმი.

ვიწვევთ დასახმარებლად

ლენინაკანის მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შემოგვაქვს 5 მან. და 25 კაპ. შრომის სალაროს სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტის თანამშრომელთა შორის შეკრებილი; ვიწვევთ საქართველოს ფინსახკომის, მუშგლეხინის და თბილისის აღმასკომის ადგილკომებს.

ადგილკომის თავმჯდომარე პაიჭაძე.

შემომაქვს მიწისძვრისაგან უპატრონოთ დარჩენილ ბავშვების სასარგებლოთ სამი (3) მანეთი და ვიწვევ პაწია მეგობრებს: კლარა ჩხარტიშვილს, ხუტუ პატარაიას, ლილი ჟღენტს, (თბილისი) ცაცუნია და ლეილა ღლონტს (ოზურგეთი).

ოთარიკო ბარამიძე.

ახალი კოდექსი ქორწინებისა და ოჯახის შესახებ

რ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნა იუსტიციის სახალხო კომისრის ამხ. კურსკის მოხსენება სოჯახო კოდექსის საკითხის შესახებ. როგორც ცნობილია ამ კანონთა კოდექსის პროექტი მიღებულ იქნა საფუძვლად სრულიად რუსეთის ცაკის წინანდელ სესიის მიერ და შემდეგ ადგილებს დაეგზავნა განსახილველად.

საბჭოთა რესპუბლიკის მცხოვრებლებს შორის ადგილებზე ამ კანონპროექტის გარშემო დიდ სჯა-ბაასს ჰქონდა ადგილი;აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ადგილებზე წარმოდგენილ მთელი რიგი წინადადებებისა, რომელნიც გაითვალისწინა იუსტიციის სახალხო კომისარიატმა და მათი მიხედვით მთელი რიგი შესწორებები შეიტანა შარშანდელ პროექტში.

პროექტის ძირითადი დებულებები ქორწინების, ოჯახის და მზრუნველობის შესახებ შეიცავენ შემდეგს. ქორწინების რეგისტრაციის დაწესების მიზანია ცოლ-ქმარის და მათი შვილების პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვის გაადვილება; ქორწინების ჩამოყალიბება ხდება „მმახ"-ის ორგანოებში რეგისტრაციაში გატარებით; რეგისტრაცია უდაოდ ამტკიცებს იმას, რომ ქორწინებას ადგილი ჰქონდა.

იმ პირთ, რომელნიც საქორწინო ურთიერთობაში იმყოფებიან, მაგრამ რეგისტრაციაში არ გაუტარებიათ ეს სათანადო წესის თანახმად, ყოველთვის უფლება აქვთ ჩამოაყალიბონ თავიანთი ურთიერთობა რეგისტრაციის გზით, ფაქტიურად ერთად ცხოვრების ვადის აღნიშვნით. საქორწინო ჰასაკად ქალებისათვის ითვლება 16 წელი მამაკაცებისთვის — 18 წელი; პროექტში უკვე აღარ არის ის შენიშვნა, რომელიც წინანდელ პროექტში იყო და რომელიც მმაჩის ორგანოებს უფლებას აძლევდა შეემცირებინა ეს ჰასაკი ცალკე შემთხვევებში.

ქორწინების რეგისტრაციის წესი უცვლელი რჩება, მაგრამ განყოფილება ცოლ-ქმარის უფლება-მოვალეობის შესახებ ახალ პროექტში შევსებულია შემდეგ ნაირათ: ქონება, რომელიც ცოლ-ქმარს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე,—ითვლება მათ განსაყოფ ქონებად, ხოლო ის ქონება კი, რომელსაც ცოლ-ქმარი იძენს ერთად ცხოვრების შემდეგ, ცოლქმარის საერთო ქონებად ითვლება და თუ მისი გაყოფა საჭირო იქნა განშორების ან დავის ატეხის დროს ქონების წილს განსაზღვრავს სასამართლო.

პროექტი საჭიროდ სთვლის იმ პირთა ქონებრივ უფლებების დაცვას, რომელნიც რეგისტრაციაში გაუტარებელ ცოლ-ქმრულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან; პროექტში ნათქვამია, რომ მათი უფლებების დაცვა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირები ცოლქმრობას აღიარებენ, ან კიდევ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ დაამტკიცა მათი ცოლ-ქმრული დამოკიდებულება ცხოვრების ფაქტიური ნიშნების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, როცა ქორწინება არ არის რეგისტრაციაში გატარებული, სასამართლოსათვის ცოლ-ქმრული დამოკიდებულების დამამტკიცებელ საბუთად ჩაითვლება: ერთად ცხოვრების ფაქტი, რომლის დროს ცოლ-ქმარს საერთო მეურნეობა უნდა ჰქონდეს, ცოლ-ქმრული დამოკიდებულების გამჟღავნება მესამე პირის წინაშე პირადი მიწერ-მოწერის და სხვა დოკუმენტების გზით, აგრეთვე მატერიალური ურთიერთ დახმარება, ბავშვების ერთად აღზრდა და სხვ.

ახალ პროექტში შრომის უნარ მოკლებულ გაჭირვებულ მეუღლის უფლება სარჩოს ძიებაზე გრძელდება ქორწინების შეწყვეტის შემდეგაც, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის ვადისა; უმუშევარ მეუღლის დახმარების რაოდენობას, ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში, განსაზღვრავს სასამართლო არა უმეტეს ექვსი თვის ვადისა და არ უნდა აღემატებოდეს იმ დახმარების რაოდენობას, რომელიც სოციალური დაზღვევისათვის არის დაწესებული.

კოდექსში შეტანილია მუხლი, რომელიც უფლებას ანიჭებს მცირე წლოვან და ხელმოკლე ძმებს და დებს მოითხოვონ სარჩო შეძლებულ ძმებისა და დების ქონებიდან იმ შემთხვევაში,თუ მათ არ შეუძლიათ სარჩოს მიღება მშობლებისაგან, უკანასკნელთა გარდაცვლის ან სიღარიბის გამო; ეს მუხლი აწესებს სარჩოს მოთხოვის უფლებას ქვე-მავალი და აღმავალი ხაზებით, პაპამდე და დიდედამდე, უკანასკნელთა ჩათვლით.

განხილვის შემდეგ სახალხო კომისართა საბჭომ მოიწონა ზოგიერთი შესწორებებით იუსტიციის სახალხო კომისარის მიერ წარმოდგენილი პროექტი სოჯახო კოდექსის შესახებ და გადასცა ის განსახილველად და საბოლოოდ დასამტკიცებლად სრულიად რუსეთის ცაკის მომავალ სესიას.

ლუდი

მიმდინარე წელს ლუდის ქარხნის წლიური პროდუქცია გადიდებული იქნება 120 ათას ვედრომდე.

აღმასკომის ლუდის ქარხანა იმ სახით, როგორც ამჟამად არსებობს, ვერ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნილებას, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში თანდათან იზრდება. 1922—23 წელს ქარხანამ დაამზადა და გაასაღა 10 ათასი ვედრო ლუდი, 1923—24 წელს—20 ათასი ვედრო, 1924—25 წელს—40 ათასი ვედრო, ხოლო 1925—26 წელს—75 ათასი ვედრო.

ამგვარად წლითი-წლამდე ლუდის მოთხოვნილება ბაზარზე ერთი-ორად მატულობს; ხოლო ქარხანას არსებული მოწყობილობით არ შეუძლია იმაზე მეტად გაადიდონ ნაყოფიერება, რაც წელს იყო.

კომუნალურ განყოფილებას უკვე შემუშავებული აქვს პროექტი ქარხნის მოსაწყობად. ქარხნის გაფართოება და მექანიკური მოწყობა გამომუშავებული ხარჯთაღრიცხვით ჯდება—140 ათასი მანეთი. ამ თანხით შეძენილი იქნება სადუღებელი ქვაბები, ახალი ფილტრები, და სარდაფების გასაგრილებელი კომპრესორები.

ვენერიული დისპანსერი

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სანიტარულ-ეპიდემიური განყოფილება ამჟამად მუშაობს რესპუბლიკაში ვენერიულ დისპანსერების გახსნის გეგმაზე.

განზრახულია, რომ ზოგიერთი ვენერიული სენების ამბულატორიები გადაკეთდენ დისპანსერებათ. დისპანსერებში იწარმოებს, როგორც სნეულებათა წამლობა, ისე ავათმყოფობებთან წინასწარი ბრძოლა და ავათმყოფობების შესწავლა.

გარდა ამისა დისპანსერებს დაევალებათ შესაფერი სანიტგანათლების წარმოება, ლექციების და საუბრების გამართვა, ანალიზების წარმოება და სხ.

ვინაიდან ვენერიული სენები უმთავრესათ გავრცელებულია რესპუბლიკის ქალაქებში და იმ რაიონებში, საიდანაც ხალხი გადის სხვაგან სამუშაოთ, ამიტომ დისპანსერიზაცია, პირველ რიგში ჩატარდება ასეთ რაიონებში და ქალაქებში.

ღვინო

დასავლეთ საქართველოში რთველი უკვე მოთავდა რაჭა-ლეჩხუმში,—მიმდინარე კვირაში დამთავრდება ზემო იმერეთში და ქუთაისის მაზრაში. ყურძნის მოსავალი წელს რაჭა-ლეჩხუმში საშუალოზე დაბალია, ხოლო იმერეთში კი ალაგ საშუალოა, ხოლო ალაგ საშუალოს უახლოვდება. მეღვინეთა კოოპერატიული ამხანაგობებს უკვე შეუდგენ წრევანდელი ყურძნის ღვინის მზადებას. სასოფ.-სამეურ. ბანკის ქუთაისის განყოფილებამ გაუხსნა კრედიტები ღვინის დასამზადებელ კამპანიის ჩასატარებლად მთელ რიგ მეღვინეთა კოოპერატიულ ამხანაგობებს. ბაღდათის მეღვინეთა ამხანაგობას მიეცა სესხი 27 ათასი მანეთის რაოდენობით, ზესტაფონის საკრედიტო ამხანაგობას—15 ათასი მანეთი, ხოლო რაჭა-ლეჩხუმის მევენახე-მეღვინეთა ამხანაგობას „ხვანჭკარას"—20 ათასი მანეთი.

ზემოხსენებული ამხანაგობები დაამზადებენ არა მარტო თავის წევრთა ღვინის მოსავალს, არამედ დანარჩენ მეღვინეების მოსავალსაც. დამზადება იწარმოებს საკომისიო პირობებში. გლეხებს გაუნაწილდება მოგება.

ბამბა

წელს ქვემო იმერეთში ბამბით დათესილი იყო 1.000 დესეტინაზე მეტი მიწა.

საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით მებამბე გლეხებს დაურიგდათ ავანსები. შუა ოქტომბერში დაიწყო მოსავლის მოწევა. ბამბის მოსავალი ქვემო იმერეთში წელს საშუალოზე მაღალია. გლეხები დადებულ პირობის ძალით ვალდებული არიან ბამბის წრევანდელი მოსავალი წაღებული ავანსების ანგარიშში ჩააბარონ ქუთაისის მაზრის კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომლებსაც ამ ოპერაციების ჩატარება დაკისრებული აქვს ქუთაისის ბამბის ქარხნის ადმინისტრაციისაგან.

კოოპერატ. ორგანიზაციები ბამბას გზავნიან ქარხნის განკარგულებაში.

ქარხანას ბამბის შარშანდელი მოსავალი სავსებით დამუშავებული აქვს და ამჟამად ქარხანა აწარმოებს მოსამზადებელ მუშაობას წრევანდელი ბამბის დასამუშავებლად.

ქრონიკა

ამხ. ფილიპე მახარაძის დაბრუნება

მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძე.

კოოპერატიული კურსები

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტთან გაიხსნა კურსები კოოპერატიულ მუშაკთა მოსამზადებლად. კურსებზე მიღებულია 60 კაცი ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებიდან.

შეღავათი კოოპერაციისათვის

ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციისათვის აქამდე დაწესებული იყო შეღავათიანი ტარიფი სოციალური დაზღვევის გადასახადებზე.

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. სახკომსაბჭოს წინაშე, რომ ეს შეღავათიანი ტარიფი გაუქმებული იქნეს.

ამიერ-კავკასიის კოოპერატიულმა კავშირმა ა.-კ. სახკომსაბჭოში წარადგინა თავისი მოსაზრებები ამ საკითხის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ შეღავათიანი ტარიფის გაუქმება 500.000 მანეთით გაადიდებს ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის ხარჯებს და ხელს შეუშლის 1926-27 წლის საოპერაციო გეგმის მთლიანად შესრულებას.

სახკომსაბჭო დაეთანხმა ამ მოსაზრებას და დაადგინა სთხოვოს ა.-კ. ცაკს რომ ამ უკანასკნელმა შუამდგომლობა აღძრას სათანადო ორგანოების წინაშე, რათა ამიერ-კავკასიაში დატოვებული იქნეს შეღავათიანი ტარიფი.

დახმარება მებამბე გლეხებს

ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტმა ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკების მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში გადასდო 221.473 მან. მებამბე-გლეხთათვის აგრო-კულტურული დახმარების აღმოსაჩენად. აქედან აზერბეიჯანის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს—132.166 მან., სომხეთის—29.099 მან., საქართველოს—27.292 მან., ნახიჩევანის მხარეს—24.845 მან., აფხაზეთს—8.070 მან.

ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას ამავე მიზნისათვის მიეცა 25.000 მან.

სას.-სამ. პროდუქტების დამზადება

ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირი მიმდინარე საბიუჯეტო წელში დაამზადებს 40.000 ფუთ მატყლს, 150.000 ფუთ ნიგოზს, 1.500 ფუთ თხილს და 200.000 მანეთის ბეწვეულს. დამზადება სწარმოებს როგორც სამომხმარებლო კოოპერაციის, ისე სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით.

რეალიზაცია მოწყობილი იქნება ისე, რომ მოგებაში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც პირველი საფეხურის კოოპერატიული ორგანიზაციები, ისე მწარმოებელი გლეხები.

პროდუქტების შესყიდვა სწარმოებს საბაზრო ფასებში.

კოოპერაცია

◆ **მატყლის დამზადება.** ა.-კ. კოოპერატივთა კავშირი წელს ამ.-კავკასიაში დაამზადებს 40.000 ფ. შემოდგომის მატყლს.

◆ **თამბაქო.** ა.-კ. კოოპერატივთა კავშირი შეუდგა თამბაქოს დამზადებას აფხაზეთში.

ჯანსახკომში

◆ **პროფსნეულების შემსწავლელი** პოლიკლინიკა გაიხსნება ამ თვის ბოლოს.

◆ **სულით ავადმყოფთა** სამკურნალოებში ჯანსახკომს განზრახვა აქვს გაადიდოს საწოლების რიცხვი.

◆ **წამლების დამზადების მექანიზაცია.** სახმედვაჭრობამ გადასწყვიტა გააფართოოს წამლების დამზადების მექანიზაცია 60 პროცენტამდე.

„მწყემსში"

◆ **ცხვრის დაბრუნება.** საქართველოს მეცხვარეთა კოოპერატიული ამხანაგობა „მწყემსი"-ს ცნობით, საზაფხულო საძოვრებიდან ცხვრები დაბრუნდნენ საზამთრო საძოვრებზე.

◆ **ფასი თივაზე.** „მწყემსი"-ს გამგეობის მიერ შირაქში დამზადებული თივა 30.000 ფუთის რაოდენობით, მწყემსებს მიეცემათ ფუთი 20 კაპიკად.

◆ **ღორის ხორცის დამზადება.** „მწყემსი"-ს გამგეობამ გააგზავნა დასავლეთ საქართველოში თავის წარმომადგენელი—გამსაღებელ პუნქტისათვის საჭირო ღორის ხორცის დამზადების მოსაწყობად.

◆ **საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირთან** არსებული სტენოგრაფთა კომიტეტი იწვევს ყველა ქართველ სტენოგრაფებს საერთო კრებაზე, რომელიც დანიშნულია 12 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე (მუშათა სასახლე მე-4 სართული, ოთახი № 78)

◆ **საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ბაში.** პარასკევს, ნოემბრის 12-ს, საღ. 7 ს., საქ. მუზეუმის აუდიტორიაში (კალოუბნის ქ., № 1), საზ-ბის ჩვეულებრივ კრებაზე მოხსენებას წაიკითხავს დავით კარიჭაშვილი: „ვინ არის „კალმასობის" ანუ „ხუმარსწავლად" წოდებული ქართული ენციკლოპედიის ავტორი". კრება საჯაროა.

◆ **ინჟენერ-ტექნიკოსთა კლუბში** (მუშათა სასახლე), 12 ნოემბერს შესდგება ინჟენერ დობროვოლსკის მოხსენება თემაზე: „ხემეიდა". შესვლა უფასოა.

თბ. ალმასკომში

◆ **ქალაქის საზღვრებში** შეტანილი იქნა სოფ. მდელოსი.

◆ **მანგლისის თემალმასკომის** თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქნა ამხ. გოგიშვილი.

◆ **ტყის გაშენება.** ვაკეში აგურის ქარხნების გარშემო ტყეების გასაშენებლად სატყეო სექციამ გადასდო 14.702 მან

◆ **ნაძალადევში** კანალიზაციის გასაყვანად დღემდე დახარჯულია 35.485 მან.

—:—

შემთხვევები

გვამის გამოცნობა

გუშინ, საღამოთი გამორკვეული იქნა ტრამვაის კატასტროფის დროს სასიკვდილოთ დაშავებულ მამაკაცის გვამის ვინაობა. იგი აღმოჩნდა ნავთლუღის მცხოვრები არმენაკ ყაზარის ძე ოსკანიანცი.

ყელის გამოჭრა

გუშინ, დაახლოებით ღამის 11 საათზე თვითმკვლელობის მიზნით სამართებელი დანით ყელი გამოიჭრა 18 წლის ვასილ ფარნიევმა.

თვითმკვლელობის ცდას წინ უძღვის შემდეგი გარემოება:

გუშინ, საღამოთი, ვასილ ფარნიევი სახლიდან წავიდა სასეირნოდ. ამხანაგებთან ერთად ის შევიდა მიხა ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში (ანდრეევის ქ. № 72) და ჩვეულებრივათ ებაასებოდა ამხანაგებს. რამოდენიმე ხნის შემდეგ ის (ფარნიევი) შევიდა კლუბთან არსებულ ბნელ ოთახში, ამოიღო ჯიბიდან სამართებელი დანა და ამოისვა რამოდენიმეჯერ ყელში. მახლობელ ოთახში მყოფ პირებს მოესმათ ხმაურობა. სასწრაფოთ მივიდნენ შემთხვევის ადგილზე და თვითმკვლელს არ მისცეს საშუალება საისიბით გამოეჭრა ყელი. ამის შემდეგ ფარნიევი ღრიალებდა და გაიძახოდა — „გამიშვით, უნდა გადავარდე წყალში, რადგან მომბეზრდა ცხოვრებაო".

ფარნიევი მოთავსებულია ამხ. კამოს სახელობის საავადმყოფოში.

თვითმკვლელობის განზრახვის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

თავის დაჭრა

გუშინ. საღამოს, თვითმკვლელობის მიზნით „ნაგანის" სისტემის რევოლვერით თავის ბიძის სახლში (რუსთაველის პროსპექტი, № 39) თავი დაიჭრა მეორე სამილიციო კომისარიატის უფროსმა თანამშრომელმა ვალოდია მიქელაძემ.

თვითმკვლელი მძიმე მდგომარეობაში მოთავსებულია რესპუბლიკის საავადმყოფოში.

მიზეზი — ოჯახური უსიამოვნება.

დაჭრა

გუშინწინ. საღამოს ვასილ მელიქოვმა დანით დასჭრა ავაკ აბაქოვი, რომელსაც მიაყენა 16 ჭრილობა.

დაჭრილი გადაგზავნილია საავადმყოფოში. მელიქოვი დაპატიმრებულია.

რეციდივისტის დაპატიმრება

გუშინწინ. საღამოს, სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტი ივანე კასტიროვი. კასტიროვს აღმოაჩნდა დიდძალი ნაქურდალი ნივთები.

◆ **ცეცხლი.** 9 ნოემ. დიდი-ვანქის ქ., № 30, მოქ. ტატოსიანცის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელ რაზმმა.

◆ **პატიმრების გაქცევა.** ყარაიაზის მილიციის საპატიმროდან გაიქცა ორი პატიმარი რაგიმ ყურბან-ოღლი და ადილ გულ მალი-ოღლი.

◆ **შეპყრობა.** 9 ნოემ. ჯიბგირობისათვის შეიპყრეს გიორგი ნებიერიძე.

◆ **ქურდობა.** მე-3 უბნის სახალხო სასამართლოს შენობიდან მოიპარეს მაგიდის წითელი საფარი და სხვა ნივთები.

◆ **ჯიბგირობა.** თავისუფლების მოედანზე ტრამვაის რონოდაში ასვლის დროს ელისაბედ კეშიშოვის ჯიბიდან ამოაცალეს 18 მან.

◆ **ბოქლომის გატეხვის** საშუალებით, 8 ნოემბერს ნიკოლოზის ქ., 9, ნინა არუთინოვის ბინიდან მოიპარეს 600 მან. ნივთები და 405 მან. ფულად.

◆ **ამავე დღეს** მოსკოვის ქ. № 9, არმენაკ ტერ-საკოვის ბინიდან მოიპარეს 300 მან. ნივთები.

—:—

ხელოვნება

დისპუტი „ზაგმუკზე"

პარასკევს, 12 ნოემბერს. რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში, ხელოვნების განყოფილება აწყობს დისპუტს შემდეგ თემაზე: „გლებოვის პიესა „ზაგმუკ რუსთაველის თეატრში". მომხსენებელი ალ. ახმეტელი. შესავალ სიტყვას იტყვის დისპუტის თავმჯდომარე ამხ. შ. დუდუჩავა.

◆ **„ფაუსტი".** დღეს ოპერის თეატრში მიდის ოპერა „ფაუსტი".

◆ **კონცერტი.** 14 ნოემბერს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გაიმართება ცნობილ პიანისტის ლეო სიროტის პირველი კონცერტი.

◆ **„ჰეროვანი ქალი".** მუშათა თეატრის რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება: „ჰეროვანი ქალი".

◆ **„ზაგმუკ".** შაბათს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ზაგმუკ".

◆ **„გმირი".** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „გმირი".

სასამართლო

დერძიბაშევის და სხვათა საქმე

გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ექსპერტების დასკვნა დერძიბაშევის საქმეზე.

დღეს გაიმართება მხარეების კამათი და გამოტანილი იქნება განაჩენი.

კოოპერატიული ფულის მოყვარულნი

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში დაიწყო კოჯორის კოოპერატივის თანამშრომელთა საქმე. პასუხისგებაში მიცემული გამგეობის თავმჯდომარე გრიგოლ შალამბერიძე, გამგეობის წევრეში: კონსტანტინე სურმავა და რაჟდენ გოგელია, საწყობის გამგე აკაკი მახარაძე, სასადილოს გამგე გიორგი ბერიძე, ნოქარი ლევან გოგელიძე და ბუღალტერი კანკავა—ფარულავა.

რამოდენიმე ფორმალური მხარეების შემდეგ სასამართლომ დაადგინა კონსტ. სურმავას გარდაცვალების გამო, მის მიმართ აღძრული ძიება, მოსპობილ იქნას.

5.000 მანეთის გაფლანგვა

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. სიჭინავას თავმჯდომარეობით და პროკურორ გრიგოლიას მონაწილეობით გაირჩევა რუბენ ხობაზოვის საქმე.

1922 წლიდან ხობაზოვი ირიცხებოდა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტყავ-ტრესტის მოლარეთ.

მთავარი ბუღალტერის მიერ მოხდენილ იქნა ჩვეულებრივი რევიზია. ხობაზოვს აღმოაჩნდა დანაკლისი 4.000 მანეთი. ამის შემდეგ მოხდენილ იქნა სალაროს დაწვრილებითი რევიზია; ბუღალტერიის და სალაროს წიგნების შედარების დროს გამოირკვა, რომ ხობაზოვს გაფლანგული აქვს 2.884 მანეთი.

ტყავ-ტრესტის სხვადასხვა მაღაზიების მოლარეები თვის ბოლოს მუშებს უკავებდენ ჯამაგირიდან პურის საფასურს და განაღდებულ ჩეკების ფულს აძლევდენ ხობაზოვს. მაღაზიების მოლარეებმა გადასცეს ამ გზით 4.142 მანეთი.

გამოძიებით გამოირკვა, რომ ხობაზოვს გაუფლანგავს 4.180 მანეთი. გარდა ამისა, 1924—25 წ. განმავლობაში მიითვისა ქალთა განყოფილების მესამე რაიონული კომიტეტის ბავშვების მეგობართა საზოგადოების სასარგებლოდ გაყიდულ მარკებისაგან შემოსული 722 მანეთი.

რკინისგზებზე

მოძრაობის გაცხოველება

უკანასკნელ ხანებში აღსანიშნავია, ლენინაკანიდან თბილისისაკენ ბამბისა და ქვის გადმოზიდვის გაცხოველება.

თათბირი

დეკემბერში საგზაო დამზღვევი სალარო იწვევს ა.-კ. რკ. გზებზე მომუშავე ექიმების თათბირს.

აპარატის რაციონალიზაცია

ა.-კ. რკ. გზ. დამზღვევი სალარო ამჟამად ატარებს თავის აპარატის რაციონალიზაციას ცენტრში, რაც გაგრძელდება 1 დეკემბრამდე. ამის შემდეგ ესევე ღონისძიება ჩატარებულ იქნება ადგილებზე.

ავადმყოფების გაგზავნა

ა.-კ. რკ. გზის ჯანმრთელობის განყოფილებამ გაგზავნა სურამში 15 ავადმყოფი რკინისგზელი.

კაზანცევის მუხრუჭები

ა.-კ. რკინის გზების აღმოსავლეთის ხაზზე დამთავრდა კაზანცევის მუხრუჭებით მოწყობილ მატარებლის გამოცდა. დამუხრუჭება წარმოებულ იყო შეუფერხლად. მუხრუჭებმა სამაგალითოდ დაიჭირეს გამოცდა. საცდელი მატარებელი გაწყვეტილი იქნა ხელოვნურად და მონაწყვეტი ნაწილი მუხრუჭებით დაყენებული იქნა რამოდენიმე მანძილის გავლის შემდეგ.

ვაგონების მიღება

ა.-კ. რკინის გზებმა, მიიღო მოსკოვის ვაგონების საამშენებლო ქარხანაში დამზადებული ათი მაგარი ვაგონი. უკვე შეუდგნენ ამ ვაგონებში ელექტრონის სინათლის გაყვანას. რის დამთავრების შემდეგ მათ გაუშვებენ მოძრაობაში. გარდა აღნიშნულ ათი ვაგონისა, გზებზე ელიან კიდევ შვიდ ვაგონს.

ვაგონების მიწოდება

ა.-კ. რკ. – გზების სამმართველო ყოველდღიურად გაგზავნის ბათომში 25 ვაგონს, ლენინაკანისათვის გამოგზავნილ 600 ვაგონი ხე-ტყის მასალის დასატვირთოდ.

გვირაბი

ა.-კ. რკინის-გზების სამმართველომ გადასდო 125.000 მანეთი თბილისის სადგურის ქვეშ მგზავრების გასატარებელ გვირაბის გასაყვანად.

ბიბლიოგრაფია

სოფლის კომუნისტი № 10

ჟურნალის ეს № გამოვიდა ოქტომბრის რევოლიუციის მეცხრე წლის თავზე და ამიტომ მასში მოთავსებულ მასალების საგრძნობი ნაწილი ამ დღისთვისაა მიძღვნილი.

პირველი წერილი („მეცხრე ოქტომბერი") ეხება სამოქალაქო ომის პერიოდს, საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს სამეურნეო ფრონტზე და ოქტომბრის რევოლიუციის საერთაშორისო მნიშვნელობას. ეტყობა, რომ წერილი ნაჩქარევადაა შედგენილი. ალაგ-ალაგ შემთხვევითი ხასიათის ციფრებს წააწყდებით (4 გვ.) სოფლის მეურნეობის აღორძინებაზე ცნობებს ამაოდ ეძებთ. მიუღებელია ასეთი თქმა: „ჩვენ არ მოვიყვანთ ციფრებს სოფლის მეურნეობის შესახებ, მხოლოდ ვიტყვით, რომ 1921 წლიდან დღემდის ისევე სწრაფად სწარმოებდა სოფლის მეურნეობის აღდგენაც" (გვ. 6). საჭიროა აქაც სწორედ ციფრების ენით ლაპარაკი.

ავტორს, გარდა ამისა, ერთი გაუგებრობა მოსვლია, როცა ის ჩვენ საერთაშორისო მდგომარეობას ახასიათებს; იგი წერს: ...„არ არის არც ერთი მსხვილი სახელმწიფო, ამერიკის გარდა, რომ საბჭოთა კავშირთან ნორმალური დამოკიდებულება არ ჰქონდეს". ჯერ ერთი, ამერიკა, როგორც სახელმწიფო, არ არსებობს. ამერიკაში არის ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და კიდევ მრავალი სხვა სახელმწიფო; მეორე, არ არის მართალი, რომ ყველა მსხვილ სახელმწიფოს, გარდა ამერიკისა, საბჭოთა კავშირთან ნორმალური დამოკიდებულება ჰქონდეს. მარტო იურიდიული ცნობა, რაც ალბად მხედველობაში აქვს ავტორს, საკმარისი არ არის „ნორმალურ დამოკიდებულებისათვის". განა ამას არ ადასტურებს ინგლისის ანტისაბჭოთა პოლიტიკა? ნამდვილად კი ამერიკაში არის რამოდენიმე ქვეყანა, რომლებთანაც ჩვენ მართლა გვაქვს ნორმალური ურთიერთობა. თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოლო დროს ხდება გარდატეხა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ.

შემდეგ მოთავსებულია ამხ. ალ. პაპავას წერილი: „საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა პროლეტარიატის დიქტატურის ცხრა წლის თავზე". ავტორი აყენებს ორ კითხვას: „რა გავაკეთეთ მეურნეობის სფეროში ამ ცხრა წლის განმავლობაში" და „რა მიმართულებით ვიზრდებით—წინ სოციალიზმისაკენ, თუ უკან კაპიტალიზმისაკენ". ავტორს საკმაო ციფრობრივი მასალა მოჰყავს, რომელიც ნათელყოფს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღორძინებას და, რაც მთავარია, სოციალისტური ელემენტების ზრდას კერძო კაპიტალის ხარჯზე. წერილი სწორად განმარტავს ინდუსტრიალიზაციას, „როგორც სოციალიზმის შენების მეთოდს, როგორც ჩვენი ეკონომიური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მეთოდს და როგორც გლეხობას ძირითად მასსასთან კავშირის მეთოდს". წერილი შემდეგ ეხება იმ წყაროებს, საიდანაც მივიღებთ ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო საშუალებებს და იძლევა ოპოზიციის შეხედულებათა კრიტიკას ამ საკითხში.

წერილს რამოდენიმე ნაკლი აქვს. ავტორი ეხება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის არსებულ დისპროპორციას, მაგრამ ამ დისპროპორციის მიზეზები სუსტადაა გაშუქებული; კოოპერაციის როლი სოციალისტური მშენებლობაში არ არის დახასიათებული; არ არის აღნიშნული, რომ სულ ბოლო დროს საგარეო ვაჭრობის დარგში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა ჩვენ სასარგებლოდ. ავტორი გაკვრით ეხება კლასობრივ ბრძოლის საკითხს სოფლად; ის კმაყოფილდება შემდეგი სიტყვებით: „სოფლად ადგილი აქვს კლასიურ დიფერენციაციას: ერთი მხრივ იზრდება კულაკი მე-2 —პროლეტარდება ღარიბი გლეხობა. მაგრამ ამ დიფერენციაციას არავითარ შემთხვევაში არა აქვს ისეთი ხასიათი, როგორც ეს სურდა დაემტკიცებია ოპოზიციას". დებულება თავის თავად სწორია, მაგრამ საჭირო იყო მისი დასაბუთება.

ორივე წერილის არსებით ნაკლს, გარდა ამისა, ის შეადგენს, რომ კერძოდ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მიღწევებზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, მაშინ, როცა „სოფლის კომუნისტს", საბჭოთა კავშირის მდგომარეობის დახასიათებასთან ერთად, ამისათვის უნდა მიექცია განსაკუთრებული ყურადღება. ამ მხრივ მასალებიც საკმაო მოიპოვება.

ოქტომბრის დღესასწაულს ეხებიან აგრეთვე ამხ. შ. ანდღულაძის („მშრომელი ახალგაზრდობა და ოქტომბერი") და ვეზა გოლდის („ოქტომბრის რევოლიუცია და საერთაშორისო ბურჟუაზია") წერილები. ჩვენ ვერ გაგვიგია, თუ რატომაა უკანასკნელი წერილი მოთავსებული „საერთაშორისო მიმოხილვა"-ს განყოფილებაში; თვით წერილი შაბლონური და მრავალჯერ ნათქვამის მკრთალი განმეორებაა.

ცალკე უნდა აღინიშნოს წერილები ამხ. ზ. გ—ს („ოპოზიციონური ბლოკის გაკოტრება") და გ. მაჭავარიანის („შინაპარტიული მდგომარეობა და ლენინური კომკავშირი"), სადაც დახასიათებულია ცენტრის და ჩვენებური ოპოზიციის უპრინციპობა და შეცდომები და მისი სასტიკი დამარცხება.

ფართოდაა წარმოდგენილი „ადგილობრივი ცხოვრება". არა უშავს ბიბლიოგრაფიულ განყოფილებასაც. მხოლოდ ერთი შენიშვნა: ჟურნალს თითქო ახალი განყოფილება შემოუღია— მხატვრული ლიტერატურა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფიული შენიშვნა დ. კლდიაშვილის ნაწერებზე. რატომ არ შეიძლებოდა მისი შეტანა ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში. მხატვრული ლიტერატურა სულ სხვა ცნებას შეიცავს.

ბოლოს უნდა აღინიშნოთ, რომ ჟურნალი მოიკოჭლებს ენისა და კორექტურის მხრივ.

საერთოდ ჟურნალის № ზოგიერთ სხვა ნომრებთან შედარებით, სუსტია.

ვ. ქ—ლი.

ფეხბურთი

საქართველო—თბილისი

დღეს, ნაშუადღევის 3 ნახევ. საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება საქართველოს ნაკრები გუნდის და თბილისის ნაკრები გუნდის ამხანაგური შეჯიბრი.

თბილისის ნაკრებ გუნდის შემადგენლობაში, რომელიც ჩვენ გუშინ გვქონდა მოყვანილი, შეცვლილია რამდენიმე მოთამაშე.

გუნდში შედიან: ბალდოევი (სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გუნდი), ხევსურიანი („დურუჯი"), გასპაროვი (პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გუნდი), მდივანი (წითელ-არმიის და ფლოტის სახლის გუნდი), იმნაძე („დურუჯი"), ფიოდოროვი („დინამო"), ცომაია ვლ. („დინამო"), მოროზოვი („ლენრაიონი"), ხოლტანი („არსრაიონი"), ახლამაზოვი („არსრაიონი") და პარამონოვი (წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდი).

სათადარიგო მოთამაშეები: ხანდამოვი („არსრაიონი") და ხომოვი („დინამო" 2).

მსაჯი იქნება ამხ. იოსავა.

გუნდების გამორიცხვა

დისციპლინის დარღვევის გამო ფიზკულტურის თბილისის საბჭომ დაადგინა მიმდინარე სეზონის პირველობის გათამაშებიდან გამოირიცხოს შემდეგი გუნდები:

რკინისგზელებიდან—„კრასმოლი", „საქართველოს მარგანეცი" და „ლენრაიონი"; პროფკავშირების გუნდებიდან—„დურუჯი" 2, „მელითონეთა საფაბრიკო - საქარხნო სკოლა" და „ადგილობრივი ტრანსპორტი" 1.

აღნიშნული გუნდები დაშვებული არ იქნებიან კალენდარულ შეჯიბრებაზე მთელი სეზონის განმავლობაში.

აზერბეიჯანის ფეხბურთელები

გუშინ საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს არავითარი ცნობა არ მიუღია აზერბეიჯანის ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოსაგან. ფეხბურთელთა გუნდის ჩამოსვლის შესახებ. პასუხს მოელიან დღეს.

იმ შემთხვევაში, თუ აზერბეიჯანის ნაკრები გუნდი რაიმე მიზეზის გამო ვერ მოასწრებს ჩამოსვლას 14 ნოემბრისათვის, ამ დღეს ლენინის სახელობის სტადიონზე საქართველოს ნაკრებ გუნდს შეეჯიბრება რომელიმე ადგილობრივი ძლიერი გუნდი.

იურიდიული დახმარება

დაიშვება თუ არა ასეთი ქორწინება

კითხვა

შეიძლება თუ არა დაქორწინდენ ბიძაშვილები (ე. ი. ვაჟი არის ქალის მამის ძმის შვილი, ქალი არის ვაჟის მამის ძმის შვილი) ორივე ქალ-ვაჟი ერთი და იგივე გვარისაა.

პასუხი

თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 71-ისა, დაქორწინება არ შეუძლიათ, მხოლოდ ამავალ და შთამავალ შტოთა ნათესავთ, ღვიძლ და-ძმას და იმ და-ძმას, რომელთაც ან მამა ყავთ ერთი, ან დედა. ამგვარ დაბრკოლებას ქმნის ის ნათესაობაც, რომელიც წარმოშობილია ქორწინების გარეშე კავშირით. დანარჩენ შემთხვევაში ქორწინება არ არის აკრძალული კანონით.

როგორ მოვიქცე და ვის მივმართო

კითხვა

მე ვარ ქვრივი, გალის მაზრა ს. გადიდანაქკადუს მცხოვრები. 1924 წელს ჩვენ სოფელში სიმინდის სიმცირის გამო ჩემმა ქმარმა ოჩამჩირიდან ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით ქვრივ ობლებისათვის სესხის სახით მოიტანა ჩვენი ურმით სიმინდი, სიმინდის ქვრივ-ობლებზე დარიგების შემდეგ ჩვენ სახლში დარჩა ჩვენი ურმის ქირის (4 ფუთის სიმინდის) გარდა ექვსი ფუთი სიმინდი, რაც ჩვენ მოვიხმარეთ საბჭოს ნებართვით.

ჩემი ქმრის გარდაცვალების შემდეგ ა.-წ. სექტემბერში გამომიცხადა საბჭოს თავმჯდომარემ, რომ ვითომდა მე მაქვს 10 ფ. სიმინდი სესხის სახით წაღებული და უნდა ვადავიხადო 25 მანეთი (ფუთზე 2 მან. ნახევარი), წინააღმდეგ შემთხვევაში აგიწერთ და წაგართმევთ ძროხასო. იძულებული გამხადეს მესესხნა 25 მან. ძროხის დაგირავებით და მიშეცა ათი ფუთი სიმინდის ფასად.

გთხოვთ მომცეთ განმარტება, ვის მივმართო, რომ დავიბრუნო უკანონოდ გადახდილი ფული.

ქვრივი მაშიკო შონია.

პასუხი

თქვენ უნდა მიმართოთ თქვენი ბინადრობის მიხედვით ადგილობრივ სახალხო სასამართლოს და ძიების წესით მოითხოვოთ ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 24—72

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

მაზუთზე ფასების დაწესების შესახებ

თანახმად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა. წ. ოქტომბრის 5-ს დადგენილებისა, № 51-107,—ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1. დაწესებულ იქნეს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს „სახელმწიფო სათბობი"-ს მაზუთზე შემდეგი საზღვრითი საბითუმო ფასები:

ა) ფრანკო—„სახელმწიფო სათბობი"-ს საწყობი ქ. თბილისსა და ნავთლუღში 1 კილოგრამი—4,33 კაპ., ქ. ბათომში 1 კილოგრამი 5,16 კ., ბ) ფრანკო-ცისტერნა ქ. თბილისი 1 კილ. 4,21 კაპ.

§ 2. ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 3. ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის მაგიერ ბერელაშვილი.

საქმეთა მმართველი აბესაძე.

დადგენილება № 23—71

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

გოგირდი „ბუდდა"-ზე ფასების დაწესების შესახებ

თანახმად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა. წ. ოქტომბრის 5-ს დადგენილებისა, № 50—106 და გასაუქმებლად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის 1925 წ. მაისის 18-ს დადგენილებისა, № 36, ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1. დაწესებულ იქნეს გოგირდი „ბუდდაზე" საბითუმო საგასაცემო ფასი „ა.-კ. სასოფ.-სამეურნეო მანქ. ტრესტის"-ა („ზაკსელმაშ") და ა.-კ. კოოპერატიული კავშირისათვის" („ზაკსოიუზი") მისი გაცემის დროს სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებსა და ნაციონალურ კოოპერატიულ ცენტრებზე 1 კილოგრამი ფრანკო—რონოდა ბათომში—14,65 კაპ.,—ბრუტტო—როგორც ნეტტო.

§ 2. დაწესებულ იქნეს გოგირდი „ბუდდაზე" საგასაცემო ფასი საქართველოს სას.-სამეურნეო ბანკისა და ნაციონალურ კოოპერატიულ ცენტრებისათვის მისი გაცემის დროს ძირითად კოოპერატივებზე 1 კილოგრამი ფრანკო რონოდა ბათომში—15,57 კაპ. ბრუტტო—როგორც ნეტტო.

§ 3. ძირითადი კოოპერატივების საგასაცემო ფასი გოგირდი „ბუდდა"-სი მისი გაცემის დროს უშუალოდ მომხმარებლებზე გამოანგარიშებულ უნდა იქნეს შემდეგნაირად: თვითღირებულებას ფრანკო—რონოდა ბათომი უნდა მიემატოს: 1) 15 პროცენტი კოოპერატივის საორგანიზაციო და სხვა ხარჯების, აგრეთვე დანაფანტის დასაფარავად და 2) ის ნამდვილი ხარჯები, რაც კოოპერატივს გოგირდის გადაზიდვა დაუჯდება გაყიდვის ადგილამდე. ფასი იანგარიშება ბრუტტო—როგორც ნეტტო.

§ 4. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 5. ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის მაგიერ ბერელაშვილი.

საქმეთა მმართველი აბესაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. ახ. ლენკომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 11 ნოემბერს, დღის 3 საათზე, თბილისის კომიტეტის შენობაში შესდგება თბილისის კომიტეტის მიმღებ კომისიის სხდომა.

სავალდებულოა დასწრება კომკავშირის იმ კანდიდატების, რომელთა ანკეტები წარდგენილია დასამტკიცებლად თბილისის კომიტეტში მიმღებ კომისიაში.

დღეს, ხუთშაბათს, 11 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, მე-6 უბნის ლენინის სახელობის კლუბში ლენრაიონის მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იწვევს ყველა კომუჯრედის ქალთა ორგანიზატორებს და ლენრაიონის ყველა აქტიურ მომუშავე ქალებს, რომლებიც მუშაობდენ და უნდათ იმუშაონ შემდეგ ორგანიზაციებში: ბავშვთა მეგობრების საზოგადოებაში, პიონერთა ორგანიზაციაში და პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულ ქალთა კუთხეში.

საკითხები: 1) კუთხეში მუშაობის შესახებ, 2) პიონერებში მუშაობის შესახებ, 3) მიმდინარე საკითხები.

ქალაქის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა 11 ნოემბერს გამოცხადდენ ქალაქის რაიკომის საგიტ-საპროპ. განყოფილებაში ამხ. ლობჟანიძესთან: მიცინი კონსტანტინე (სახელმწიფო ოპერა), ბონდარენკო ანა (სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი), გოლი (ამიერ-კავკ. კომუნისტ. უნივერსიტეტი), პავლოვსკი მაქსიმე (სახ. პოლიტეხ. ინსტიტუტი) და ბოლდახაროვი (ამიერ-კავ. კომ. უნ.).

საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 11 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, მე-3-ე რაიკომის საგიტ-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში შესდგება მე-3-ე რაიკომთან არსებულ საპროპაგანდო მეთოდიურ ბიუროს სხდომა.

საქართველოს კომუნისტ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი იტყობინება რომ დღეს, 11 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე მე-3-ე რაიკომის საგიტ-საპროპ. მუშაკის კაბინეტში შესდგება ლენინურ წრეების საორგანიზაციო კრება, ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2-ე რაიკომი იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 11 ნოემბერს, დღის 12 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება მე-2 რაიკომის საორგანიზაციო თათბირი.

საორგანიზაციო თათბირის ყველა წევრებს დასწრება სავალდებულოა.

ს. კ. პ. ლენრაიკომი იტყობინება, რომ 11 ნოემბერს 5 საათზე დაიწყება მეცადინეობა მე-2-ე საფეხურის პოლიტ-სკოლისა და საღამოს საბ. პარტ-სკოლისა, რომელზედაც სავალდებულოა შემდეგი ხელმძღვანელების დასწრება:

მეტონიძე, გეორგაძე, გალკინი, ბეჟანოვი, კრიგორი, დელიბაშვილი, მირიანაშვილი, დავიდოვი, პანტურია, აშინი, ველიბეკოვი, ტიულიაკოვი, ხაჯალია, კალაძე, ბობოხიძე, ბახტაძე, ბაიკოვი, კულიჯანოვი, ამოსოვი, კიჩიგინი.

ღრმად დამწუხრებულნი: ქმარი აკაკი, შვილი კიპა, რძალი პოლინა, დები: მარუსია და ლენა, ძმები: გრიშა და ლეონიდე, მამიდა ანუშკა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 9 ნოემბერს, დილის 10 საათზე გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

შურა ივანოვის ასული ღლონტისა

რომლის დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 11 ნოემბერს, დღის 4 საათზე მოიდანახეს სასაფლაოზე ქ. ოზურგეთში. 517

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა ალათი, ცოლი სონა, შვილი გერონტი, ძმისწულები თებრონე, სვიმონი, მაშიკო, შვილიშვილი თამარა, ბიძაშვილები ივლიანე, მოსე, სიძე ივლიანე ჯანელიძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ სოფელ ხვანჭკარაში შვიდ ნოემბერს, ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ვასილ ევთიმეს-ძე ტყეშელაშვილი

დაკრძალვა მოხდება დღეს, 11 ნოემბერს სოფელში. დ.

ოთხშაბათს, ა. წ. 10 ნოემბერს, ქ. ქუთაისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა ქუთაისის ხე-ტყის დამამზადებელ რაიონის ბუღალტერი

სოლომონ გუტულაშვილი.

რასაც ღრმა მწუხარებით იუწყებიან საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის თანამშრომლები.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ანა, შვილები: ნინო ბაბაკაშვილისა, მართა, სალომე და ანიკო ქერაშვილები, შვილიშვილები: ვანიკო და ელიკო აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ს. ყვარელში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლე და მოამაგე მამა

ივანე მათეს-ძე ქერაშვილი

დაკრძალვა 11 გიორგობისთვეს, სოფ. ყვარელში (თელავის მაზრა). 521

დამწუხრებულნი მშობლები: სინო ფირანის-ძე და ეფემია იოსების ასული, ძმები: მიხეილი, სამუელი, ევსევი და კორნელი, დები: მარიამი (სულაქველიძისა) და ელენე, რძალი ოლღა არსენის ასული, ძმისშვილები: დავით და ილია მიხეილის ძე ბახტაძეები და სიძე სამსონ ნიკიფორის-ძე სულაქველიძე შვილებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ შაბათს, 13 ნოემბერს, დღის 12 საათზე, სოფ. შუამთაში მთავარანგელოზის სასაფლაოზე (ტობანიერის თემი) გადახდილი იქნება პანაშვიდი მასწავლებლის

სერგო სინოს-ძე ბახტაძის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო. 518

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 11 ნოემბერს,
პირველი აბონემენტის მესამე სპექტაკლი **ფაუსტი**
მონაწ.: სპრიშევსკაია, ვოლხანეცკაია, ვიტინგი, ქარცივაძე.
პირველი აბონემენტის საფასურის მორიგი გადახდა.
დარჩენილი ბილეთები იყიდება.
პარასკევს, 12 ნოემბ., მესამე აბონემენტის მესამე სპექტაკლი.
რიგოლეტო
მესამე აბონემენტის საფასურის მორიგი გადახდა.
დარჩენილი ბილეთები იყიდება. ნ. 196

სახელმწიფო დრამა

დღეს, ხუთშაბათს 11 ნოემბერს პირველად ამ სეზონში
გმირი
ნ. 197
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
ნ. 157 0—9

დღეს და ყოველდღე
საქართ. სახკინმრეწვის ახალი სურათი
გაფლანგვა
რეჟისორი ი. პერესტიანი
ოპერატორი ა. დიგმელოვი
მთავარ როლებში: ს. ჟოზეფი, მ. ტენაზი, ს. პრივალოვი, პ. ესიკოვსკი, ი. კრუჩინინი, პ. მორსკოი, მ. იაკობინი.
სალარო ღიაა 5 საათ. და 30 წუთ.
„აპოლო"-ში და „დარბაზში" პროგრამის გარეშე ნაჩვენები იქნება „მიწისძვრა სომხეთში"

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

მუშკოოპის წევრების საყურადღებოთ

თბილისის მთლიან მუშათა კოოპერატივის გამგეობა აცნობებს მუშკოოპის წევრებს, რომ პრემიალური მარკები რუსული შრიფტით, უნდა იქნენ წარმოდგენილი გასანაღდებლად ა. წ. 1-ლ დეკემბრამდე, რის შემდეგ იგინი აღარ მიიღებიან და ჩაითვლებიან გაუქმებულად.

ნ. 179 2—1 მუშკოოპის გამგეობა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპექტი № 16), საღამოობით 4—6 საათამდის ავადმყოფები მიიღებიან უფასოდ. 25—1

მოკლე ხნის განმავლობაში ვასწავლი ჭრა კერვას და ხელსაქმეს თეორეტიულად
ვღებულობ საკერავს ქალთა ტანსაცმელისას, მელიქიშვილის ქუჩა № 10, (ყოფილი წყნეთის). 44

სათვალეების მორგება უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1-

სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო ორგანიზაციების საყურადღებოდ
საქართ. სამკერვალო მრეწველობის სააქციო საზოგადოება „მკერავი"
მიმდინარე წლის პირველ ნოემბრიდან
შეუდგა ყოველგვარ შეკვეთების მიღებას
მასიური ხასიათის შეკვეთები, შეკვეთები სპეც-ტანსაცმელზე, საწარმოო ტანთსაცმელზე და სხვა მიიღება საზოგადოების ფაბრიკაში
რენიგერის ქუჩა (ყოფილი მელიქოვის) № 5.
საზოგადოებას აქვს აგრეთვე **მზატანსაცმელის მაღაზია** რუსთაველის პრ. № 11
სადაც მიიღება ყოველგვარი შეკვეთები
როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ტანისამოსზე
შეკვეთების შესრულება ხდება სწრაფად და თავის დროზე, საუკეთესო ხელოვნების მიერ ცნობილი გამომჭრელის ყუფარაძის ხელმძღვანელობით. ნ. 200

სამხედრო და ზღვათა სახ. კომისარიატის ფონდების აღრიცხვის და რეალიზაციის ბიურო
ჰყიდის საავიაციო მოტორებს
100-დან 250Hp, რომელნიც გამოდგებიან მოტორიან ნავების, მარხილების, გრისელებისათვის და აგრეთვე სარწყავი ადგილების სტაციონარული მოწყობილობისათვის.
მოტორები განსაკუთრებით გამოსადეგნი არიან სასპორტო საზოგადოებებისათვის.
მისამართი: მოსკოვი, ელინკა № 2, საკავშირო სამხ. რევოლიუციონურ საბჭოს მეორე სახლი, სამხედრო საფონდო ბიურო, ტელ. 3—99—14.
ნ. 198

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ლ. არღუთინსკი

ამით აცხადებს, რომ ის 15 ნოემბერს 1926 წ. დღის 2 საათზე სახლში № 10, ლერმონტოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ძმ. აზნაუროვების მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფს, ორ კარიან, საყინულეს 15 მაგიდას და 36 ვენურ ძველი სკამს შეფასებულს 141 მანეთად, სახალხო კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 16 სექტემბრის 1926 წ. თარიღით, № 3608 და სხვ. გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 523

თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და ბავშვთა სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

პროფესორი მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას ყოველ დღე, გარდა კვირისა საღამოს 4 ნახ.—8 საათამდე კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56 13—1

ქ. თბილისის მე-2 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ 15 ნოემბერს 1926 წ. დღის 12 საათზე, სახლი № 14, არქივის შესახვევში, მე-4 სამილიციო უბანში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის იოსება, ანნა, იაკობ მაჩკალოვების, ასტღიკ ალიხანიანცის და ეკატერინე კასპარიანცის სახლს შეფასებულს 1400 მან. აფხაზეთის თამბაქოს ქარხნის ვალის დასაკმაყოფილებლად, ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 15 მაისის 1926 წ. თარიღით № 1464 გაცემულ სასამართლოს ბრძანების ძალით. მყიდველთ მიერ დაცული უნდა იქნეს სამ. საპ. კოდ. 311, 312 მუხ. 520

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

ამით აცხადებს, რომ ის 17 ნოემბერს 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № 93, პლეხანოვის პროსპექტზე, მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არსენ კალაშვილის მოძრავ ქონებას: როგორიც არის სკამები, მაგიდები, ბუფეტის შკაფი, სასმელები და სხვ. სასადილოს მოწყობილობა შეფასებულს 212 მანეთად, სახალხო კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 23 აგვისტოს 1926 წ. თარიღით, № 3378 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 522

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(ლორის-მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 14 ნოემბერს, დილის 10 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 199

ექიმი ზუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—1

ექიმი გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—2

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

ვერა ფრიდრიხის ასული შაიშმელოვა
აცხადებს, რომ გარდაცვლილი ალექსანდრე ვასილის-ძე შაიშმელოვის (იგივე შაიშმელაშვილის) სოფელ ანაგაში, სიღნაღ. მაზ. მდებარე სახლის გაყიდვის აქტი № 251 დაიკარგა და ჩ. გ. 524

ექიმი ნ. მელიქიშვილი
დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება დასამშობიარო, ამოს (ყოფილი ქუჩნევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დღისით 1—2-ს საღამოზე 4—6 საათამდე.

ექიმი-ქალი

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16. 25—5

ექიმი არჩილ სავანელი
განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილით 7—9 ს. საღამოს 5—9 ს. ქალები 4—5 ს. მისამართი: კომუნალური ქ. № 59. მეხუთე კომისარიატის ახლოს. 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—21

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ექიმი მ. ა. ლუკომსკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

ქუთაისში
ექ. ა. მ. ასათიანმა
ლენინგრადის კლინიკაში გამგზავრების გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა
25—1 ქვ. 379

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ქუთაისში
ექიმი ჩეჩელაშვილი
იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალურად ექიმობს ფილტვებს, ქავთარაძის ქუჩა № 9
მიღება დილის 8—12 საათ.
საღამოს 6— 8 საათ. 25—2

დაბრუნდა
ექიმი ა. დ. შახბაზიანი
ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ველიამინოვის ქ.) 25—1

ექიმი მეგრაბიანცი
ფილტვების, ძლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ნ. პ. ფალიაშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ყოველგვარ მედიკურ გამოკვლევების ანალიზები მიიღება მთელი დღე. პირადათ დილის 9 საათამდის და 5—7 საათამდე ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი
დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 12

ექ. ქ. ტყეშელაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ.-საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 1

ექიმი
მ. ს. არჯევანიძე
გადავიდა
ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიანცისა) სამეანო და ქალთა სნეულებით. დღის 2—4 სათ. და საღამოს 6—7
ყველასათვის ხელმისაწვდომი სამშობიარო თავშესაფარი ს. ივ. არარატოვისა
პრესის (ყოფილი დიდი ვანქის) ქ. № 6. სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 25—1

დავკარგე პენსიის წიგნაკი № 3075 ლევან კოშმოვის სახელზე, ჩ. გ. 519

დავკარგე დამზღვევი კასის წიგნაკი იოსებ ურიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 52

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.